

ელიზა კვანტალიანი, ნანა ჯანაშია

# თურქული ენის სახელმძღვანელო

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ  
დაშვებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი  
სასწავლებლების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „ეგრისი“  
თბილისი-1999

ნაშრომი გათვალისწინებულია თურქული ენის შემსწავლელ-  
თათვის, შედგენილია საუნივერსიტეტო კურსის პროგრამის შესაბა-  
მისად და მოიცავს გრამატიკის ყველა საკვანძო საკითხს. ავტორები  
ეყრდნობიან როგორც ქართულ, ისე უცხოელ თურქოლოგთა თანა-  
მედროვე სამეცნიერო გამოკვლევებს. იგი ნარმოადგენს პირველ  
სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე.

რედაქტორი: ნოდარ ჯანაშია,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

## შესავალი

თურქული ენა აღთაური ენების ოჯახს ეკუთვნის. მისი მონათესავე ენებია - აზერბაიჯანული, თურქმენული, აგრეთვე ყაზანის თათრული, უზბეკური, ყაზახური, ყირგიზული და სოგი სხვა მცირერიცხოვანი თურქული მოდგმის ხალხების ენები.

დღევანდელმა სალიტერატურო თურქულმა ენამ განვითარების შემდეგი საფეხურები განვლო: 1. ძველი ანატოლიური თურქული (მე-15 საუკუნემდე), 2. ოსმალური (15-20ს.ს.), 3. თურქეთის თურქული (Türkiye Türkçesi, მე-20ს-ის 20-იანი წლებიდან).

ოსმალეთის იმპერიის დამხობის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1927წ.) ოფიციალურ ენად თურქული ენა (türkçe) გამოცხადდა.

თურქული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მრავლად მოიპოვება არაბული და სპარსული ნასესხობები.

არაბიზმების ხელშემწობი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, რელიგია იყო. სკოლა-მედრესეებში სწავლა არაბულ ენაზე მიმდინარეობდა და რა თქმა უნდა, დამწერლობაც არაბული კჰონდათ.

სპარსული ენა უმთავრესად ლიტერატურის გზით იკიდებდა ფეხს.

ყოველივე ამის გამო სალიტერატურო ენაში, სოგიერთ შემთხვევაში, არაბულ-სპარსული ნასესხობები 90%-ს აღწევდა.

მომდევნო საუკუნეებში თურქულ სალიტერატურო ენაში ევროპულმა ლექსიკამაც შეაღწია, რის გამოც თურქული ენის ლექსიკის ასეთმა გადატვირთვამ არაერთხელ დააფიქრა თურქეთის საზოგადო მოღვაწეები და მწერლები. დაიწყო ბრძოლა თურქული ენის გაწმენდის და სუფთა თურქული ენის შესაქმნელად. მე-15, მე-16 საუკუნიდან დაწყებული ეს პროცესი დღესაც გრძელდება. 1928 წლამდე თურქები არაბული ანბანით სარგებლობდნენ. ეს ანბანი სისტემა და მიმართება ასოებსა და ბგერებს შორის არ ესადაგებოდა თურქული ენის ბგერით და ფონოლოგიურ სისტემას. არაბული გრაფიკის თურქული ანბანით შექმნის მრავალგზის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. არაბული ანბანის შეცვლას განსაკუთრებით სასულიერო პირები უწევდნენ წინააღმდეგობას. ქვემოთ ათათურქის დროს გზავილდა მოძრაობა ახალი ანბანისათვის და მან

პოლიტიკური ხასიათი მიიღო. გამარჯვება ლათინური ანბანის შემოღების მომხრეებს ხელთ წილად.

1928 წლის 9 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ქემალ ათათურქმა ქალაქ სტამბოლში გამოაცხადა მთაწერობის გადაწყვეტილება ლათინური ანბანით არაბული ანბანის შეცვლის შესახებ. ეს გადაწყვეტილება, უკვე კანონის სახით, გამოქვეყნდა იმავე წლის 1 ნოემბერს.

ლათინურ ანბანზე გადასვლის პროცესი პრაქტიკულად 1929-1930 წლებში განხორციელდა.



## ანბანი

თურქულ ენაში არის 29 ბგერა-ასო და 2 ნიშანი. იწერება იმდენი ასო, რამდენი ბგერაც არის. ნიშნებია “^” სიგრძისა და სილბოს ნიშანი (აქსანი) და “ ’ ” აპოსტროფი (გამყოფი).

A a - ა	I i - ი	R r - რ
B b - ბ	İ ı - ი	S s - ს
C c - ჯ	J j - ჟ	Ş ş - შ
Ç ç - ჩ	K k - კ	T t - თ
D d - დ	L l - ლ	U u - უ
E e - ე	M m - მ	Ü ü - უ
F f - ფ	N n - ნ	V v - ვ
G g - გ	O o - ო	Y y - იოტი
ğ - ნიშნიანი g	Ö ö - ო	Z z - ზ
H h - ჰ	P p - ფ	

გარდა მოცემული 29 ასოსი, ევროპული ენებიდან შემოსულ საკუთარ სახელებსა და სამეცნიერო ტერმინებში გადმოაქვთ ორიგინალში არსებული ისეთი ასოები, რომელიც თურქულ ენაში არ არის. ასეთებია: q, w, x

### ” სიგრძისა და სილბოს ნიშანი (აქსანი)

აქსანი ახლავს სამ ხმოვანს - â, ð, î

â და ð იხმარება ორ შემთხვევაში:

1) ^ აგრძელებს ხმოვანს და არბილებს g, k, l თანხმოვნებს.

მაგ.: dükkân - დუქანი, gâvur - უცხო, lütfen - გეთაყვა და სხვ.

2) ორი ერთნაირი დაწერილობის სიტყვის ერთმანეთისგან გასარჩევად.

მაგ.: alem - ალამი / âlem - ქვეყანა

aşık - პატარა ძეალი / âşık - შეყვარებული და ა.შ.

î-ზე დაბოლოებული სიტყვები მიმართებითი ზედსართავი სახელებია, î გრძლად გამოითქმის.

მაგ.: edebî - მხატვრული, insanî - ადამიანური და ა. შ.

## “ ’ “ აკოსტროფი (ბამჟოფი)

თურქულ ენაში აკოსტროფს იყენებენ 2 შემთხვევაში:

1. არაბული ენიდან ნასესხებ სიტყვებში “აინის” ნაცვლად.  
მაგ.: *mes ' ut -ბედნიერი, meb ' us-დეპუტატი და ა. შ.*
2. საკუთარი და გეოგრაფიული სახელების გამოსაყოფად.  
მაგ.: *Tiflis 'i-თბილისელი, Istanbul 'da-სტამბოლში და ა. შ.*

## ფონეტიკა

### ხმოვანთა კლასიფიკაცია

თურქულ ენაში 29 ბგერა-ასოდან 8 ხმოვანია. ესენია: **a, i, o, u, e, i, ö, ü.** ხმოვნები სხვადასხვა ნიშნით რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. ხმოვანთა კლასიფიკაციის პირველი ნიშანი არის წარმოების ადგილი. იმის მიხედვით ხმოვანი პირის ღრუს წინა თუ უკანა ნაწილში იწარმოება, ხმოვნები იყოფა 2 ჯგუფად:

ა) წინა რიგის ხმოვნები, ანუ რბილი ხმოვნები. ესენია: **e, i, ö, ü.**

ბ) უკანა რიგის ხმოვნები, ანუ მაგარი ხმოვნები. ესენია: **a, i, o, u.**

2. ხმოვანთა კლასიფიკაციის მეორე ნიშანია ბაგისმიერობა. ამ ნიშნის მიხედვით ხმოვნები იყოფა 2 ჯგუფად.

ა) ბაგისმიერი ხმოვნები (სადაც ბაგეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ). ესენია: **o, ö, u, ü.**

ბ) არაბაგისმიერი ხმოვნები (სადაც ბაგეები ნაკლებ აქტიურად მონაწილეობენ). ესენია: **a, e, i, i.**

3. კლასიფიკაციის მესამე ნიშანია პირის ღრუს ღიაობა ხმოვნის წარმოქმისას.

ამ ნიშნითაც ხმოვნები 2 ჯგუფად იყოფა:

ა) ფართე (ღია) ხმოვნები: **a, e, o, ö.**

ბ) ვიწრო (დახურული) ხმოვნები: **i, i, u, ü.**

- ა) მაგარი ხმოვნები. a, i, o, u.
- 1) ბ) რბილი ხმოვნები. e, i, ö, ü.
- 2) ა) ბაგისმიერი ხმოვნები: o, ö, u, ü.  
ბ) არაბაგისმიერი ხმოვნები: a, e, i, i.
- 3) ა) ფართე ხმოვნები. a, e, o, ü.  
ბ) ვიწრო ხმოვნები: i, i, u, ü.

### *თანხმოვანთა კლასიფიკაცია*

თურქულ ენაში 21 თანხმოვანია. სხვადასხვა ფონეტიკური ნიშნით ეს თანხმოვნები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. წარმოების ადგილის მიხედვით გვაქვს ხშული და ნაპრალოვანი თანხმოვნები.

*ხშული თანხმოვნები (წყვილეულები)*

b - p

d - t

c - ç

g - k

*ნაპრალოვანი თანხმოვნები (წყვილეულები და*

*ცალეულები)*

v - f

z - s

j - ş

ğ

y

h

*სონორები*

r, l, m, n

## გ(ნოშენიანი ბ )

თურქულ ენაში გ-თი სიტყვა არ იწყება. დანარჩენ პოზიციებში მის გამოთქმას განსაზღვრავს ხმოვანთა გარემოცვა:

1. წინა რიგის (ანუ რბილ) ხმოვნებთან ყველა პოზიციაში წარმოითქმის როგორც *y* (იოტი).

მაგ.: *değil-deyil* არა, *değinek-deynek* ჯოხი,  
*düğün-düyün* ქორწილი, *iğne-iyne* ნემსი

2. უკანა რიგის (ანუ მაგარ) ხმოვნებთან საერთოდ არ წარმოითქმის, მაგრამ გაველენას ახდენს გარემომცველ ხმოვნებზე:

ა) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, აგრეთვე სიტყვის ბოლოს, აგრძელებს წინამავალ ხმოვანს.

მაგ.: *doğru-dürü* სწორი, *dağ-dâ* მთა,  
*oğlan-olan* ბიჭი, *uğra!-ûra!* შედი!

ბ) ორ ხმოვანს შორის პოზიციაში გ არ ისმის, ხოლო ორივე ხმოვანი წარმოითქმის როგორც ცალ-ცალკე მარცვალნი.

მაგ.: *uğur-u-ur* ბედნიერება,  
*çığış-çı-u* ბერი (მათგანი), *dağı -da-ı* მთას

მეტყველების პროცესში ერთნაირ ხმოვნებს შორის გ არ ისმის, ხოლო ხმოვნები გრძელ ხმოვნად წარმოითქმის, სხვადასხვა ხმოვანს შორის კი ხმოვნები ცალცალკე უღერს:

*moğol-möl* მონღოლი, *sığır-sır* პირუტყვი,  
*dağ-a-dâ* მთას

## სინჰარმონიზმი

თურქული ენა მორფოლოგიური წყობის მიხედვით ე.წ. აგლუტინაციური ენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვათწარმოქმნა და სიტყვათცვალებადობა ხდება ამოსავალი სიტყვის ფუძეზე (სახელზე ან ზმნაზე) სუფიქსების დართვით. თურქული ენა სუფიქსების ენაა.

ამოსავალ ფუძეს სუფიქსები (სემანტიკური შეთავსებადობის საფუძველზე) მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ერთვის - უფრო კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სუფიქსებიდან უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე სუფიქსებისკენ, მარცხნიდან მარჯვნივ. თურქულ ენაში ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე

სუფიქსი ორი და მეტი გრაფიკული, ხმოვნითი და თანხმოვნითი ვარიანტის სახით გეხედება. ამის გამო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია სუფიქსის სათანადო ვარიანტის სწორი შერჩევა ფუძისეული ბოლოდან პირველი ან ბოლოკიდური ხმოვნისა და ბოლოკიდური თანხმოვნის, აგრეთვე, სუფიქსისეული თავკიდური თანხმოვნისა და ხმოვნის ფონეტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ამას თანხმოვანთა და ხმოვანთა ჰარმონიის წესი ანუ სინჰარმონიისმი ეწოდება.

## ხმოვანთა ჰარმონია

თურქული ხმოვნების ნეენთვის უკვე ცნობილი სამსაფეხურიანი კლასიფიკაციის შესაბამისად ფუძისა და სუფიქსის შორის ხმოვანთა ჰარმონიის წესის დაცვა მკაცრად არის განსაზღვრული. სუფიქსის ვარიანტის არჩევისას მოქმედებაში შედის სამივე ეს ნიშანი. ამოსავალია ფუძისეული ბოლოდან პირველი ხმოვანი (მათ შორის ბოლოკიდური ხმოვანი). ამის შესაბამისად აირჩევა სუფიქსისეული ვარიანტი (რბილთან რბილი, მაგართან მაგარი ხმოვანი და ა.შ.). სხვა ნიშნების მიხედვით ხმოვანთა ჰარმონია დამოკიდებულია, აგრეთვე, სუფიქსების სათანადო ხმოვნითი ვარიანტის არსებობაზე.

## თანხმოვანთა ჰარმონია

თანხმოვანთა ჰარმონია აუცილებლად გულისხმობს ხმოვანთა ჰარმონიის დაცვას: სუფიქსი შეიძლება იწყებოდეს ხმოვანზე, ნარნარა თანხმოვანზე, მჟღერ ან ყრუ თანხმოვანზე. ყრუ თანხმოვნით დაწყებული სუფიქსი ერთვის მხოლოდ ყრუ თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვას ხმოვანთა ჰარმონიის აუცილებელი დაცვით (სუფიქსის ხმოვნითი ვარიანტის სწორი შერჩევით).

## თურქული სიტყვის აბეზულება

თურქულ ენაში თურქული წარმოშობის სიტყვების გარდა მრავლადაა ნასესხები სიტყვები არაბულიდან, სპარსულიდან, ფრანგულიდან, ბერძნულიდან, იტალიურიდან.

ლექსიკონში ჩვეულებრივ მითითებულია წარმომავლობა. უცხო ენიდან ნასესხებ ნაწარმოებ სიტყვაში, რომელიც ლექსიკონში შეგვხვდა, ე.წ. ხმოვანთა და თანხმოვანთა ჰარმონია, რასაკვირველია, მოსალოდნელი არ არის, რამდენადაც ის უცხოა გამსესხებელი ენისათვის. თურქული წარმოების ნაწარმოებ სიტყვებში (სახელიდან ნაწარმოები სახელები, სახელიდან ნაწარმოები ზმნები, კომპოზიტი სახელები) ყველგან დაცულია სინჰარმონიზმი. ამ სიტყვების შემდგომი გაერცობა, აგრეთვე, როგორც ზემოთ ითქვა, სინჰარმონიზმის წესების დაცვით ხდება.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ყველაზე თვალსაჩინო მასალას შეიცავს სახელიდან ნაწარმოები სახელები:

1. -li, -li, -lu, -lü სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსები.

მაგ.: *Ankara-li ანკარელი, Istanbul-lu სტამბოლელი, köy-lü სოფლელი და სხვ.*

2. ა) -ci, -ci, -cu, -cü ბ) -cı, -cı, -cu, -cü საქმიანობის გამომხატველი სუფიქსები (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით).

მაგ.: *kundura-ci- მეწაღე, işçi-მუშა, bakıcı- ზედამხედველი და ა.შ.*

## ფონეტიკური მოვლენები სიტყვისა და სუფიქსის მიჯნაზე

### 1. ბოლოკიდური ყრუ-ხშული თანხმოვნების ბამჟღერება

თურქულ ენაში სიტყვების ერთი ნაწილი ყრუ თანხმოვნებზე ბოლოვდება: ip- თოკი, uç- სამი, saç- თმა, at- ცხენი, ot- ბალახი და სხვ. ყრუ p, ç, t, k თანხმოვნებზე დამთავრებულ სიტყვებში ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას ეს უკანასკნელი მჟღერდება და ყრუს ჩაენაცვლება სათანადო მჟღერი: p>b, ç>c, t>d, k>g ან ğ.

მაგ.: *dip>dibi მისი ფსკერი, aç>açıcı მისი ხე, uç>ucu მისი ბოლო, yurt>yurdu მისი სამშობლო.*

გამონაკლისია ერთმარცვლიანი სიტყვების მხოლოდ მცირე ჯგუფი, რომელშიც ბოლოკიდური ყრუ-ხშული არ მჟღერდება.

მაგ.: *kaç >kaçı რამდენი, uç > uçmuş სამი, suç > suçlu დანაშაული,*

*ak > aki თეთრი, ek > eki სუფიქსი, ok > oku ისარი, kök > kökü ფესვი, at > atı ცხენი, ot > otu ბალახი, süt > sütü // südü რძე.*

-nk ბგერათკომპლექსზე დამთავრებულ სიტყვებში ხმოვნის დართვის შემდეგ k ყრუ თანხმოვანი მქედრდება და გადადის g-ში.

*მაგ.: denk > dengi წონასწორობა, çelenk > çelengi გვირგვინი, kepenk > kepengi ღარაბა, ahenk > ahengi კარმონია, frank > frangi ფრანკი, renk > rengi ფერი.*

გამონაკლისია ზოგი ახლად ნასესხები სიტყვა, რომელშიც ბოლოკიდური ყრუ-ხშული არ მქედრდება.

*მაგ.: bank - სკამი, tank - ტანკი*

ყველა დანარჩენ შემთხვევაში k თანხმოვანი გადადის ğ-ში.

*მაგ.: bilezik > bileziği სამაჯური, tutsak > tutsağı პატიმარი და სხვ.*

## 2. ბოლოკიდური ფართე ხმოვნის ღაპიწროება

თურქულ ენაში ბოლოკიდური ფართე ხმოვნები a და e მეტყველებაში ვიწროვდება y თანხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას და ვიღებთ შესაბამის ვიწრო ხმოვნებს: a > ı, e > i

*მაგ.: başla-yor > başlıyor იწყებს, bekle-yen > bekliyen*

თანამედროვე ორთოგრაფიული წესების მიხედვით ფართე a და e ხმოვანი ვიწროვდება მხოლოდ -yor სუფიქსის დართვისას, დანარჩენ შემთხვევებში უცვლელი რჩება.

*მაგ.: ađlayan - მტირალი, მაგრამ ađlıyor - ტირის.*

*anlayarak - გაგებით, anlıyor - ესმის.*

## მახვილი

მახვილი თურქულ ენაში, როგორც წესი, მოდის ბოლო მარცვალზე. თუ სიტყვას დართული აქვს უმახვილო სუფიქსი, მახვილი გადაინაცვლებს წინამაჲალ მარცვალზე.

უმახვილოა:

1. შემასმენლობითი სუფიქსები
2. -da, -de ნაწილაკი
3. -ma, -me უარყოფითი სახის ნიშანი ზმნაში

4. -ca, -ce, -ça, -çe თანდებული

5. -ile თანდებული

6. ki კავშირი

etmek, olmak დამხმარე ზმნებით ნაწარმოებ რთულ ზმნებში მახვილი მოდის სახელად ნაწილზე.

მაგ.: *báhsetmek* - საუბარი, *hissetmek* - შეგრძნება და სხვ.

ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის ორი სიტყვის მნიშვნელობის გარჩევა მახვილის საშუალებით ხდება.

მაგ.: *yázma* - ნუ დაწერ!

*yazma* - წერა

*gélme* - ნუ მოხეაღ!

*gelme* - მოსვლა

*başla* - დაიწყე!

*başla* - თავით

*dinle* - ისმინე!

*dinle* - რწმენით

*benim* - ჩემი

*bénim* - მე ვარ

*kızım* - ჩემი გოგო

*kızım* - გოგო ვარ

## დიდი და პატარა ასოების ხმარება

დიდი ასოთი იწერება:

1. საკუთარი სახელები
2. აბზაცი იწყება დიდი ასოთი
3. წერტილის, კითხვის და ძირითადი ნიშნის შემდეგ
4. სტრიქონის პირველი ასო ლექსებში
5. მიმართვა წერილებსა და ოფიციალურ მიმოწერაში
6. აბრები: თუ აბრა რამოდენიმე სიტყვიანია, მაშინ მხოლოდ პირველი, თუ აბრა ციფრით იწყება, ციფრი დიდი შრიფტით, დანარჩენი სიტყვები პატარა ასოთი.

7. ორი წერტილის შემდეგ სხვისი ნათქვამის სრული გადმოცემისას – პირველი სიტყვა; თუ სხვისი ნათქვამიდან მხოლოდ ნაწყვეტია მოტანილი – პატარა ასოთი.

8. მეცნიერების სფეროში ნახმარი ტერმინები

9. წიგნისა და ნაწარმოების სახელწოდების პირველი ასოები



## მორფოლოგია

ენაში არსებული ლექსიკური მარაგის კლასიფიკაცია ხდება ენაში არსებული ნიშნების მიხედვით, ანუ სიტყვის მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე.

1. მორფოლოგიური თვალსაზრისით თურქულ ენაში არსებული სიტყვები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ა) ერთ ჯგუფს შეადგენს ფორმაცვალებადი სიტყვები, ბ) მეორეს კი – ფორმასუცველები.

ა) ფორმაცვალებადი სიტყვები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა; ესენია – სახელები და ზმნები. სახელების ძირითადი მახასიათებელია ბრუნება, ანუ ცვლა ბრუნვის მიხედვით; ზმნების კი – უღლება, ანუ ცვლა პირისა და რიცხვის მიხედვით.

ფორმაცვალებად სიტყვებს ეკუთვნის სახელზმნაც, რომელიც სახელისა და ზმნის საზიარო ფორმაა – სახელის მორფოლოგიურ ნიშნსაც გვიჩვენებს (იბრუნვის) და ზმნის ზოგიერთ მორფოლოგიურ ნიშნსაც (მოქმედებას).

2. სინტაქსური თვალსაზრისითაც სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად: ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც წინადადებების წევრის როლს ასრულებს და ბ) ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ სხვა სიტყვებთან მიმართებაში იხმარებიან, ამიტომ წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ აზუსტებენ წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას.

აღნიშნული გრამატიკული ნიშნების გათვალისწინებით თურქულ ენაში განვიხილავთ სახელების, ზმნების, ზმნიზედების და დამხმარე სიტყვების ჯგუფს.

## სახელები

სახელების ჯგუფში გაერთიანდება ყველა ის სიტყვა, რომელიც სახელებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ნიშნებით სარგებლობს. ასეთებია—არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი. მათ აერთიანებთ შემდეგი საერთო გრამატიკული ნიშნები: რიცხვი, კუთვნილების კატეგორია, ბრუნება. ჩამოთვლილი გრამატიკული ნიშნების სუფიქსები შემდეგი

თანმიმდევრობით დაერთვის სახელს:

ფუჟე + მრ. რიცხვის სუფიქსი + კუთვნილებითი სუფიქსი + ბრუნვის ნიშანი.

## არსებითი სახელები

### 1. სქმსი

თურქულ ენაში გრამატიკული სქემის კატეგორია არ არის გამოხატული. სქემსე მიუთითებენ აღწერილობითი ფორმით:

ა) აღამიანებისათვის – erkek(კაცი), kadın(ქალი), kız(გოგო). ეს სიტყვები არსებით სახელს წინ უძღვის, როგორც განსასლერება.

მაგ.: *erkek işçi* - მუშა კაცი

*erkek doktor* - ექიმი კაცი

*kadın doktor* - ექიმი ქალი

*kadın müşteri* - მუშტარი ქალი

ბ) ცხოველებში – erkek - ხვალი და dişi - ძე ცხოველის აღსანიშნად.

მაგ.: *erkek aslan* - ხვალი ლომი

*dişi aslan* - ძე ლომი

### 2. რიცხვი

თურქულ ენაში გრამატიკული რიცხვი ორია – მხოლობითი და მრავლობითი. მხოლობით რიცხვს მორფოლოგიური ნიშანი არ აქვს. მრავლობითი რიცხვის ნიშანია -lar, -ler ორვარიანტიანი სუფიქსი, რომელიც სახელის ფუჟეს დაერთვის და მახვილიანია.

მაგ.: *masa >masalar* – მაგიდეები

*ev >evler* - სახლები

*mektup >mektuplar* - წერილები

*otobüs >otobüsler* - ავტობუსები

მრავლობითი რიცხვი ფორმალურად არ არის გამოხატული შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა სახელს წინ უძღვის რიცხვითი ან კრებითი სახელები.

მაგ.: dört defter - ოთხი რევეული

sekiz kalem - რვა კალამი

çok adam - ბევრი ადამიანი

ბ) იმ სიტყვებთან, რომლებშიც თავისთავად იგულისხმება მრავლობითობა.

მაგ.: findik - თხილი, Türk - თურქი

სემანტიკის გაძლიერების მიზნით მრავლობითი რიცხვის ნიშანი შეიძლება დაერთოს იმ სახელებსაც, რომლებსაც კრებითი სემანტიკა აქვთ.

მაგ.: tuz>tuzlar - მარილები, toz>tozlar - მტერები, şeker>şekerler - შაქრები.

წინადადებაში თუ რამოდენიმე ერთნაირი წევრია, მრავლობითის ნიშანი ახლავს ბოლო წევრს.

მაგ.: Kitap, defter ve kalemler - წიგნი, რევეული და კალმები.

Kadın, erkek, çocuk ve ihtiyarlar - ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცები.

## “მყოფელობის” ზოგადი კატეგორია

“მყოფელობის” ზოგადი ცნება ორი ქვეკატეგორიისგან შედგება. ესენია “ყოფნა”/არყოფნა” და “არსებობა/არარსებობა”.

ეს ორი ქვეკატეგორია ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც სათანადო მნიშვნელობის გამომხატველი საშუალებებით, ისე ცალკეული ქვეკატეგორიის შინაარსობრივი სპეციფიკით.

ორივე შემთხვევაში ასეთი კონსტრუქცია სახელადი შემასმენელია და ყოფნის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი სუფიქსებით (ე.წ. “შემასმენლობითი სუფიქსებით”) გამოიხატება.

სახელადი შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამა თუ იმ სახელით, მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში. ასეთ სახელს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ამა თუ იმ პირის კუთვნილებითი სუფიქსი და ამ გზით იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი. სახელადი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ამავე დროს, აუცილებლად რომელიმე ბრუნვის ფორმით იქნება გამომხატული (გარდა ბრალდებითი ბრუნვისა).

## I. ყოფნა-არყოფნის ძველკატეგორია

ამ ქვეკატეგორიის გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებაა ე.წ. ყოფნის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები, რომლებიც ტრადიციულად შემასმენლობითობის სახელით არის ცნობილი. შინაარსობრივად ეს სუფიქსები ეველა ბრუნვასთან “ტოლობას”(უდრის) გადმოსცემენ და “ყოფნის” სუბიექტის პირს და რიცხვს გამოხატავენ. სინტაქსურად ასეთი კონსტრუქცია სახელად შემასმენელს წარმოადგენს და შემასმენლისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ენობრივ კატეგორიებს გამოხატავს – მტკიცებითობას, კითხვითობას, დადებითობასა და უარყოფას. ამ ტიპის სახელად შემასმენელთან უარყოფითობას გამოხატავს სახელადი უარყოფის გამომხატველი *değil* სიტყვა, რომელიც სახელადი შემასმენლის სახელად ნაწილს მოსდევს და ყოფნის გამომხატველ ნაცვალსახელოვან სუფიქსს დაირთავს, ეს უკანასკნელი კი სათანადო პირს და მის რიცხვს გამოხატავს.

კონსტრუქცია ასეთია: სახელი + რიცხვი + ბრუნვა + შემასმენლობითი სუფიქსი.

ასეთი კონსტრუქცია სტატიკურია და აწმყო დროს გამოხატავს.

*ყოფნის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები  
("შემასმენლობითი სუფიქსები")*

### I. თანხმოვანფუძიანებთან

მხ. რიცხვი

I. -im, -im, -um, -üm ვარ

II. -sin, -sin, -sun, -sün ხარ

III. -dir, -dir, -dur, -dür არის

-tir, -tir, -tur, -tür ყრუფუძიანებთან

მრ. რიცხვი

I. -iz, -iz, -uz, -üz ვართ

II. -sınız, -sınız, -sunuz, -sünüz ხართ

III. -dırlar, -dırlar, -dırlar, -dürler არიან

-tırlar, -tırlar, -tırlar, -türler ყრუფუძიანებთან

## 2. ხმოვანფუძიანებთან

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I -yim, -yim, -yum, -yüm

I -yiz, -yiz, -yuz, -yüz

II -sın, -sın, -sun, -sün

II -sınız, -sınız, -sunuz, -sünüz

III -dır, -dir, -dur, -dür

III -dırlar, -dirler, -durlar, -dürler

'შემასმენლობითი სუფიქსები უმახვილოა.

მხოლოდობითისა და მრავლობითი რიცხვის შესამე პირში -dir სუფიქსის ხმარება ფაკულტატიურია.

### მაგ.: *öğretmen* - მასწავლებელი

დაღებითი სახე

მხ. რიცხვი

I. *öğretmen-im* მასწავლებელი ვარ

II. *öğretmen-sin* მასწავლებელი ხარ

III. *öğretmen-dir* მასწავლებელია

მრ. რიცხვი

I. *öğretmen-iz* მასწავლებელი ვართ

II. *öğretmen-siniz* მასწავლებელი ხართ

III. *öğretmen-dirler* მასწავლებლები არიან

*კითხვითი*

მხ. რიცხვი

I. *öğretmen miyim?* მასწავლებელი ვარ?

II. *öğretmen misin?* მასწავლებელი ხარ?

III. *öğretmen midir?* მასწავლებელია?

მრ. რიცხვი

I. *öğretmen miyiz?* მასწავლებელი ვართ?

II. *öğretmen misiniz?* მასწავლებელი ხართ?

III. *öğretmen midirler?* მასწავლებლები არიან?

*უარყოფითი სახე*

მხ. რიცხვი

I. *öğretmen değilim* მასწავლებელი არ ვარ

II. *öğretmen değilsin* მასწავლებელი არ ხარ

III. *öğretmen değildir* მასწავლებელი არ არის

მრ. რიცხვი

I. *öğretmen değiliz* მასწავლებელი არ ვართ

II. Öğretmen değilsiniz masıñavelebeleli ar harto

III. Öğretmen değildirler masıñavelebeleli ar arıan  
kitobeyiti

მხ. რიცხვი

I. Öğretmen değil miyim? masıñavelebeleli ar var?

II. Öğretmen değil misin? masıñavelebeleli ar harto?

III. Öğretmen değil midir? masıñavelebeleli ar arıs?

მრ. რიცხვი

I. Öğretmen değil miyiz? masıñavelebeleli ar vart?

II. Öğretmen değil misiniz? masıñavelebeleli ar harto?

III. Öğretmen değildirler? masıñavelebeleli ar arıan?

### **çocuk**–ბავშვი

*დადებითი სახე*

მხ. რიცხვი

I. çocuğum ბავშვი ვარ

II. çocuksun ბავშვი ხარ

III. çocuktur ბავშვი არის

მრ. რიცხვი

I. çocuğuz ბავშვები ვართ

II. çocuksunuz ბავშვები ხართ

III. çocuktlar ბავშვები არიან

კითხვითი

მხ. რიცხვი

I. çocuk muyum? ბავშვი ვარ?

II. çocuk musun? ბავშვი ხარ?

III. çocuk mudur? ბავშვი არის?

მრ. რიცხვი

I. çocuk muyuz? ბავშვები ვართ?

II. çocuk musunuz? ბავშვები ხართ?

III. çocuk mudurlar? ბავშვები არიან?

*უარყოფითი სახე*

მხ. რიცხვი

I. çocuk değilim ბავშვი არ ვარ

II. çocuk değilsin ბავშვი არ ხარ

III. çocuk değildir ბავშვი არ არის

მრ. რიცხვი

I. çocuk değiliz ბავშვები არ ვართ

II. çocuk değilsiniz ბავშვები არ ხართ

III. çocuk değildirler ბავშვები არ არიან

კითხვითი

მხ. რიცხვი

I. çocuk değil miyim? ბავშვი არ ვარ?

II. çocuk değil misin? ბავშვი არ ხარ?

III. çocuk değil midir? ბავშვი არ არის?

მრ. რიცხვი

I. çocuk değil miyiz? ბავშვები არ ვართ?

II. çocuk değil misiniz? ბავშვები არ ხართ?

III. çocuk değildirler? ბავშვები არ არიან?

ბრუნებების შესაბამისად გვაქვს სახელადი შემასმენლის (ანუ ყოფნის) შემდეგი კონსტრუქციები:

ნომინატიური –dir

გენეტიური –in-dir

დატიური –a-dir

ლოკატიური –da-dir

აბლატიური –dan-dir

#### ნომინატიური კონსტრუქცია

1. Kaç kişi-siniz, siz? თქვენ რამდენი ადამიანი ხართ?

2. Rizeliler erdemli insanlar-dir. რიზელები ამაყი ხალხია.

3. Ben güzel bir kız değilim. მე ლამაზი გოგო არ ვარ.

4. Her kar beyaz, ama her beyaz kar değil-dir. ყველა თოვლი თეთრია, მაგრამ ყველაფერი თეთრი თოვლი არ არის.

5. Koça boynuz yük değil. ყოჩისათვის რქები ტვირთი არ არის.

#### გენეტიური კონსტრუქცია

1. Sen ben-im-sin, ben sen-in-im. შენ ჩემი ხარ, მე შენი ვარ.

2. Bu para on-un-dur. ეს ფული მისია.

3. Bu çocuk kim-in-dir? ეს ბავშვი ვისია?

4. Artık bu kız sen-in değil. ეს გოგო შენი აღარ არის.

5. Kedi sen-in mi? კატა შენია?

### დატიური კონსტრუქცია

1. Arkeoloji bir yarar ummak nekadar boş-u-na-dir.

არქეოლოგიისაგან რაიმე სარგებლის მოლოდინი რაოდენ ამაოა.

2. Sözüm siz-e-dir, fransızlar. ჩემი სიტყვები თქვენსკენაა მიმართული, ფრანგებო.

3. Bu gün ban-a ise, yarın san-a-dir. დღევანდელი დღე თუ ჩემია, ხვალინდელი შენია.

### ლოკატიური კონსტრუქცია

1. Eşref, ben şimdi avukat Ahmet bey-de-yim. ეშრეფ, მე ახლა ადვოკატ აჰმედ ბეისთან ვარ.

2. Dört gündür Kayseri-de-yiz. ოთხი დღეა კაისერიში ვართ.

3. Doğru, baba, herkes açlıktan kırılma-da. სწორია, მამა, ყველა შიმშილით იხოცება.

4. Evet, komşular cami-de. დიახ, მეზობლები სალოცავში არიან.

5. Benim el-im-de-sin. შენ ჩემს ხელთა ხარ.

### აბლატიური კონსტრუქცია

1. Altının kıymeti azlığ-ı-ndan. ოქროს ფასი მისი სიმცირისაგანაა.

2. Ağustos-un yarısı kış-tan-dir, yarısı yaz-dan-dir. აგვისტოს ნახევარი ზამთრისგანაა, ნახევარი ზაფხულისაგან.

3. Saray tüm sırça-dan-dir. სასახლე მთლიანად შუშისგან არის.

4. Biz de Deliorman-dan-ız. ჩვენც დელიორმანიდან ვართ.

შემასმენლობითი კატეგორიის დანარჩენი დროებისა და კილოების გადმოსაცემად გამოიყენება დამხმარე ზმნები – imek “ყოფნა” დრონაკლული ზმნა სტატიკური კონსტრუქციებისათვის, olmak, “ყოფნა” – დინამიკური კონსტრუქციებისათვის.



## imek “ყოფნა” ზმნა

imek მაკავშირებელი ზმნაა; დეფექტურია, რადგან აქვს მხოლოდ რამოდენიმე გრამატიკული ფორმა. იწერება როგორც ცალკე, ასევე სიტყვასთან ერთად.

მისი გრამატიკული ფორმებია:

### 1. თხრობითი კილოს ნამყო კატეგორიული დრო: *I-di*

ფონეტიკური ვარიანტებია:

ა) *-y-di, -y-di, -y-du, -y-dü* ხმოვნების შემდეგ

ბ) *-ti, -ti, -tu, -tü* ყრუ თანხმოვნების შემდეგ

გ) *-di, -di, -du, -dü* დანარჩენ შემთხვევებში

### 2. თხრობითი კილოს ნამყო-შედეგობითი დრო: *I-miş*

ფონეტიკური ვარიანტებია:

ა) *-y-miş, -y-miş, -y-muş, -y-müş* ხმოვნების შემდეგ

ბ) *-miş, -miş, -muş, -müş* თანხმოვნების შემდეგ

### 3. პირობითი კილო: *i-se*

ფონეტიკური ვარიანტებია:

ა) *-y-se, -y-sa* ხმოვნების შემდეგ

ბ) *-se, -sa* თანხმოვნების შემდეგ

### 4. *-ken* აბსოლუტივი: *i-ken*

ფონეტიკური ვარიანტებია:

ა) *-y-ken* ხმოვნების შემდეგ

ბ) *-ken* თანხმოვნების შემდეგ

მაგ.: 1. *Karanlık bir gece-y-di.* ბნელი ღამე იდგა.

2. *Bu, artık, bir oyun değil-di.* ეს უკვე თამაში აღარ იყო.

3. *Babam kalabalık bir ailenin çocuşu i-miş.* მამაჩემი

მრავალრიცხოვანი ოჯახის შვილი ყოფილა.

4. *Bugün bana ise, yarın sanadır.* დღევანდელი დღე თუ ჩემია,

ხვალინდელი შენია.

5. *Biz okul-da-y-ken...* ჩვენ როცა სკოლაში ვიყავით...

## olmak, “ყოფნა” ზმნა

*olmak* ზმნას აქვს ყველა დროისა და კილოს ფორმა.

მაგ.: *kadın oldum* - ქალი გაეხდი

*annem olacaktı - დედასემი უნდა გამხდარიყო*  
*doktor olmuş - ექიმო გამხდარა*  
*müdür oldu mu? - დირექტორი გახდა?*  
*öğretmen olmalı - მასწავლებელი უნდა გახდეს*  
*öğrenci olsun! - მოსწავლე იყოს!*

## II. არსებობა-არარსებობის ძველკატეგორია

ამ კატეგორიის გამომხატველი ძირითადი ელემენტია ე.წ. "არსებობა-არარსებობის" გამომხატველი სტატიკური (მდგომარეობის გამომხატველი) სემანტიკის მოდალურ-პრელიკატიური სიტყვები var - "არსებობს", "არის" და yok - "არ არსებობს", "არ არის"; ამით იგი პრინციპულად განსხვავდება ეოფნა-არეოფნის ქეკატეგორიის სემანტიკისაგან: ეოფნის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები ტოლობას, იგივეობას გადმოგვცემს, var/yok – არსებობა არარსებობას.

var/yok მოდალურ-პრელიკატიული სიტყვების შემცველი კონსტრუქციები აგრეთვე სახელად შემასმენელს წარმოადგენენ. შემასმენლის პირის და რიცხვის გამოსახატად მათ შემასმენლობითი სუფიქსები ერთვის და შემასმენლის სხვა მახასიათებლები (ღრო, დადებითობა-უარყოფითობა, მტკიცებითობა-კითხვითობა და სხვა.) მისთვის წვეულებრივია. ასეთი შემასმენლის სახელადი ნაწილი განუსაზღვრელია (განსხვავებით ეოფნა-არეოფნის სახელადი ნაწილისაგან), კუთვნილებით სუფიქსებს არ დაირთავს.

*მაგალითები:*

ნომინატიური კონსტრუქციები:

- 1. İşte bir hafta var, ki biraz sinirliyim. აი ერთი კვირაა, რაც ცოტა ვნერვიულობ.*
- 2. Sık-sık tekrarlanan bir gerçek var. არსებობს ერთი გეშმაროტება, რომელსაც ხშირად იმეორებენ.*
- 3. Ölmek var, dönmek yok. სიკვდილი არსებობს, უკან მობრუნება არ არსებობს.*
- 4. Bir kurtuluş çaresi var mı? არსებობს გადაარწმუნის საშუალება?*
- 5. İnsan bir var, bir yok. ადამიანი ერთ წუთში არის, მეორეში*

აღარ არის.

6. *Okuma kitabı kaç yaprak? Elli yaprak var mı? საკითხავი წიგნი რამდენ გვერდიანია? ორმოც გვერდიანი არის?*

დატიური კონსტრუქცია:

1. *Bayrama kaç gün var? დღესასწაულამდე რამდენი დღეა?*
2. *Size de selamlar var. თქვენც მოკითხვა შემოვითვისაღებს.*
3. *Gönülden gönüle yol var. სულსა და სულს შორის გზა არის.*
4. *Saat beşe onbeş dakika var. ხუთს უკლია თხუთმეტი წუთი (ხუთ საათამდე 15 წუთია).*

ლოკატიური კონსტრუქცია:

1. *Sırça köşkün başında ben var-ım. შუშის სახახლის სათავეში მე ვიმყოფები.*
2. *Bir değirmen var Süleymaniyede. სოფ. სულეიმანიეში ერთი წისქვილი არის.*
3. *Amerikada çok vardır altınarıycı. ამერიკაში მრავლადაა ოქროს მაძიებელი.*
4. *Köyde çeşme var mıdır, Ali? ალი, სოფელში წყარო არის?*
5. *Izmir'de çok iş varmış. იზმირში ბევრი სამუშაო ყოფილა.*
6. *Necdet Bey evde yok. ნეჯდეთ ბეი შინ არ არის.*
7. *Kapınım önünde bir polis var. კარებთან პოლიციელია.*
8. *Şimdi kimse yok ki evde. ეხლა რომ არავინ არის შინ?*

აბლატიური კონსტრუქცია:

1. *Benden de korkak var. ჩემზე მშიშრებიც არსებობენ.*
2. *Sait amcadan mektup var, Ömer . ომარ, წერილია ძია საითისაკან.*
3. *Büyükten büyük var. უფროსის უფროსიც არსებობს.*
4. *Postadan birşeyler yok mu? ფოსტიდან არაფერია?*

## პირის ნაცვალსახელების ხმარება სახელად შემასმენელთან

შემასმენლობითი სუფიქსები რადგან სუბიექტური პირის მიწინაა, პირის ნაცვალსახელების ხმარება აუცილებელი არ არის.

პირის ნაცვალსახელების ხმარება მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა ლოგიკური მახვილი მოუდის,

მაგ.: *Sén öğrencisin, Ali değil. Şen ხარ სტუდენტი, ალი კი-არა. Siz doktorsunuz, onlar değil. თქვენ ხართ ექიმი, ისინი კი-არა.*

ბ) როცა პირის ნაცვალსახელს ახლავს ნაწილაკი,

მაგ.: *Ben de Gürcüyüm. მეც ქართველი ვარ. Sen mi yaptın? შენ გააკეთე?*

ქვემდებარისა და სახელადი შემასმენლის შეთანხმება  
რიცხვში

1. თუ ქვემდებარე მრავლობითი რიცხვის I ან II პირია, შემასმენლის სახელადი ნაწილი მრავლობითი რიცხვის -lar, -ler სუფიქსს არ დაირთავს.

მაგ.: *Biz öğrenciyiz* (და არა *öğrencileriz*). *ჩვენ სტუდენტები ვართ.*

*Siz öğretmenisiniz. თქვენ მასწავლებელი ხართ.*

2. თუ ქვემდებარე უსულო არსებითი სახელების მრავლობითია, შემასმენელი მხოლოდით რიცხვშია.

მაგ.: *Çiçekler güzeldir. ყვავილები ლამაზია*

*Pencereler geniş. ფანჯრები ფართოა*

3. თუ ქვემდებარე სულიერია, მაგრამ განუყოფელი მრავლობითის მნიშვნელობა აქვს, შემასმენელი მხოლოდით რიცხვშია.

მაგ.: *Öğrenciler gençtir. სტუდენტობა ახალგაზრდაა.*

4. თუ შემასმენელს რამოდენიმე ქვემდებარე შეეწეობა, რომელთაგან ერთ-ერთი I პირის ნაცვალსახელია, შემასმენელი მრავლობითი რიცხვის I პირითაა წარმოდგენილი.

მაგ.: *Ben, sen ve Ali işçiyiz. მე, შენ და ალი მუშები ვართ.*

5. თუ შემასმენელს შეეწყობა ორი ქვემდებარე, რომელთაგან ერთ-ერთი II პირის ნაცვალსახელია, შემასმენელი მრავლობითი რიცხვის II პირის ფორმითაა.

მაგ.: *Sen ve Nuri doktorsunuz.* შენ და ნური ექიმები ხართ.

## “მქონებლობის” ზოგადი კატეგორია

“მქონებლობის” კატეგორია თურქულ ენაში სულიერსა და უსულოს არ განასხვავებს. ეს ცნება შეიცავს სუბიექტსა და ობიექტს – სუბიექტია ის, ვისაც ან რასაც აქვს ან არ აქვს, ანუ მფლობელია. ობიექტია ის, რომელიც აქვს ან არ აქვს მფლობელს, ანუ ფლობის საგანია.

“მქონებლობის” კატეგორია მოიცავს 5 ქვეკატეგორიას, ყველას აქვს სტატიკური და დინამიკური კონსტრუქციები.

“მქონებლობის” ქვეკატეგორიებია:

1. –*li/siz* ქონება-უქონლობის ქვეკატეგორია.
2. განუყოფელი კუთვნილების ქვეკატეგორია.
3. მიკუთვნილებულობის ქვეკატეგორია.
4. ქონა/ყოლა-არქონა/არყოლის ქვეკატეგორია.
5. ქონა/არქონის კატეგორია.

## 1. –*li/-siz* ქონება-უქონლობის ქვეკატეგორია

ეს ქვეკატეგორია გულისხმობს ფლობის საგანზე შემდეგი სუფიქსების დართვას:

- ა) “მქონებლობის” შემთხვევაში სახელის ფუძეს დაერთვის ოთხეარნიანტიანი –*li, -li, -lu, -lü* სუფიქსი და გადმოსცემს ქონას.

მაგ.: *çanta-li* ჩანთიანი

*ev-li* ოჯახიანი

*avlu-lu* ეზოიანი

*gözük-lü* სათვალეიანი

- ბ) უქონლობის გადმოსაცემად სახელის ფუძეს დაერთვის ოთხეარნიანტიანი –*siz, -siz, -suz, -süz* სუფიქსი.

მაგ.: *baba-siz* უმამო

*pencere-siz* უფანჯრო

## 2. ბანუხ(ოფელი კუთვნილების ძვეკატებორია

განუყოფელი კუთვნილება გადმოიცემა სახელის ფუძეზე კუთვნილების ნაცვალსახელოვანი სუფიქსების დართვით.

კუთვნილების ნაცვალსახელოვანი სუფიქსების ფორმტიკური ვარიანტები შემდეგია:

ა) თანხმოვანფუძიანებთან:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I -im, -im, -um, -üm

-imiz, -imiz, -umuz, -ümüz

II -in, -in, -un, -ün,

-iniz, -iniz, -unuz, -ünüz

III -i, -i, -u, -ü,

-ları, -leri

მაგ.: *defter-im* ჩემი რეგული

*kalem-in* შენი კალამი

*kitab-i* იმისი წიგნი

*okul-umuz* ჩვენი სკოლა

*ev-iniz* თქვენი სახლი

*otobüs-leri* იმათი ავტობუსი

ბ) ხმოვანფუძიანებთან

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I -m,

-mız, -mız, -muz, -müz

II -n,

-nız, -nız, -nuz, -nüz

III -si, -si, -su, -sü,

-ları, -leri

კუთვნილების ნაცვალსახელოვანი სუფიქსები მახვილიანია.

მაგ.: *masa-m* ჩემი მაგიდა

*oda-n* შენი ოთახი

*sandalye-si* იმისი სკამი

*üniversite-miz* ჩვენი უნივერსიტეტი

*gazete-niz* თქვენი გაზეთი

*çanta-ları* იმათი ჩანთები

ხმოვანფუძიანი სახელებიდან კუთვნილებით სუფიქსებს განსხვავებულად დაირთავს su – წყალი:

მხ. რიცხვი

*I su-yum ნემი წყალი*

*II su-yun შენი წყალი*

*III su-yu იმისი წყალი*

მრ. რიცხვი

*su-yumuz ნეენი წყალი*

*su-yunuz თქვენი წყალი*

*su-ları იმათი წყალი*

კუთვნილებითი სუფიქსი ერთვის მრავლობით რიცხვში მდგომ სახელებსაც.

*მაგ.: defterler-im ნემი რვეულები*

*ders-ler-in შენი გაკვეთილები*

*doktor-lar-ı იმათი ექიმები*

*arkadaş-lar-ımız ნეენი ამხანაგები*

*mektup-lar-ınız თქვენი წერილები*

*dost-ları იმათი მეგობრები*

მრავლობითი რიცხვის III პირში კუთვნილებითი სუფიქსიან სახელს შეიძლება 3 მნიშვნელობა ჰქონდეს, რაც მხოლოდ კონტექსტით "სუსტდება".

*მაგ.: dostları შეიძლება იყოს:*

*ა) dostlar-ı იმისი მეგობრები*

*ბ) dost-ları იმათი მეგობარი*

*გ) dost-lar-ı იმათი მეგობრები*

### 3. მიკუთვნებულობის ძვეკატეგორია

"მიკუთვნების" ეს კვეკატეგორია გადმოიცემა სინტაქსური ხერხით. სუბიექტი ანუ მიკუნებელი დგას ნათესაობით ბრუნვაში, ობიექტის ანუ ქონა-არქონის საგანს დართული აქვს კუთვნილების ნაცვალსახელოვანი სუფიქსები და var(არის, არსებობს) და yok (არ არის, არ არსებობს) მოდალურ პრედიკატური სიტყვები.

*მაგ.: ben-im para-m var მე ფული მაქვს*

*ben-im para-m yok მე ფული არ მაქვს*

*ev-in pencere-si var სახლს ფანჯარა აქვს*

*ev-in pencere-si yok სახლს ფანჯარა არ აქვს*

#### 4. ქონა/ყოლა არქონა/არყოლის ქვეკატეგორია

ეს ქვეკატეგორია ც სინტაქსური ხერხით გადმოიცემა – ფლობის საგანს დართული აქვს კუთვნილებითი სუფიქსები და მოსდევს var, yok სიტყვები.

მაგ.: *param var ფული მაქვს (ნემი ფული არის)*  
*param yok ფული არ მაქვს (ნემი ფული არ არის)*  
*kalem-imiz var კალამი გვაქვს*  
*kalem-imiz yok კალამი არ გვაქვს*

#### 5. ქონა/არქონის ქვეკატეგორია

ქონა-არქონის ეს ქვეკატეგორია იხმარება მაშინ, როცა ფლობის საგანი უსულაა. მიიღება შემდეგნაირად – მფლობელი დგას ადგილობით ბრუნვაში, ფლობის საგანი სახელობითში და მას მოსდევს var, yok მოდალურ პრედიკატიური სიტყვები.

მაგ.: *bende para var მე ფული მაქვს*  
*bende para yok მე ფული არ მაქვს*

ნამოთვლილი კონსტრუქციები სინტაქსურად სახელადი შემასმენელია და გამოხატავს აწმყო დროს. შემასმენლის სხვა გრამატიკული კატეგორიების მისაღებად იხმარება imek – ეოფნა დეფექტური (დრონაკლი) ზმნა სტატიკური კონსტრუქციებისათვის და olmak – ზმნა დინამიკური კონსტრუქციებისათვის.

მაგ.: *param var idi (vardı) ფული მქონდა*  
*param yok idi (yoktu) ფული არ მქონდა*  
*param var imiş (varmış) ფული მქონია*  
*param yok ise (yoksa) ფული თუ არ მაქვს*  
*param var iken (varken) როცა ფული მაქვს*

დინამიკური კონსტრუქციები –

*param olacak ფული მექნება*

*param olursa ფული როცა მექნება*

*param olacaktı ფული რომ ქონოდა და ა.შ.*



## ბრუნება

თურქულ სალიტერატურო ენაში ბრუნების ერთი ტიპი და ექვსი ბრუნვაა. თითოეულ ბრუნვას თავისი საკუთარი ნიშანი აქვს (გარდა სახელობითისა), ბრუნვის ნიშნები მახვილიანია.

ბრუნვებია:

1. სახელობითი
2. ნათესაობითი
3. მიცემითი
4. ბრალდებითი
5. ადგილობითი
6. დაწყებითი

1. სახელობითი ბრუნვა

სახელობით ბრუნვას მაწარმოებელი არ აქვს. სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით. პასუხობს კითხვაზე – *kim?* ვინ? *ne?* რა?

სახელობით ბრუნვაში მდგომი სახელი წინადადებაში ქვემდებარის ან განუსაზღვრელი პირდაპირი დამატების როლს ასრულებს.

მაგ.: 1. *Doktor beyaz önlüğünü bile çıkarmadan aşağı indi.*

*ექიმი ისე ჩავიდა ქვევით, თეთრი წინსაყარაც კი არ მოიხსნა.*

2. *Adamlar sokağın genişçe bir yerinde konuşuyorlardı.*

*ადამიანები ქუჩის ფართო ადგილზე ლაპარაკობდნენ.*

3. *Evden sabun, peynir, daha başka birkaç şey ısmarlamışlardı.* თავისიანებს საპონი, ყველი და კიდევ სხვა რაღაცეები შეუკვეთეს.

4. *Çarşıdan bir kilo da üzüm alıp eve getirdim.* ბაზარში ერთი კილო ყურძენიც ვიყიდე და შინ მოვიტანე.

2. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვა შინაარსობრივად მიკუთვნებულობას გამოხატავს და პასუხობს კითხვებზე – *kimin?* ვისი? *neyin?* რისი?

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია:

ა) -in, -in, -un, -ün თანხმოვანფუძიანებთან

ბ) -nın, -nın, -nun, -nün ხმოვანფუძიანებთან, -ki ნაწილაკიან და III პირის კუთვნილებითსუფიქსიან სახელებთან.

ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელი წინადადებაში განსასლვრების ფუნქციას ასრულებს.

მაგ.: *oda-nın penceresi. ოთახის ფანჯარა.*

*ögretmen-in gözlüğü. მასწავლებლის სათვალე.*

*sen-in kardeşin. შენი ძმა.*

*babası-nın şapkası. მამამისის ქუდი.*

3. მიცემითი ბრუნვა

მიცემითი ბრუნვა ირიბი ობიექტის ბრუნვაა.

პასუხობს კითხვებზე – *kime?* ვის?, *neye?* რას?, *nereye?*

საით?

მიცემითი ბრუნვის ნიშნებია:

ა) -a, -e თანხმოვანფუძიანებთან

ბ) -ya, -ye ხმოვანფუძიანებთან

გ) -na, -ne, -ki ნაწილაკიან და III პირის კუთვნილებით სუფიქსიან სახელებთან.

მაგ.: *okul-a gidiyorum. სკოლაში მივდივარ.*

*üniversite-ye geldim. უნივერსიტეტში მოვედი.*

*araba-ya biniyoruz. მანქანაში ვსხდებით.*

*san-a hediye aldı. შენ საჩუქარი გიყიდა.*

*benim kitabım-a bakma, onun-ki-ne bak! ჩემს წიგნში*

*ნუ იყურები, იმისაში ნაიხედე!*

*bugün onun ev-i-ne gittik. დღეს იმის სახლში წავედით.*

4. ბრალდებითი ბრუნვა

ბრალდებითი ბრუნვა განსასლვრული პირდაპირი დამატების ბრუნვაა.

პასუხობს კითხვებზე – *kimi?* ვინ? *neyi?* რა?

ბრუნვის ნიშნებია:

ა) -ı, -i, -u, -ü თანხმოვანფუძიანებთან

ბ) -yı, -yi, -yu, -yü ხმოვანფუძიანებთან

9) -ni, -ni, -nu, -nü -ki ნაწილაკიან და III პირის კუთვნილებითსუფიქსიან სახელებთან.

*ბრალდებითი ბრუნვის ნიშნის ხმარება აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში:*

ა) პირდაპირი დამატება თუ განსაზღვრულია, ანუ ერთეული საგნების სახელებია (საკუთარი სახელები, ნაცვალსახელები).

*მაგ.: Ben Feride-yi görüyorum. მე ფერიდეს ვნახულობ. Istanbul'u geziyor. სტამბოლს ათვალიერებს. Öğretmen ben-i çağırdı. მასწავლებელმა მე ღამითაძახა. Kim-i davet ederler? ვის ეპატიუებიან?*

*ne* კითხვითი ნაცვალსახელი პარალელური ფორმებით იხმარება:

*Neyi//ne arıyorsun?* რას ეძებ?

ბ) პირდაპირი დამატება თუ კუთვნილებითი სუფიქსითაა განსაზღვრული.

*მაგ.: Kitab-ım-ı arkadaşım-a verdim. ჩემი წიგნი ამხანაგს მივეცი. Defterler-iniz-i açın! თქვენი რეგულაბი გადაშალეთ!*

გ) პირდაპირი ობიექტი თუ უკვე ცნობილია, ე.ი. სიტუაციით განსაზღვრულია.

*მაგ.: Dün yeni gazete aldınız. Lütfen, gazeteyi veriniz. გუშინ ახალი გაზეთი იყიდეთ. თუ შეიძლება, გაზეთი მომეცით.*

დ) პირდაპირი დამატება თუ განსაზღვრულია *bu*; *şu*, *o* ნიშნებითი ნაცვალსახელებით, ე.ი. სინტაქსურად არის განსაზღვრული.

*მაგ.: Ben o kız-ı beğendim. მე ის გოგო მომეწონა. Ayşe bu kitabı okuyor. აიშე ამ წიგნს კითხულობს.*

სხვა შემთხვევებში ბრალდებითი ბრუნვის სუფიქსის ხმარება აუცილებელი არ არის.

### 5. ადგილობითი ბრუნვა

ადგილობითი ბრუნვა გადმოსცემს საგნის ადგილ-მდებარეობას სივრცესა და დროში. პასუხობს კითხვებზე – *kimde?* ვისში? (ვისთან?) *nerede?* სად? *nezaman?* როდის?

*ბრუნვის ნიშნებია:*

a) *-ta, -te* ყრუ თანხმოვანფუძიანებთან

b) *-da, -de* ყველა სხვა შემთხვევაში

გ) *-nda, -nde -ki* ნაწილაკიან და III პირის კუთვნილებით სუფიქსიან სახელებთან.

*მაგ.: ev-de სახლში*

*oda-da ოთახში*

*kitap-ta წიგნში*

*çanta-sı-nda იმის ნანთაში*

*sınıf-ları-nda იმათ საკლასო ოთახებში*

**6. დაწეებითი ბრუნვა**

დაწეებით ბრუნვას ორი დანიშნულება აქვს:

1) აღნიშნავს პუნქტს, საიდანაც იწყება მოქმედება.

2) გადმოსცემს მიზეზს, რის გამოც ხდება მოქმედება.

*ბრუნვის ნიშნებია:*

a) *-tan, -ten* ყრუ თანხმოვანფუძიანებთან.

b) *-dan, -den* ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

გ) *-ndan, -nden -ki* ნაწილაკიან და III პირის

კუთვნილებით სუფიქსიან სახელებთან.

*მაგ.: okul-dan სახლიდან.*

*sepet-ten კალათიდან*

*kitap-tan წიგნიდან*

*ev-i-nden იმის სახლიდან*

## ბრუნების ტიპები

სახელის ფუძის მიხედვით თურქულ ენაში სამი ტიპის ბრუნებაა:

1. თანხმოვანფუძიანი სახელების
2. ხმოვანფუძიანი სახელების
3. მესამე პირის კუთვნილებით სუფიქსიანი სახელების

# 1. თანხმომავანფუძიანი სახელეების

## ბრუნება

ბრუნებები	ხელი	წიგნი	თვალი
1. სახელ.	el ხელი	kitab წიგნი	göz თვალი
2. ნათეს.	el-in ხელის	kitab-in წიგნის	göz-ün თვალის
3. მიცემ.	el-e ხელს/ ხელზე	kitab-a წიგნს	göz-e თვალს
4. ბრალდ.	el-i ხელს	kitab-ı წიგნი/წიგნს	göz-ü თვალი/თვალს
5. ადგილ.	el-de ხელში	kitab-ta წიგნში	göz-de თვალში
6. დაწყებ.	el-den ხელიდან	kitab-tan წიგნიდან	göz-den თვალიდან

მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის I და II პირის კუთვნილებითსუფიქსიანი სახელეები იბრუნვის როგორც ყველა თანხმომავანფუძიანი სახელი.

	<b>defter-im</b> ჩემი რვეული	<b>göl-ümüz</b> ჩვენი ტბა
სახ.	defterim ჩემი რვეული	gölümüz ჩვენი ტბა
ნათ.	defterim-in ჩემი რვეულის	gölümüz-ün ჩვენი ტბის
მიც.	defterim-e ჩემს რვეულს	gölümüz-e ჩვენს ტბას
ბრალ.	defterim-i ჩემი რვეული/ ჩემს რვეულს	gölümüz-ü ჩვენი ტბა/ ჩვენს ტბას
ადგ.	defterim-de ჩემს რვეულში	gölümüz-de ჩვენს ტბაში
დაწყ.	defterim-den ჩემი რვეულიდან	gölümüz-den ჩვენი ტბიდან

	<b>masa</b> მაგიდა	<b>top</b> ბურთი
სახ.	masan შენი მაგიდა	topunuz თქვენი ბურთი
ნათ.	masan-in შენი მაგიდის	topunuz-un თქვენი ბურთის
მიც.	masan-a შენს მაგიდას	topunuz-a თქვენს ბურთს

ბრალ.	masan-ი შენი მაგიდა/ შენს მაგიდას	topunuz-ა თქვენი ბურთი/თქვენს ბურთს
ადგ.	masan-da შენს მაგიდაში	topunuz-da თქვენს ბურთში
დაწყ.	masan-dan შენი მაგიდიდან	topunuz-dan თქვენი ბურთიდან

## 2. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება

ბრუნებები	anne დედა	baba მამა
1. სახელობითი	anne დედა	baba მამა
2. ნათესაობითი	anne-nin დედის	baba-nin მამის
3. მიცემითი	anne-ye დედას	baba-ya მამას
4. ბრალდებითი	anne-yi დედა, დედას	baba-yi მამა, მამას
5. ადგილობითი	anne-de დედასთან, დედაში baba-da მამასთან, მამაში	
6. დაწყებითი	anne-den დედისგან, დედაზე baba-dan მამისგან, მამაზე	
ütü უთო		kutu კოლოფი
1. ütü უთო		kutu კოლოფი
2. ün-nin უთოსი		kutu-nin კოლოფის
3. ün-ye უთოს		kutu-ya კოლოფს, კოლოფში
4. ün-yü უთო, უთოს		kutu-yü კოლოფი, კოლოფს
5. ün-de უთოში		kutu-da კოლოფში
6. ün-den უთოდან, უთოზე		kutu-dan კოლოფიდან, კოლოფზე

## 3. III პირის კუთვნილებითსუფიქსიანი და -ki ნაწილაკიანი სახელების ბრუნება

### el ხელი

1. სახელობითი	el-i ხელი (მისი, თავისი)
2. ნათესაობითი	el-i-nin ხელის (მისი, თავისი)
3. მიცემითი	el-i-ne ხელს (მის, თავის), ხელში (მის, თავის)

- |               |   |
|---------------|---|
| 4. ბრალდებითი | el-i-ni ხელი, ხელის (მის, თავის)                        |
| 5. ადგილობითი | el-i-nde ხელში (მის, თავის)                             |
| 6. დაწვეებითი | el-i-nden ხელიდან (მისი, თავისი),<br>ხელზე (მის, თავის) |

**at** ცხენი

1. at-ი ცხენი (მისი, თავისი)
2. at-ი-ნი ცხენის (მისი, თავისი)
3. at-ი-na ცხენს (მის, თავის)
4. at-ი-ნი ცხენი (მისი, თავისი); ცხენს (მის, თავის)
5. at-ი-nda ცხენზე (მის, თავის)
6. at-ი-ndan ცხენიდან (მის, თავისი); ცხენზე (მის, თავის)

**göz** თვალი

1. göz-მ თვალი (მისი, თავისი)
2. göz-მ-ნი თვალის (მისი, თავისი)
3. göz-მ-ne თვალს (მის, თავის), თვალში (მის, თავის)
4. göz-მ-ნი თვალი (მისი, თავისი), თვალს (მის, თავის)
5. göz-მ-nde თვალში (მის, თავის)
6. göz-მ-nden თვალიდან (მისი, თავისი)

**kol** მკლავი

1. kol-ა მკლავი (მისი, თავისი)
2. kol-ა-ნი მკლავის (მისი, თავისი)
3. kol-ა-na მკლავს (მის, თავის)
4. kol-ა-ნი მკლავს, მკლავი (მის, თავის; მისი, თავისი)
5. kol-ა-nda მკლავში, მკლავზე (მის, თავის)
6. kol-ა-ndan მკლავიდან (მისი, თავისი), მკლავზე (მის, თავის)

**იზაფეთი**

იზაფეთი ეწოდება შესიტყვებას, რომელშიც ორი არსებითი სახელი მსაზღვრელის და საზღვრულის მნიშვნელობით არის დაკავშირებული.

იზაფეთი სამი სახისაა:

# I ოზაფეთი

I ოზაფეთში ორივე წვერი სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი. ისინი უაფიქსოდ, სემანტიკის დონეზე, უკავშირდებიან ერთმანეთს.

მსახდერელი შეიძლება იყოს:

ანითიერება ან მასალა, რომლისგანაც სახდერული წვერით გადმოცემული საგანი თუ ნივთია დამზადებული:

მაგ.: *altın saat* ოქრო საათი (ოქროს საათი)

*gümüş bilezik* ვერცხლი სამაჯური (ვერცხლის სამაჯური)

*ipek gömlek* 'აბრეშუმი პერანგი (აბრეშუმის პერანგი)

*taş duvar* ქვა კედელი (ქვის კედელი)

*cam boru* მინა მილი (მინის მილი)

ბ.პროფესიის, ტიტულის, ეროვნების, ცენზის, ნათესაობის გამომხატველი საგანი:

მაგ.: *Gürcü öğretmen* ქართველი მასწავლებელი

*Türk öğrenci* თურქი მოსწავლე

*Kadın işçi* მუშა ქალი

*Sultan Murat* სულთანი მურადი

*Kaptan Ömer* კაპიტანი ომარი

*Mareşal Nuri* მარშალი ნური

*Bay Osman* ბატონი ოსმანი

*Bayan Feride* ქალბატონი ფერიდე

იმავე ტიპის მსახდერელ - სახდერულის კონსტრუქციაში, ენის ისტორიის უფრო ადრინდელ საფეხურზე, შებრუნებული კონსტრუქცია იხმარებოდა, ის ახლაც იხმარება და პატივისცემის შინაარსს გამოხატავს.

მაგ.: *Ahmet Bey* აჰმედ ბეი, ბატონი აჰმედი

*Esmâ Hanım* ქალბატონი ესმა

*Mehmet Paşa* მკამეთ ყაშა

საჭიროების შემთხვევაში I ოზაფეთს შეიძლება დაერთოს სათანადო პირის კუთვნილებითი სუფიქსი.



## II იზაზუთი

მეორე იზაზუთში შემავალი ორი სახელიდან (მსაზღვრელ-საზღვრული) მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, საზღვრულს კი დართული აქვს III პირის კუთვნილებითი სუფიქსები. ასეთი კონსტრუქცია მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ზოგად მიკუთვნებულობას გამოხატავს, რომელიც სხვადასხვა შინაარსს გადმოსცემს:

ა. საგნის კერძო დანიშნულებას:

*duvar saati* კედლის საათი

*öğretmen odası* სამასწავლებლო ოთახი

*elbise dolabı* ტანსაცმლის კარადა

*istirahat evi* დასასვენებელი სახლი

ბ. მიმართებას საგანსა და მის სახელწოდებას შორის:

*Tiflis şehri* თბილისი ქალაქი (ქალაქი თბილისი)

*Cumhuriyet gazetesi* გაზეთი "ჯუმჰურიეთი"

*Çalikuşu romanı* რომანი "ჩალიქუშუ"

*Aragvi nehri* მდინარე "არაგვი"

*Rustaveli caddesi* რუსთაველის პროსპექტი

*Atatürk heykeli* ათათურქის ძეგლი

*Kostava sokağı* კოსტავას ქუჩა

გ. მიმართებას ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვასთან:

*ben zamiri* "მე" ნაცვალსახელი

*dur! emri* "სდექ" ბძანება

*A plâni* "A" გეგმა

დ. მიმართებას რიცხვებსა და *yaş* "ასაკი" სიტყვას შორის:

*30 yaşı* 30 წლის ასაკი

*16 yaşımda* 16 წლის ასაკში

*5 ay yaşımda* 5 თვის ასაკში

ე. მიმართებას თვის სახელწოდებასა და *ay* "თვე" სიტყვას შორის:

*Ocak ayı* იანვრის თვე

*Şubat ayı* თებერვლის თვე

*Temmuz ayı* ივნისის თვე

*Ekim ayı* ოქტომბრის თვე

ვ. მიმართებას კვირის დღეებსა და gün-დღე სახელის შორის:

მაგ.: Pazar günü - კვირა დღე  
Pazartesi günü - ორშაბათი დღე  
Salı günü - სამშაბათი დღე  
Çarşamba günü - ოთხშაბათი დღე  
Perşembe günü - ხუთშაბათი დღე  
Cuma günü - პარასკევი დღე  
Cumartesi günü - შაბათი დღე

ერთ სასლერულს შეიძლება რამდენიმე სიტყვიანი მსაზღვრელი უსწრებდეს წინ.

მაგ.: Dil ve Edebiyat fakultesi. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

Istanbul Ticaret ve Sanayi Şirketi. სტამბოლის ვაჭრობისა და მრეწველობის კომპანია.

მსაზღვრელი შეიძლება, თავის მხრივ, მეორე იზაფეთით დაკავშირებული სინტაგმა იყოს.

მაგ.: Tiflis Üniversitesi Rektörlüğü. თბილისის უნივერსიტეტის რექტორატი.

Türk Lehçeleri Sözlüğü. თურქული დიალექტოლოგიური ლექსიკონი.

Türk Dili Tarihi. თურქული ენის ისტორია.

მსაზღვრელიც და სასლერულიც შეიძლება სინტაგმები იყოს.

მაგ.: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi. სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი.

II ტიპის იზაფეთურ კონსტრუქციაში მსაზღვრელი ან სასლერული შეიძლება მრავლობით რიცხვში იდგეს.

მაგ.: Milletler Meclisi - ეროვნებათა საბჭო  
İlimler Akademisi - მეცნიერებათა აკადემია  
ders kitapları - სასწავლო წიგნები  
yazı masaları - საწერი მაგიდები

თურქულ ენაში მრავალი რთული სახელი II ტიპის იზაფეთითაა შედგენილი.

მაგ.: ayakkabı - ფეხსაცმელი

## atalarsözü– ანდაზა

I და II იზაფეთური სინტაგმა განუყოფელია – მსახღერელს უშუალოდ მოსდევს სახღერული. ყველანაირ გრამატიკულ ცვლილებას სახღერული განიცდის. მსახღერელი უცვლელი რჩება.

თუ მსახღერელს მოსდევს რამდენიმე სახღერული, კუთვნილებითი სუფიქსი ბოლო სიტყვას დაერთვის.

მაგ.: *Erkek palto, kostüm ve şapkalari. მამაკაცის პალტოები, კოსტუმები და ქუდეები. Ankara, İstanbul ve İzmir gazeteleri. ანკარის, სტამბოლის და იზმირის გაზეთები.*

I და II სახის იზაფეტურ კონსტრუქციაში თუ საგანი (სახღერული) ეკუთვნის მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის I, II პირს, მესამე პირის კუთვნილებითი სუფიქსი შეიცვლება სათანადო პირის კუთვნილებითი სუფიქსით.

მაგ.: *yazı masası* საწერი მაგიდა *yazı masam* ჩემი საწერი მაგიდა  
*okul defteri* სასკოლო რეეული *okul defterimiz* ჩვენი სასკოლო რეეული  
*uyku odası* საწოლი ოთახი *uyku odanız* თქვენი საწოლი ოთახი

## III იზაფეთი

III იზაფეთი მსახღერელ-სახღერულის გამოხატვის ერთ-ერთი კონსტრუქციაა და კერძო კუთვნილებასაც გადმოგვცემს – სახღერულს დართული აქვს III პირის კუთვნილებითი სუფიქსი. მსახღერელი, როცა კი ახლავს მას, ნათესაობით ბრუნვაში დგას. III იზაფეთის შემთხვევაში სახღერულს, გარდა ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსახღერელისა, შეიძლება ახლდეს უედსართავი სახელით წარმოდგენილი მსახღერელი:

*Memleketin en güzel şehri İstanbul. ქვეყნის ყველაზე ლამაზი ქალაქია სტამბოლი.*

*Anadolunun en büyük gölü Van gölüdür. ანატოლიის უდიდესი ტბა ვანის ტბა არის.*

*Türkiyenin yakın komşusu memleketimiz Gürcüstandır თურქეთის*

## ნაცვალსახელები

თურქულ ენაში სახელის ზოგადი კლასის ფარგლებში გამოიყოფა ნაცვალსახელების შემდეგი ძირითადი შინაარსობრივი ჯგუფები:

1. პირის ნაცვალსახელები
2. ნვენებითი ნაცვალსახელები
3. კითხვითი ნაცვალსახელები
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები
5. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები
6. მიკუთვნებით-განსაზღვრებითი ნაცვალსახელები
7. უარყოფითი ნაცვალსახელები

### 1. პირის ნაცვალსახელები

თურქულში პირის ნაცვალსახელები სამწვერიანი სისტემით არის წარმოდგენილი:

მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
I. ben მე	biz ჩვენ
II. sen 'შენ	siz თქვენ
III. o ის	onlar ისინი

მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს 'შეიძლება დაერთოს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსები – lar, -ler: -biz>bizler ჩვენები, -siz>sizler თქვენები. ეს ფორმები გამოხატავს ერთი საერთო ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს – ოჯახის წევრებს (ნვენები), ერთი შრომითი კოლექტივის წევრებს და სემანტიკურად უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს.

პირის ნაცვალსახელები არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის, მაგრამ რამდენიმე ნიშნით მაინც განსხვავდება სახელის ბრუნების საერთო სურათისაგან.

კერძოდ:

1) მხოლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის

- ნაცვალსახელებს (ben, sen) მიცემით ბრუნვაში საკუთარი ფუჟე აქეთ – იცვლიან ფუჟისეულ ხმოვანს: ben>ban-a, sen>san-a.
- 2) პირველი პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელთან, სხვა სახელებისაგან განსხვავებით, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გვევლინება სუფიქსი –im: ben>ben-im, biz>biz-im.
- 3) მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვსა და სახელობითი ბრუნვის გარდა დანარჩენ ბრუნვებში საკუთარი ნიშანი აქვს: o>oi-lar, o>oi-a, o>oi-u, o>oi-da, o>oi-dan.
- 4) için, ile, gibi, kadar თანდებულები, სხვა სახელებისაგან განსხვავებით, პირის ნაცვალსახელების ნათესაობით ბრუნვას დაერთვის, გარდა მრავლობითი რიცხვის მესამე პირისა. მაგ.: benim gibi, onlar gibi, senin kadar, onlar kadar და ა.შ.

### პირის ნაცვალსახელების ბრუნვა

1. სახელობითი	ben	sen	o
2. ნათესაობითი	ben-im	sen-in	oi-un
3. მიცემითი	ban-a	san-a	oi-a
4. ბრალდებითი	ben-i	sen-i	oi-u
5. ადგილობითი	ben-de	sen-de	oi-da
6. დაწყებითი	ben-den	sen-den	oi-dan

1. სახელობითი	biz	siz	onlar
2. ნათესაობითი	biz- <u>im</u>	siz-in	onlar-in
3. მიცემითი	biz-e	siz-e	onlar-a
4. ბრალდებითი	biz-i	siz-i	onlar-i
5. ადგილობითი	biz-de	siz-de	onlar-da
6. დაწყებითი	biz-den	siz-den	onlar-dan

სინტაქსურად პირის ნაცვალსახელი, ბრუნვის ფორმის შესაბამისად, წინადადების სათანადო წევრის როლში შეიძლება მოგვევლინოს. მათ შორის სახელადი შემასმენლის სახელადი ნაწილის როლში. ნაცვალსახელის ესა თუ ის ფორმა სათანადო

(ბრუნვის) თანდებულთ შეიძლება იყოს გაფორმებული.

## ნაცვასახელი – kendi ის; თვითონ; თავისი.

მორფოლოგიური თვალსაზრისით kendi არ განსხვავდება სხვა სახელებისგან, დაირთავს კუთვნილებით სუფიქსებს, რომელიც ამ შემთხვევაში პირის გამოხატეას ემსახურება; აქვს –ler სუფიქსიანი მრავლობითი, იბრუნვის. მრავლობითი რიცხვის I და II პირში –ler სუფიქსიანი მრავლობითის გაგება ისეთივეა, როგორც პირის ნაცვალსახელთან kendi-miz-ler ნევნები, kendi-niz-ler თქვენები. მხოლობითი რიცხვის მესამე პირში kendi-ს პარალელურად იხმარება kendisi. kendi და kendisi იბრუნვის როგორც მესამე პირის კუთვნილებითსუფიქსიანი სახელები. kendi//kendisi პირის დანარჩენი ნაცვალსახელებისაგან განსხვავდება მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის თანდებულთან ხმარების წესით – სახელების მსგავსად დგას სახელობით ბრუნვაში: kendi//kendisi için, kadar, ile, gibi.

სემანტიკურად kendi//kendisi, o პირის ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, უფრო დაკონკრეტებულია. მას ისეთივე გაგება აქვს, როგორიც ქართულ “თავი”. მაგ.: kendisini vurdu თავი მოიკლა, kendimi öldürdüm თავი მოვიკალი და ა.შ.

მხოლ. რიცხვი

მრავ. რიცხვი

I. kendi–m მე, მეთვისონ

kendi-miz ნვენ, ნვენ

თვითონ

II. kendi–n შენ, შენ თვითონ

kendi–niz თქვენ, თქვენ

თვითონ

III. kendi–si ის, იმან თვითონ

kendi–leri ისინი, იმათ

თვითონ

kendi//kendisi წინადადების ეველა წევრის როლში შეიძლება შეგბეგდეს. შეიძლება სახელადი შემასმენლის სახელადი ნაწილიც იყოს.

**kendi//kendisi** ნაცვალსახელის შემასმენლობითი კატეგორია

მხოლ. რიცხვი

მრავ. რიცხვი

I. kendim–im მე ვარ

kendimiz–iz ნვენ ვართ

II. kendin–sin შენ ხარ

kendiniz–siniz თქვენ

ხართ

**kendi//kendisi** ნაცვალსახელის ბრუნება

ბრუნებები	kendi	kendisi	
1. სახ.	kendi	kendisi	ის
2. ნათ.	kendi-nin	kendisi-nin	იმისი
3. მიც.	kendi-ne	kendisi-ne	იმას, იმისას
4. ბრალ.	kendi-ni	kendisi-ni	ის, იმას, იმისი
5. ადგილ.	kendi-nde	kendisi-nde	მასში, იმისაში
6. დაწყ.	kendi-nden	kendisi-nden	მისგან, იმისგან.

მაგალითები:

1. *Ali geldikten sonra kendisi ile beraber şehir gezdik.* ალის ჩამოსვლის შემდეგ მახთან ერთად ქალაქი დავათვალიერეთ.
2. *Erol, ödevi kendisi için hazırlıyor.* ეროლი დაეალებას თავისთვის ამზადებს.
3. *Kardeşim otomobili kendisi kullanıyor.* ჩემი ძმა მანქანას თვითონ მართავს.
4. *Kendisi burada değil.* ის აქ არ არის.
5. *Bu elbiseyi kendisi o diyor.* ამ ტანსაცმელს თვითონ კერავს.
6. *Kendisini (onu) görüyor musunuz?* იმას ნახულობთ?
7. *Kendimi soğuktan korurum.* თავს ხიცივისაგან ვიცავ.
8. *Kendimi bir ağacın arkasına gizledim.* თავი ხეს მხოფარე.
9. *Kendinizi bal ve kaymak ile beslediniz.* თავენი თავი თაველითა და კაიმაკით გამოკეებეთ.

## ჩვენებითი ნაცვალსახელები

თურქულ ენაში ნაცვალსახელები შემდეგი სამწვერიანი სიტყვებით არის წარმოდგენილი:

მხოლ. რიცხვი	მრავ. რიცხვი
I. bu ეს	bun-lar ესენი
II. şu ებ	şun-lar ებენი
III. o ის	on-lar ისინი

III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი პირის სათანადო ნაცვალსახელის იდენტურია და ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ კონსტექსტში, სინტაქსური ფუნქციების მიხედვით შეიძლება განეასხვაეთ; o kitap benimdir ის წიგნი ჩემია/o kimdir? ის ვინ არის?

ჩვენებითი ნაცვალსახელების შინაარსობრივი სპეციფიკა "ჩვენება, მითითება" არის. ამ სემანტიკური უნარის წყალობით მას შეუძლია შეცვალოს (ჩაენაცვლოს) არა მარტო ცალკეულ სიტყვას ან წინადადებას, არამედ ტექსტის ვრცელ ნაწილსაც.

სამწევრიანი სისტემის შიგნით ჩვენებითი ნაცვალსახელების დიფერენცირება ხდება მოსაუბრისგან მისანიშნებელი საგნის დაშორებულობის პრინციპით და ზოგად ფარგლებში ის ემთხვევა სათანადო ქართულ სისტემას: bu-ეს, şu-ეს, o, o-ის.

თურქული ენის სახელის კატეგორიათაგან ჩვენებითი ნაცვალსახელებისთვის, მისი სემანტიკური სპეციფიკის გამო, ცნობილია მრავლობითი რიცხვის წარმოება (bun-lar, şun-lar, on-lar) და ბრუნება; ნათესაობით ბრუნვაში შეიწყობს თანდებულებს.

*ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება*

სახ.	bu	şu	o
ნათ.	bun-un	şun-un	on-un
მიც.	bun-a	şun-a	on-a
ბრალ.	bun-u	şun-u	on-u
ადგილ.	bun-da	şun-da	on-da
დაწყ.	bun-dan	şun-dan	on-dan

სახ.	bun-lar	şun-lar	on-lar
ნათ.	bun-lar-ın	şun-lar-ın	on-lar-ın
მიც.	bun-lar-a	şun-lar-a	on-lar-a
ბრალ.	bun-lar-ı	şun-lar-ı	on-lar-ı
ადგილ.	bun-lar-da	şun-lar-da	on-lar-da
დაწყ.	bun-lar-dan	şun-lar-dan	on-lar-dan

თავისი ლექსიკური მნიშვნელობით, გარკვეული საერთო ელემენტების წყალობით, ჩვენებით ნაცვალსახელებთან ახლოს დგას შემდეგი სივრცობრივი მნიშვნელობის სიტყვები: bura აქაურობა, şura მაქაურობა, ora იქაურობა, öteki სხვა. ისინი დაირთავენ მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელს, კუთვნილებით სუფიქსებს,



იბრუნვიან და ამის შესაბამისად შეიწყობენ თანდებულებს.

მაგალითები:

1. *Bu çok sağlam bir ev.* ეს ძალიან კარგი სახლია.
2. *Şu biraz daha uzun.* ეგ ცოტა გრძელია.
3. *O işinize yaramaz.* ის თქვენს საქმეში არ გამოადგება.
4. *Bu al, ötekini getir.* ეს წაიღე, სხვა მოიტანე.
5. *Bunları kim götüreceğiz.* ამათ ვინ წაიღებთ?
6. *Şunları da onların yanına koyun.* ესენიც იმათ გვერდზე დააწვეეთ.
7. *Burası orasından daha güzel.* აქაურობა იქაურობაზე უფრო ლამაზია.
8. *Okul şurasındadır.* სკოლა აქეა.

### კითხვითი ნაცვალსახელები

კითხვით ნაცვალსახელს კითხვითი ინტონაცია ახლავს. იგი ნაენაცვლება არსებით სახელს, რიცხვით სახელს, 'ზმნიხედას. აგებულების მიხედვით კითხვითი ნაცვალსახელები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. მარტივი, 2. ნაწარმოები და 3. შედგენილი კითხვითი ნაცვალსახელები.

#### 1. მარტივი კითხვითი ნაცვალსახელები

მარტივი კითხვითი ნაცვალსახელებია *kim?*ვინ? *ne?*რა? *kaç?*რამდენი? *hangi?*რომელი? *hangisi?*რომელი მათგანი?

*kim?*ვინ? ადამიანთა ჯგუფის კითხვითი ნაცვალსახელია.

ყველა დანარჩენი (სულიერი და უსული) *ne?*რა? რა – ჯგუფის კითხვით ნაცვალსახელზე პასუხობს.

#### 2. ნაწარმოები კითხვითი ნაცვალსახელები

ამ ჯგუფის კითხვითი ნაცვალსახელები იწარმოება მარტივ კითხვით ნაცვალსახელზე სხედასხვა სიტყვათმწარმოებელი სუფიქსების დართვით: *ne?*რა? *ne-ci?*რა მოხელე, რა პროფესიის? *kaç?*რამდენი? *kaç-ıncı?* მერამდენე? *ne-kadar?* რამდენი? *ne-gibi?* როგორი? რაგვარი? რანაირი?

#### 3. შედგენილი კითხვითი ნაცვალსახელები

ამ ჯგუფის კითხვითი ნაცვალსახელები კომპოზიტებს

წარმოადგენს და შედგება მარტივი კითხვითი ნაცვალსახელისა და სხვადასხვა სიტყვებისაგან: *ne-zaman?* როდის? *ne-vakil?* რა დროს, როდის? *ne-biçim?* რა სახის? რანაირი?

კითხვით ნაცვალსახელებს, ლექსიკური სემანტიკის შესაბამისად, მოუპოვებათ სახელისათვის დამახასიათებელი ყველა მორფოლოგიური კატეგორია: რიცხვი, კუთვნილების კატეგორია, ბრუნება, შეიწყობს თანდებულებს.

*ne-kadar?* რამდენი? *ne-gibi?* როგორი? *niçin?* რისთვის? *neyle?* რით? *kim-in kadar?* ვისოდენა? *kim-in gibi?* ვისი მსგავსი? *kim/için//kim-in için?* ვისთვის? *kim ile//kimin ile?* ვისთან ერთად?

### კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

სახ.	kim	ne	hangi-si	kaç
ნათ.	kim-in	ne-yin	hangi-si-nin	k a ç - ı n
მიც.	kim-e	ne-ye	hangi-si-ne	k a ç - a
ბრალ.	kim-i	ne-yi	hangi-si-ni	k a ç - ı
ადგილ.	kim-de	ne-de	hangi-si-nde	k a ç - t a
დაწყ.	kim-den	ne-den	hangi-si-nden	kaç-tan

მაგალითები:

1. *Kitapları kim getirdi?* წიგნები ვინ მოიტანა?
2. *Yanında ne var?* რა არის მის გვერდით?
3. *Hangisi sizinle gelecek?* რომელი წამოვა თქვენთან ერთად?
4. *Buraya nereden geldiniz?* აქ საიდან მოხვდით?
5. *Testlerin kaçı cevaplandı?* რამდენ ტესტს გაეცა პაუზი?
6. *Hangi ev güzel?* რომელი სახლია ლამაზი?
7. *Bizim onlardan ne-miz eksik?* რა გეაკლია მათგან განსხვავებით?

### კუთვნილებით-განსახვრებითი ნაცვალსახელები

ეს ნაცვალსახელი რთული შედგენილობისაა: *ben-im-ki* ჩემეული, ჩემი.

ამ ნაცვალსახელებისათვის საწარმოებელ ბაზას წარმოადგენს პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც

მიკუთვნებულობის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება, განსაზღვრებითობას კი მას –ki განსაზღვრებითი ნაწილაკი აკისრებს. ამგვარ ნაცვალსახელს პრაქტიკულად ფართო გამოყენება აქვს დიალოგურ მეტყველებაში. იგი მიკუთვნებითი შინაარსის მქონე უკვე წარმოთქმულ ფრაზაში მიკუთვნებულობის შინაარსის გამომხატველ უფრო ვრცელ კონსტრუქციას ჩაენაცვლება და ამით ერთგვარად ხელს უწყობს დიალოგის სტილურ სისხარტეს:

1. *Benim kalem(im) kırmızı, sen-in-ki yeşil.*

*ჩემი კალამი წითელია, შენი (კალამი) მწვანე.*

2. *Kitabını bulamıyorsan ben-im-ki-ni al.*

*შენს წიგნს თუ ვერ პოულობ ჩემი (წიგნი) წაიღე.*

3. *Ben-im-ki durmuş, senin saatin kaç?*

*ჩემი გაჩერებულა, შენ საათზე რა დროა?*

4. *Benim ödevim bitmedi, on-un-ki-nden yaz.*

*ჩემი დაეალება დამთავრებული არ არის, მისგან გადაიწერე.*

ben-im ტიპის ფორმები პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. იგი მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს სათანადო პირის კუთვნილებითიან სიტყვას და ამდენად III იზაფეთის კონსტრუქციაში მონაწილეობს.

Ben-im-ki ახალი, დამოუკიდებელი ლექსიკური – გრამატიკული ოდენობაა (ჩემეული), სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი ერთეულია და ისევე იქცევა წინადადებაში, როგორც ნებისმიერი სახელი. სემანტიკურად და გრამატიკულად იგი თავისი მონაცვლე კონფიგურაციის (მსაზღვრელ-საზღვრულის) ჯამს წარმოადგენს.

## ბანსაზღვრებითი ნაცვალსახელები

თურქულ ენაში არსებული განსაზღვრებითი ნაცვალსახელები შედგენილობის თვალსაზრისით შემდეგ სამ ჯგუფად იყოფა:

1. მარტივი – her ყოველი, *her* ყველა, *bütün* მთელი, *cümle* ყველა.

2. რთული განსაზღვრებითი ნაცვალსახელები მოიცავენ თანდებულებით გაერთობილ სხვადასხვა ნაცვალსახელებს: *bu* ეს, *böyle* ასეთი, *şu* ეგ, *şöyle* ისეთი; *ben* მე, *benimgibi* ჩემისთანა; *sen*

შენ, *seningibi* შენისთანა; bu ეს, *bukadar* ამდენი, ამოდენა; o ის, *okadar* იმდენი.

3. შედგენილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ნაცვალსახელების შეწყვილებით მიიღება: *herbir* ყოველი, *herkes* ყველა, ყოველი; *herşey* ყველაფერი, *herhangi* ნებისმიერი; *hertürlü* ყოველგვარი, ყოველნაირი; *herkim* ყოველი, *herne* ყველაფერი.

საზღვრულთან ერთად მეოფი ნაცვალსახელი იბრუნვის და ამ დროს ფორმას იცვლის მხოლოდ საზღვრული ნაწილი.

სუბსტანციისობის სხვადასხვა საფეხურზე მეოფი ეს ნაცვალსახელები მეტნაკლებ დამოუკიდებლობას იძენენ. 'სოგი მათგანი დამოუკიდებლად არ იხმარება, მხოლოდ განსაზღვრების ფუნქციით გეხველება ხოლმე.

### ბანუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

ნაცვალსახელების ამ ჯგუფში მოქცეულია ნაცვალსახელური წარმოშობის მთელი რიგი ნაცვალსახელები: *bazi* 'სოგიერთი, სოგჯერ; *kimse* ვიღაცა, არავინ; *nesne* რაღაცა, რაიმე; *bir* ერთი, ვიღაც; *biri* ვიღაცა; *birisi* ვიღაცა; *birkaç* რამდენიმე; *birşey* რაღაც, არაფერი; *birçok* რამდენიმე; *birtürlü* რაღაცნაირი, რაღაცნაირად – არანაირი, არანაირად; *fâlan* მავანი.

ნამოთვლილი ნაცვალსახელები სუბსტანციის მაღალი დონით ხასიათდება და თავისუფლად ასრულებს არა მარტო მსაზღვრელის როლს, არამედ ასევე თავისუფლად ჩაენაცვლება მეტყველების ნაწილების სხვადასხვა შინაარსობლივ ჯგუფებს მათი სემანტიკის შესაბამისად:

1. არსებით სახელებს: *bazi* 'სოგიერთი, 'სოგიერთი მათგანი; *kimse* ვიღაც, ვიღაცა, ვინმე; *nesne* რაღაც, რაღაცა; *biri//birisi* ვიღაც, ვიღაცა.

2. რიცხვით სახელებს: *birkaç* რამდენიმე/ *birkaçi* რამდენიმე.

3. ზედსართავს და 'მნიშვნელს: *birtürlü* რაღაცნაირი/რაღაცნაირად.

ზემოხსენებული ნაცვალსახელები სემანტიკურად განუსაზღვრელობითი მნიშვნელობისაა, სინტაქსურად, ჩვეულებრივ, განსაზღვრების როლში გამოდის. მათზე დართული კუთვნილებითი სუფიქსების წყალობით იგი იფართოვებს მნიშვნელობას –

მსაზღვრელ-სა'ზღვრულის მთელ კონსტრუქციას ჩაენაცვლება:

*Birkaçı dün, bazıları bu sabah geldiler. რამოდენიმე გუშინ,  
ზოგიერთი დღეს დილას ჩამოვიდა;*

*Birçoğu telefon etti. რამდენიმემ ტელეფონით დარეკა;  
Bazı sorular kolay, bazıları zordu. 'ზოგი კითხვა ადვილი,  
ზოგიერთი ძნელი იყო;*

*Bazı insanlar çok konuşur, bazıları çok susar. ზოგი ადამიანი ბევრს  
ლაპარაკობს, ზოგნი სულ ხმას არ იღებენ.*

## უარყოფითი ნაცვალსახელები

თურქულ ენას საკუთარი უარყოფითი ნაცვალსახელები არ მოეპოვება. სამაგიეროდ ამ სემანტიკის ნაცვალსახელების საწარმოებლად იგი ფართოდ და ეფექტურად იყენებს სპარსული ენიდან ნასესხებ უარყოფით ნაცვალსახელ *hiç*-ს არა, არფერი. როგორც წესი, იგი ერთეის თურქულ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს და ასეთი კომპოზიტი, სპარსული და თურქული ელემენტებისაგან შემდგარი რთული სიტყვა, თურქულისათვის უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობას ან ფუნქციას იძენს.

*hiçbir* არცერთი, *hiçbiri* არცერთი (მათგანი); *hiçbirisi* არცერთი(მათგანი, არავინ); სულიერი ან უსულო საგანი.

*hiçkimse* არავინ

*hiçbir yer* არცერთი ადგილი

*hiçbir şey* არაფერი, არცერთი (ნივთი, საგანი)

*hiçbir insan* არცერთი ადამიანი

*hiçbir vakit* არასოდეს

*hiçbir iş* არაფერი, არცერთი საქმე.

ეველა ეს ნაცვალსახელი, რომელიც ორი ელემენტისგან შედგება, გრამატიკულად ერთ რთულ სიტყვად არის შეკრული და იბრუნვის სახელის ბრუნების საერთო წესის შესაბამისად. (თანხმოვანფუძიანი, ხმოვანფუძიანი, III პ. კუთვნილებითსუფიქსიანი).

## ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი საგანს განსაზღვრავს რაიმე ნიშნის მიხედვით. საგანი შეიძლება იყოს: *büyük* დიდი, *küçük* პატარა, *kara* შავი და ა.შ.

ზედსართავი არსებობს მხოლოდ რაიმე საგანთან მიმართებაში.

ზედსართავის კითხვაა – *nasıl?* როგორი?

ჩვეულებრივია, როცა ერთი და იგივე სიტყვა ერთი ნიშნის მიხედვით ერთ კატეგორიას განეკუთვნება, სხვა ნიშნის მიხედვით კი – სხვა კატეგორიას. ასევეა ზედსართავი სახელები: თუ სახელს განსაზღვრავს – იგი ზედსართავი სახელია, ხოლო როცა ზმნას – ზმნიწედა.

### ზედსართავი არსებით სახელთან

ზედსართავი სახელი სემანტიკის მიხედვით ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი. შედგენილობის მიხედვით – მარტივი, ნაწარმოები და შედგენილი.

1. ვითარებითია პირველადი ზედსართავი სახელი, მას მორფოლოგიური ნიშანი არ აქვს, ფორმით მარტივია. ლექსიკური მნიშვნელობით ამ ჯგუფს ეკუთვნის ისეთი სახელები, როგორიც შემდეგი ნიშნების მიხედვით განსაზღვრავენ სახელებს:

ა) ფერის მიხედვით: *yeşil*-მწვანე, *sarı*-ყვითელი, *mor*-ლურჯი და სხვ.

ბ) თვისობრივად: *iyi*-კარგი, *fena*-ცუდი, *güzel*-ლამაზი, *dirli*-ცოცხალი და სხვ.

გ) გემოს მიხედვით: *acı*-მწარე, *tatlı*-ტკბილი, *sıcak*-ცხელი, *soğuk*-ცივი და სხვ.

დ) ფიზიკური მდგომარეობის ან აღნაგობის მიხედვით: *sağır*-ერუ, *kör*-ბრმა, *topal*-კოჭლი, *şaşıl*-ელამი, *koca*-მოხუცი და სხვ.

ე) რიცხვისა და დროის მიხედვით: *yakın*-ახლო, *uzak*-შორი, *derin*-ღრმა, *uzun*-გრძელი, *sağ*-მარჯვენა, *sol*-მარცხენა.

ვ) სხვადასხვა თვისების მიხედვით: *çabuk*-სწრაფი, *yavaş*-ნელი, *ŷeynari*, *boş*-ცარიელი.

2. მიმართებითი უედსართავი მორფოლოგიურად ყოველთვის სუფიქსებითაა ნაწარმოები, რადგან საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებითაა ნაგულისხმევი. მიმართებითი უედსართავეები ნაწარმოები უედსართავეებია.

მიმართებითი უედსართავეები მიიღება როგორც არსებითი სახელებისაგან, ასევე – ზმნებისგან სათანადო სუფიქსების დართვით.

## არსებითი სახელებისგან უედსართავის წარმოქმნილი სუფიქსები

1. –li, -li, -lu, -lü: ქონების აღმნიშვნელი სუფიქსით მიღებული უედსართავეები ვითარებითიც შეიძლება იყოს, სემანტიკიდან გამომდინარე, და მიმართებითიც.

ა) ვითარებითია, როცა ფუძე თვისობრივ მნიშვნელობას გამოხატავს.

მაგ.: *yaş>yaşlı* ასაკოვანი, ხნიერი  
*tat>tatlı* ტკბილი, გემრიელი  
*neşe>neşeli* მხიარული  
*kuvvet>kuvvetli* ძლიერი  
*dikkat>dikkatli* ყურადღებთან

ბ) მიმართებითია, როცა ფუძეს საგნობრივი მნიშვნელობა აქვს.

მაგ.: *tuz>tuzlu* მარილიანი  
*süt>sütlü* რძიანი  
*at>atlı* ცხენიანი  
*şemsiye>şemsiyeli* ქოლგოვანი

2. –sız, -siz, -suz, -süz სუფიქსიანი უედსართავეები –li სუფიქსიანების ანტონიმებია – უქონლობას გამოხატავს.

მაგ.: *tat>tatsız* უგემური  
*bensiz>* უნემო(დ)  
*tuz>tuzsuz* უმარილო  
*süt>sütsüz* ურძეო

3. –ki სუფიქსიანი უედსართავი საგანს განსაზღვრავს

სათანადო სახელის სემანტიკის შესაბამისად. იგი ერთვის სახელობით, ნათესაობით და აღვილობით ბრუნვაში დასმულ სახელს.

*sabah>sabahki დიღანდელი*  
*bugün>bugünkü დღეუენდელი*  
*akşam>akşamki საღამოსი*  
*dün>dünkü გუშინდელი*  
*sen-in>seninki შენეული, შენი*  
*Ali-nin-ki ის, რომელიც ალისია*  
*ev>evdeki სახლში მყოფი*  
*uzak>uzaktaki შორს მყოფი*

4. -(i)msı, -(i)msi, -(u)msu, -(u)msü სუფიქსებს იგივე მნიშვნელობა აქვს რაც -sı სუფიქსს. განსხვავდება მხოლოდ განაწილების წესით: -sı მხოლოდ თანხმოვანფუძიანებთან; -(i)msı<sup>ლ</sup> ხმოვან და თანხმოვანფუძიანიბთან.

*მაგ.: meydanımsı//meydansı მოედნის მსგავსი*  
*adamımsı//adamsı კაცის მსგავსი*  
*yeşilimsi//yeşilsı მომწვანო.*

5. -(i)mtırak სუფიქსი ერთვარიანტიანია, ხმოვანთა და თანხმოვანთა ჰარმონიას არ ემორჩილება; იგი აწარმოებს 'სუდსართაუებს გემოსა და ფერის შინაარსით:

*მაგ.: yeşil>yeşilmtırak მომწვანო*  
*sarı>sarımtırak მოყვითალო*  
*beyaz>beyazımtırak მოთეთრო*  
*tatlı>tatlımtırak მოტკბო*  
*acı>acımtırak მომწარო*  
*ekşi>ekşimtırak მომჟეო*

თურქული ენის ღექსიკაში შემორჩენილია არაბული 'სუდსართაუი სახელების მსგავსად ნაწარმოები 'სუდსართაუები, რომლებიც ფუძეზე i ხმოვნის დართვით მიიღება.

*მაგ.: gümüş>gümüşü ვერცხლის*  
*kurşun>kurşuni ტყეის*  
*demir>demiri რკინის*  
*Türk>türkü თურქული*  
*kıral>kıralı მეფური*



ზმნიდან ზედახართავეის წარმომქმნელი სუფიქსები

1. –ma, –me: *asma köprü* – დაკიდული ხიდი  
*kalma şey* – დარსენილი რაღაც  
*dolma kalem* – ხავსე კალამი(მუღმივი კალამი)  
*doğma Türk* – ნამდვილი თურქი  
*yapma çiçek* – ხელოვნური ყვავილი
2. –(y)ıcı, –(y)ıcı, –(y)ıcu, –(y)ücü:  
*dondurucu rüzgâr* – გამყინავე ქარი  
*uyutucu ilâç* – ძილის წამალი  
*kesici alet* – ბასრი იარაღი  
*güldürücü gaz* – გასამხიარულელებელი გაზი  
*koruyucu* – დამცველი და სხვ.
3. –(ı)ı, –(i)li, –(u)lu, –(ü)lü : *yazılı* – წერილობითი  
*örtülü* – დაფარული, გადაფარებული
4. –(ı)k, –(i)k, –(u)k, –(ü)k, –(a)k, –(e)k  
მაგ.: *açık* – ღია  
*silik* – წაშლილი  
*çözük* – შეხსნილი  
*sarsak* – შერეული  
*kıvrak* – დაგრეხილი  
*bulanık* – შემღვრეული  
*değişik* – შეცვლილი  
*soluk* – ფერშეცვლილი  
*sönük* – ჩამქრალი
5. –gan, –gen, –kan, –ken: მიმლეობისაგან განსხვავებით,  
მუღმივე სუფიქსზე მისუთითებს:  
მაგ.: *dövüşken* – მონახუბარი  
*çalışkan* – ბეჯითი  
*etken* – მომქმედი  
*edilgen* – ენებულო, გაკეთებული.
6. –kın, –kin, –kun, –kün ერუფუქიანებისათვის  
–gın, –gin, –gun, –gün დანარსენ ბგერებზე დაბოლოვებული  
სიტყვებისათვის:  
მაგ.: *yorgun* – დაღლილი  
*seçkin* – რსეული

*kirgin* – გატეხილი  
*tutkun* – შეპყრობილი, შეყვარებული  
*dalgın* – ჩაფიქრებული  
*durgun* – მდგომი  
*coşkun* – მღულარე, აღელვებული

ზედსართავისაგან მოფერებითი და კინობითი ფორმები იმავე სუფიქსებით მიიღება, რომლებითაც არსებითი სახელებისაგან:

მაგ.: *güzel>güzelcik* მოლამაზო

*ufak>ufacık* ერთი ბეწო

*çabuk>çabucak* სწრაფი

*iyice kumaş* კარგი ნაჭერი

*derince bir kuyu* საკმაოდ ღრმა ჭა და სხვა.

## რთული ზედსართავი

შედგენილი ზედსართავი ორი და ორზე მეტი სახელის გაერთიანებით მიღებული ზედსართავია.

შედგენილი ზედსართავი ფორმაუცვლელია, ხარისხებს ვერ აწარმოებს.

ასეთებია: *mirasyedi (adam)* მფლანგველი

*delikanlı (çocuk)* ახალგაზრდა

*delidolu (kız)* გადარეული, ახირებული

*başibozuk (yönetim)* სამოქალაქო

*başiboş (hayvan)* უსაბელო

*pisboğaz (adam)* ღორმუცელა

*kahverengi (kumaş)* ყავისფერი

*eşsesli (kelime)* ომონიმი და სხვ.

## ზედსართავი სახელის ხარისხები

თურქულ ენაში ზედსართავ სახელს შემდეგი ხარისხები აქვს:

1. დადებითი ხარისხი
2. ოდნობითი ხარისხი
3. აღმატებითი ხარისხი

## დადებითი ხარისხი

დადებით ხარისხს გამოხატავს პირველადი წარმოების უედსართავე სახელი თავისი მნიშვნელობის შესაბამისად და ხარისხის გამომხატველი რაიმე დამატებითი საშუალება მას არ ახლავს:

*sarı* ყვითელი, *uzun* გრძელი,

*kısa* პატარა, *uzun* მოკლე.

დანარსენი ორი ხარისხი (ოდნაობითი და აღმატებითი) იწარმოება დადებითი ხარისხის უედსართავე სახელისგან სხვადასხვა სუფიქსების საშუალებით.

## ოდნაობითი ხარისხი

ოდნაობითი ხარისხის გამომხატველი უედსართავე სახელები იწარმოება დადებითი ხარისხის გამომხატველი (პირველადი, მარტივი) უედსართავე სახელებისგან შემდეგი სხვადასხვა სუფიქსების საშუალებით:

1. **-ca, -ce** ყრუ თანხმოვნებზე დაბოლოვებულ სახელებისგან.

*sıcak* ცხელი. > *sıcak-ca* ოდნავ ცხელი

*büyük* დიდი > *büyük-ce* ოდნავ დიდი, მოდიდო

*geniş* ფართო > *geniş-ce* ოდნავ ფართო,

საკმაოდ ფართო

*açık* ღია > *açık-ca* მოღიაო, ნათლად

2. **-ca, -ce** დანარსენ ბგერებზე დამთავრებული სახელებისგან:

*uzun* გრძელი > *uzun-ca* მოგრძო

*serin* გრილი > *serin-ce* საკმაოდ გრილი

*yaşlı* ხნიერი > *yaşlı-ca* საკმაოდ ხნიერი

*sivri* წვეტიანი > *sivri-ce* საკმაოდ წვეტიანი

*kara* შავი > *kara-ca* მოშავო, შავ-შავი

*iri* მსხვილი > *irice* მომსხო, საკმაოდ მსხვილი.

3. ყერის აღმნიშვნელ სახელებთან, პარალელურად, გვხვდება ოდნაობითი ხარისხის წარმოების შემდეგი სურათი.

ა) თანხმოვანზე დაბოლოვებულ სახელებთან – *imtirak*//*-mtirak*/  
*-msı*: *yeşil* მწვანე; *yeşil-imitrak*//*yeşil-mtirak*//*yeşil-imsi*//*yeşil-si*  
მომწვანო; *mavi* ლურჯი; *mavi-mtirak*//*mavi-msi*//*mavi-si*

მოღუჯო.

ბ) ხმოვნებზე დაბოლოვებულ სახელებთან -*mtirak//msi//si-sari* ყვითელი; *sari-mtirak//sari-msi//sari-si* მოყვითალო.

გ) -*çik*, -*çık*, *çuk*, -*çük* ყრუ თანხმოვნების შემდეგ; -*cik*, -*cık*, *cuk*, -*cük* დანარჩენ ბგერებზე დაბოლოვებულ ზედსართავ სახელებთან:

*küçük* პატარა > *küçü-cük* საკმაოდ პატარა;

*kısa* მოკლე > *kısa-cık* საკმაოდ მოკლე;

*ince* წვრილი > *ince-cik* საკმაოდ წვრილი.

ამ მაგალითების შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ხედსართავი სახელების ლექსიკური მნიშვნელობა: *küçük* პატარა, *kısa* მოკლე, *ince* წვრილი. სამივე ეს მაგალითი და მისი სემანტიკური ველის ყველა მაგალითი, ისედაც, სათანადო თვისების ნაკლებობას გამოხატავენ და ოდნობითი ხარისხის ფორმაში, სემანტიკურად, დადებითი ხარისხის დონისათვის საჭირო დონის თვისებაც არ მოეპოვებათ.

### აღმატებითი ხარისხი

თურქული ენა აღმატებითი ხარისხის ხედსართავი სახელის წარმოების რამოდენიმე ხერხს იყენებს:

ა) *en* თავსართი, რომელიც წინ უძღვის ზედსართავ სახელს და ცალკე იწერება:

*güzel* ლამაზი – *en güzel* ულამაზესი

*büyük* დიდი – *en büyük* უდიდესი

*kısa* მოკლე – *en kısa* უმოკლესი

ბ) ფუძის ნაწილობრივ გამეორების (რედუპლიკაციის) გზით: დადებითი ხარისხის ფორმით წარმოდგენილ ზედსართავ სახელს წინ ემატება თავისივე პირველი მარცვალნი და ამ პირველ მარცვალსა და ზედსართავ სახელს შორის ჩაემატება ერთი შემდეგი 4(ოთხი) თანხმოვნიდან: *m*, *p*, *r*, *s*.

*yeşil* მწვანე > *ye-m-yeşil* ძალიან მწვანე, უმწვანესი

*sarı* ყვითელი > *sa-p-sarı* უყვითლესი, ძალიან ყვითელი

*temiz* სუფთა > *te-r-temiz* უსუფთავესი, ძალიან სუფთა

*uzun* გრძელი > *u-p-uzun* უგრძესი

*katı* მაგარი > *ka-s-katı* უმაგრესი

- გ) ფუძის სრული გამეორების გზით:  
*sarı-sarı güller ყვითელ-ყვითელი ყვავილები*  
*tatlı-tatlı elmalar ტკბილ-ტკბილი ვაშლები*  
*küçük-küçük odalar პატარ-პატარა ოთახები.*
- დ) გაორკვებულ ფუძეს შორის კითხვითი ნაწილაკის ჩართვით:  
*sıcak mı sıcak bir hava ძალიან ცხელი ამინდი*  
*sevimli mi sevimli kız საყვარელი, საყვარელი გოგონა*  
*güzel mi güzel bir ev ღამაში ღამაში სახლი*  
*zor mu zor bir iş ძნელად ძნელი საქმე*
- ე) სინონიმების პარალელური ხმარებით:  
*doğru-dürüst bir iş მართალი საქმე*  
*boylu-poslu bir genç 'სორბა ახალგაზრდა*  
*anlı-şanlı zafer სახელოვანი გამარჯვება*  
*kargacık-burgacık yazı ბატიფუხური ნაწერი*  
*ivir-zivir sözler აბლაუბლა სიტყვები*

## ზედსართავი სახელის სინტაქსური კონსტრუქციები

ზედსართავი სახელი შეიძლება სინტაქსურად გაერცობილი იყოს მისივე ლექსიკური მნიშვნელობის შეფასების შემცველი გრამატიკული ელემენტებით – ნაწილაკებით და თანდებულებით *daha, kadar, gibi*. ასეთი რამ ხდება შედარების გამომხატველ კონფიგურაციებში.

შედარების გამომხატველ კონფიგურაციაში გვაქვს ერთმანეთთან შესადარებელი ორი წევრი – შედარების სუბიექტი, ის წევრი, რომელიც რაღაცას ან ვიღაცას უნდა შევადაროთ და შედარების ობიექტი, ის წევრი, რომელსაც უნდა შევადაროთ შედარების სუბიექტი.

- ა) შედარების გამომხატველ კონფიგურაციაში შედარების სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო შედარების ობიექტი დაწვებით ბრუნვაში:

*Ankara İzmirden büyük-tür ანკარა იზმირზე დიდია*  
*Köy şehirden küçük-tür სოფელი ქალაქზე პატარაა*

- ბ) *daha* ნაწილაკიან შედარების კონფიგურაციაში ხაზი აქვს

გასმული შედარების ობიექტის ჭარბ თვისებას, სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო შედარების ობიექტი დაწყებითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

*Ankara Izmirden daha büyüktür* ანკარა იზმირზე უფრო დიდია.

*Kardan daha beyaz gömlek* თოვლზე უფრო თეთრი კერანგი.

- გ) *kadar* და *gibi* თანდებულებიან შედარების კონფიგურაციაში შესადარებელი საგნების თვისებათა ტოლობა-მსგავსებას გაესმის ხაზი. *kadar* "ტოლა, ოდენა", თვისების ტოლობას უსვამს ხაზს; *gibi* "ვით" კი თვისების მსგავსებაზე ამახილებს ყურადღებას. ეს თანდებულები ნაცვალსახელების ნათესაობით ბრუნვაში, სახელებს კი სახელობით ბრუნვაში შეეწყობიან.

*Ayşe Feride kadar çalışkandır*

*Ayşe Feride gibi çalışkandır*

*Ayşe benim gibi çalışkandır*

*Ayşe benim kadar çalışkandır*

## რიცხვითი სახელი

რიცხვითია სახელი რომელიც საგანზე რიცხობრივ წარმოდგენას იძლევა. პასუხობს კითხვებზე: *kaç?* რამდენი? *kaçıncı?* მერამდენე? *kaçar?* რამდენ, რამდენი? *yüzde kaç?* რამდენი პროცენტი? თურქულ ენაში რიცხვითი სახელები ოთხი სახისაა:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი
2. რიგობითი რიცხვითი სახელი
3. განყოფითი რიცხვითი სახელი
4. წილობითი რიცხვითი სახელი

## რაოდენობითი რიცხვითი სახელები

რაოდენობითი რიცხვითი სახელები აგებულების თვალსაზრისით ორი სახისაა: მარტივი და შედგენილი.

1. მარტივი რიცხვითი სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი, პასუხობს კითხვაზე *kaç?* მარტივია ერთიდან ათამდე, ნულის ჩათვლით, და ათი, ასი, ათასი, მილიონი....

ერთეულები	ათეულები	ასი, ათასი...
sıfır 0		
bir 1	on 10	yüz 100
iki 2	yirmi 20	bin 1000
üç 3	otuz 30	milyon 1 000 000
dört 4	kırk 40	milyar 1 000 000 000
beş 5	elli 50	
altı 6	altmış 60	
yedi 7	yetmiş 70	
sekiz 8	seksen 80	
dokuz 9	doksan 90	

2. შედგენილი რიცხვითი სახელის შემადგენელი ყველა ციფრი სახელობით ბრუნვაშია.

მაგ.: *on beş* – 15

*on dokuz* – 19

*bin dokuz yüz doksan sekiz* – 1998

რაოდენობით რიცხვით სახელს შეიძლება მოსდევდეს სპეციალური სიტყვები, როგორცაა:

*tane* – ცალი; *beştane kalem* – ხუთი ცალი კალამი

*baş* – თავი; *on baş inek* – ათი თავი ძროხა

*takım* – კომპლექტი; *iki takım çamaşır* – ორი კომპლექტი

თეთრეული

*adet* – ცალი, რაოდენობა; *bin adet otobüs* – ასი ცალი

ავტობუსი

*gift* – წყვილი; *üç gift çorap* – სამი წყვილი წინდა

*el* – ხელი; *beş el oynamak* – ხუთი ხელი თამაში

*parça, dilim* – ნაწილი, ნაჭერი; *bir dilim (parça) ekmek* –

ერთი ნაჭერი პური

განუსაზღვრელ რაოდენობას გადმოსცემს *-lar, -ler* და *-ca, -ce* სუფიქსებით გაერცობილი რიცხვითი სახელი:

მაგ.: *onlarca* – ათობით

*yüzlerce* – ასობით

*binlerce* – ათასობით

## რიგობითი რიცხვითი სახელები

რიგობითი რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან შემდეგი სუფიქსების დართვით:

1. -inci, -ıncı, -uncu, -üncü – თანხმოდანფუძიანებისთვის
2. -inci, -inci, -ıncı, -ıncı – ხმოდანფუძიანებისთვის

მაგ.: *bir* > *birinci* ერთი > პირველი

1. *iki* > *ikinci* მეორე

2. *altı* > *altıncı* მეექვსე

3. *yedi* > *yedinci* მეშვიდე

4. *on beş* > *on beşinci*

5. *yüz otuz iki* > *yüz otuz ikinci* ასოცდამეთორმეტე

რიგობითი რიცხვითი სახელი პასუხობს კითხვაზე *kaçıncı?* მერამდენე?

## განყოფითი რიცხვითი სახელი

განყოფითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან შემდეგი სუფიქსების საშუალებით.

ა) *-şar, -şer* – თანხმოდანფუძიანებისთვის

ბ) *-ar, -er* – ხმოდანფუძიანებისთვის

მაგ.: *bir* > *birer* თითო-თითო

*iki* > *ikişer* ორ-ორი

*üç* > *üçer* სამ-სამი

*dört* > *dörder* ოთხ-ოთხი

*beş* > *beşer* ხუთ-ხუთი

*altı* > *altışer* ექვს-ექვსი

*yedi* > *yedişer* შვიდ-შვიდი

*sekiz* > *sekizer* რვა-რვა

*dokuz* > *dokuzar* ცხრა-ცხრა

*on* > *onar* ათ-ათი

შედგენილ რიცხვებთან, რომლის შემადგენლობაში შედის ასეული, ათასეული და ა.შ. განყოფითობის სუფიქსს ღებულობს პირველი ციფრი.

მაგ.: *üç yüz* > *üçer yüz* სამ-სამი ასი



*beş bin > beşer bin ხუთ-ხუთი ათასი*

*altı milyon > altışar milyon ექვს-ექვსი მილიონი*

განყოფითი რიცხვითი სახელის სუფიქსი ერთვის სათანადო კითხვით ნაცვალსახელს: kaç tek რამდენი ცალი.

მაგ.: kaç > kaçar რამდენ-რამდენი

*tek > teker ცალ-ცალი; თითო-თითო*

განყოფითი რიცხვითი სახელები ხშირად ფუძეგანმეორებული იხმარება:

მაგ.: beşer-beşer ხუთ-ხუთი

*ikişer-ikişer ორ-ორი*

*azar-azar ცოტ-ცოტა*

### წილობითი რიცხვითი სახელები

წილობით რიცხვით სახელებში მრიცხველი დგას ადგილობით ბრუნვაში, მნიშვნელი კი – სახელობითში.

მაგ.: ikide bir – ერთი მეორედი

*beşte üç – სამი მეხუთედი*

*yüçte on iki – თორმეტი მესამედი*

*yüzde yüz – ასი მესასედი ანუ პროცენტი*

თურქულ ენაში პროცენტის აღსანიშნად იხმარება არაბულიდან ნასესხები faiz. ნიშანი % იხმარება რიცხვის წინ.

მაგ.: 40 faiz. – 40 პროცენტი, ან %40

“ნახევარი” გადმოიცემა სიტყვებით – yarım, yarı, buçuk.

1. yarım ყოველთვის წინ უძღვის სახელს და არ იცვლება.

მაგ.: yarım elma – ნახევარი ეაშლი

*yarım ada – ნახევარკუნძული*

*yarım saat – ნახევარი საათი*

*yarım lira – ნახევარი ლირა.*

2. yarı იხმარება როგორც სახელის წინ, ასევე შემდეგ.

ა) როცა სახელს წინ უძღვის, იგი ერთ ცნებას გამოხატავს.

მაგ.: yarıgece – შუალამე

*yarıoda – ნახევართახი*

ბ) როცა სახელს მოსდევს, ე. ი. საზღვრულის როლშია, ირთავს მესამე პირის კუთვნილებით სუფიქსს და გადმოსცემს

რადაცის ნახევარს. მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია, ან ნათესაობითში.

მაგ.: gece yarısı – დამის ნახევარი (შუა ღამე)  
odanın yarısı – ოთახის ნახევარი

3. buçuk იხმარება მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებთან.

მაგ.: bir buçuk – ერთნახევარი 1 1/2  
beş buçuk – ხუთნახევარი 5 1/2

რიცხვითი სახელები წინადადებაში ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს და მორფოლოგიურად უცვლელი რჩება. დამოუკიდებლად ხმარებისას სახელის დამახასიათებელი ყველა მორფოლოგიური ნიშანი აქვს: კუთვნილებითი კატეგორია, ბრუნვა, შეიძლება შემასმენლის სახელადი ნაწილი იყოს.

მაგალითები:

Dört masa götürdüler – ოთხი მაგიდა წაიღეს.

Bir de birer kitap aldık – ჩვენც თითო წიგნი ვიყიდეთ.

Onar onar lira verdiler – მათ ათ-ათი ლირა მისცეს.

Kalemlerden beşini beğendi – (კალმებიდან) ხუთი კალამი მოეწონა.

### მათემატიკური მოქმედება

ოთხი მათემატიკური მოქმედება გამოიხატება შემდეგნაირად:

1. მიმატება – artı

მაგ.:  $2+2=4$  iki artı iki eşittir dört. ორს მიმატებული ორი ტოლია ოთხის

2. გამოკლება – eksi

მაგ.:  $5-2=3$  beş eksi iki eşittir üç. ხუთს გამოკლებული ორი სამის ტოლია

3. გამრავლება – çarpı

მაგ.:  $10 \times 5 = 50$  on çarpı beş eşittir elli. ათი გამრავლებული ხუთზე ტოლია ორმოცდაათის.

4. გაყოფა – bölü

მაგ.:  $100:4=25$  yüz bölü dört eşittir yirmi beş. ასი გაყოფილი ოთხზე ტოლია ოცდახუთის.

## ასტრონომიული საათის – დღეღამის დროის გამოხატვა

1. სრული საათის გამოხატვისას – რომელი საათია? – საათის ციფრი სახელობით ბრუნვაშია saat *üç*(*üç*) – სამი საათია
2. არასრული საათის გამოხატვისას საათის ციფრი მიცემით ბრუნვაშია, წუთების ციფრი სახელობითში, ზმნა kalmak – დარჩენა თხრობითი კილოს აწმყო-განსაზღვრული დროის III პირის მხოლოდით რიცხვში. ის შეიძლება შეიცვალოს var – არის – სიტყვით.  
*მაგ.: üç on kalıyor (an var).*
3. სრული საათისა და 1-დან 29-მდე წუთის გამოხატვისას საათის ციფრი ბრალდებითშია, წუთის ციფრი სახელობითში, ზმნა geçmek – გაელა – თხრობითი კილოს აწმყო-განსაზღვრული დროის III პირის მხოლოდით რიცხვში.  
*მაგ.: üç on geçiyor.*
4. სრული საათისა და 30 წუთის გამოხატვისას საათის ციფრი სახელობითში და "ნახევარი" გადმოსაცემად მას ახლავს სიტყვა buçuk – ნახევარი.  
*მაგ.: saat üç buçuk(tur) – ოთხის ნახევარია.*

### რომელ საათზე?

1. სრული საათის გამოხატვისას საათის ციფრი ადგილობით ბრუნვაშია.  
*მაგ.: saat üçte– სამ საათზე.*
2. არასრული საათის გამოსახვისას საათის ციფრი მიცემითშია, წუთების ციფრი – სახელობითში, ზმნა kalmak – დარჩენა – a აბსოლუტივის ფორმაში.  
*მაგ.: üç on kala – სამს ათი უკლია.*
3. სრული საათისა და 1-დან 29-მდე წუთის გამოხატვისას საათის ციფრი ბრალდებითშია, წუთის ციფრი სახელობითში, ზმნა geçmek – გაელა –e აბსოლუტივის ფორმაში.  
*მაგ.: üç on geçe – სამს ათი აკლია.*
4. სრული საათისა და ოცდაათი წუთის გამოხატვისას საათის

ციფრი სახელობითშია და "ნახევარი" გადმოსაცემად მას ახლავს სიტყვა buçuk – ნახევარი.

მაგ.: saat üç buçuk(ta) – ოთხის ნახევარზე.

## ზმნა

*თურქული ზმნის ზოგადი დახასიათება*

ზმნა თურქულში მდგომარეობის ან მოქმედების გამომხატველი მეტყველების ნაწილია. გარდამავლობის თვალსაზრისით გვაქვს სამი ჯგუფი:

1. ფიქსირებული გარდამავლობის ზმნები
2. ფიქსირებული გარდაუვალობის ზმნები
3. გარდამავლობის თვალსაზრისით ნეიტრალური ზმნები

თურქული ზმნა, ქართულისგან განსხვავებით, ერთპირიანია. პირიანობის თვალსაზრისით გვაქვს ზმნის ფორმათა ორი დიდი ჯგუფი:

1. სუბიექტისპირიანი ზმნები
2. პოსესორისპირიანი ზმნები

სუბიექტისპირიან ზმნებში, რომლებიც ქართული ზმნის პირიან ფორმებს შეესატყვისება, გამოიხატება მხოლოდ სუბიექტური პირის და რიცხვის ნიშნები და ეს ხდება დრო-კილოთა გამომხატველ ფორმებში.

პოსესორისპირიანი ზმნები თავს იჩენენ მასდარების, ნაზმნარი არსებითი სახელების სახით და მოქმედების პოსესორს და მის პირს გამოხატავენ. რაც შეეხება მიმდევობებს და აბსოლუტივებს (რუს. *деепричастие*), ესენი ნაზმნარი ზედსართავები (მიმდევობები) და ნაზმნარი ზმნი/სედებია (აბსოლუტივობები).

რამდენადაც თურქული ენა აგლუტინაციაურია, ხოლო აგლუტინაცია ცალმხრივია (სუფიქსაცია), ამდენად თურქული ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიების გამოხატვაში დიდი როლი ენიჭება სუფიქსაციას ძირთან და ფუჟესთან მიმართებაში.

ზმნისთვის დამახასიათებელი კატეგორიებია:

1. ცალმხრივ მიმართული მოქმედება – ერთობლივი მოქმედება, ორმხრივ მიმართული მოქმედება.

2. კაუზატივი ანუ იძულებითი მოქმედება.
3. გვარი (მოქმედებითი-ვნებითი; საშუალი-მოქმედებითი-ვნებითი)
4. მოქმედების სახე: 1. დადებითი მოქმედების სახე და მისგან ნაწარმოები სახეები: 1. უარყოფის სახე; 2. შეუძლებლობის სახე; 3. შესაძლებლობის სახე; 4. უარყოფითი მოქმედების შესაძლებლობის სახე.
5. ასპექტი: 1. სრული; 2. უსრული და მისი საფეხურები.
6. მოქმედების ხასიათი: რეალური და მოჩვენებითი.
7. მოქმედების ინტენსივობა და მისი ქვეკატეგორიები: 1. დაუყოვნებელი მოქმედება; 2. განგრძობითი მოქმედება; 3. დაყოვნებული მოქმედება.
8. აქტი და მისი ქვეკატეგორიები: 1. დასრულებული მოქმედება; 2. დაუსრულებელი მოქმედება.
9. დროებისა და კილოების სისტემა: 1. ბრძანებითი კილო; 2. თხრობითი კილო; 3. ნატვრითი კილო; 4. აუცილებლობითი კილო; 5. პირობითი კილო (პირველი და მეორე).
10. პირი და რიცხვი: პირის ნიშნების სისტემა; რიცხვის გამოხატვა.
11. კონკრეტული და განყენებული პირი.

## თურქული ზმნის ფორმალური ჯგუფები

ფორმალური ნიშნის მიხედვით თურქული ზმნები იყოფა ორ დიდ კლასად: A და B კლასებად.

A კლასში, თავის მხრივ, გვაქვს ორი ჯგუფი: 1. პირველადი ზმნები და 2. მეორადი ზმნები:

პირველადი ზმნები სამ ქვეჯგუფს მოიცავს: 1. ძირითადი ზმნები; 2. ნასახელარი ზმნები; 3. რთული ზმნები.

მეორადი ზმნები, რომლებიც ზმნისგან ნაწარმოებ ზმნებს წარმოადგენს გრამატიკული სემანტიკის თვალსაზრისით მოიცავენ: 1. ერთობლივ-საურთიერთო მოქმედების გამომხატავ ზმნებს; 2. კაუზატიურ ზმნებს; 3. გვარის გამომხატვას; 4. სახის გამომხატვას.

B კლასში შემავალი ზმნები A კლასში შემავალი ზმნებისაგან იწარმოება. B კლასის ზმნები ორ დიდ ჯგუფად

იყოფა. ესენია: 1. შედგენილი ზმნები; 2. კომბინირებული ზმნები.

შედგენილ ზმნებთან დაკავშირებულია თურქული ზმნის ისეთი კატეგორიების წარმოება, როგორიცაა:

1. ასპექტი (სრული და უსრული)
2. მოქმედების ხასიათი (რეალური და მოჩვენებითი)


კომბინირებული ზმნების არსებობა დაკავშირებულია თურქული ზმნის ისეთი კატეგორიის გამოხატვასთან, რომელიც მოქმედების ინტენსივობის სახელით არის ცნობილი და რამდენიმე ქვეკატეგორიას მოიცავს:

1. დაყოვნებული იტენსივობის ზმნების წარმოება.
2. განგრძობითი იტენსივობის ზმნების წარმოება.
3. დაუყოვნებელი იტენსივობის ზმნების წარმოება.

თურქული ზმნის ყველა ზემოჩამოთვლილი კატეგორია ზმნის ფუძეშია მოქცეული და თურქული ზმნის სიტყვათწარმოებით კატეგორიებს განეკუთვნება.

ფორმალურად თურქული ზმნის ზემოთ წარმოდგენილი დახასიათება შემდეგი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

(იხ. შემდეგ გვერდზე)



## საწყისი

თურქული ზმნის საწყის ფორმას წარმოადგენს ზმნისგან ნაწარმოები აბსტრაქტული ნაზმნარი სახელი (მოქმედების აბსტრაქტული სახელი). იგი იწარმოება ორვარიანტიანი -mak და -mek სუფიქსებით ხმოვანთა პარმონიის შესაბამისად:

*yaz-mak წერა gel-mak მოსვლა*

*yap-mak კეთება gül-mek სიცილი და სხვ.*

თურქული ზმნის საწყისი ნაზმნარი აბსტრაქტული სახელია. ამდენად საწყისი ფორმით წარმოდგენილი ზმნა სახელზმნური ბუნებისაა. იგი იბრუნვის და შეიწყობს თანდებულებს, როგორც ჩვეულებრივი სახელი. ზმნა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მოცემულია ძირში ან ფუძეში (რომელსაც -mak ერთვის). აქ არის თავმოყრილ მთელი ბრუნვის შინაარსობრივი თუ გრამატიკული თვისებები: გარდამაქცეობა-გარდაუქცეობა და მასთან დაკავშირებული სახელის მართვის უნარი წინადადებაში და ყველა სხვა კატეგორია, რომელიც კი უღლებას განეკუთვნება.

*ზმნის ფორმალური ჯგუფები*

### კლასი A

#### სინთეტიური ზმნები

##### ა. პირველადი ზმნები

პირველადი ზმნები სამი სახისაა:

1. ძირეული
2. ნასახელარი
3. რთული

1. *ძირეულია ზმნები*, რომლებიც ძირის სახით არის წარმოდგენილი და მორფოლოგიურად მათი დაშლა აღარ შეიძლება. ძირეულ ზმნებში არის ერთი "ყოფნა-მდგომარეობის" გამომხატველი დრონაკლი (დეფექტური) მაკავშირებელი ზმნა i-mek, რომელსაც თურქული ენის გრამატიკაში ძალიან დიდი დატვირთვა აქვს გრამატიკული ფორმაწარმოების თავისი ღარიბი შესაძლებლობების მიუხედავად.

ამ ჯგუფის დანარჩენი ზმნები ნორმალურ ზმნათა კატეგორიას



განეკუთვნება და i-mek "ყოფნა" ზმნისგან განსხვავებით მოეპოვებათ თურქული ზმნის ყველა შესაძლებელი ფორმა: *i-mek* – *ყოფნა*

*al-mak* – ალება

*ye-mek* – ჭამა

*biç-mek* – კრა

*ört-mek* – დახურვა

*ara-mak* – ძებნა

*iste-mek* – ნდობა

*imren-mek* – წადილი

*abart-mak* – გაზვიადება

*sırt-mak* – კრეჭვა

ზოგიერთი ასეთი ზმნის ძირი შესაბამისი მნიშვნელობის მქონე სახელს ემთხვევა:

*ağrı-mak, ağrı* – ტკივილი, ტკივა

*ekşi-mek* – (*ekşi* მჟავე) დაამჟავება

*boya-mak* – (*boya* საღებავი) ღებვა

*eski-mek* – (*eski* ძველი) დაძველება

*esri-mek* – (*esri* მთვრალი) თრობა

*etki-mek* – (*etki* მოქმედება) მოქმედებს

*göresi-mek* – (*göresi* ნატერა) ნატრობს

*gümrü-mek* – (*gümrü* შური) შურს

*güven-mek* – (*güven* ნდობა) ენდობა

*gerek-mek* – (*gerek* საჭირო) საჭიროა

*ili-mak* – (*ili* თბილი) თბება

*keke-mek* – (*keke* ბლუ) ენა ებმის

*kuru-mak* – (*kuru* ხმელი) ხმება

*tatır-mek* – (*tat* გემო) გენოს გასინჯვა

*şiş-mek* – (*şiş* სიმსიენე) სივდება

*göç-mek* – (*göç* მომთაბარე) მომთაბარეობა

*iç-mek* – (*iç* შიდა მხარე) სვამს

*don-mak* – (*don* ყინული) იყინება

*barış-mak* – (*barış* ზავი) ურიგდება

2. ნასახელარი ზმნები იწარმოება სხვადასხვა სუფიქსების საშუალებით. ეს სუფიქსები ერთვის სახელს და ამ სახელიდან

აწარმოებს სათანადო მნიშვნელობის მქონე ზმნებს.

ა) -la, -le:

baş თავი	baş-la-mak დაწვეება
tuz მარილი	tuz-la-mak დამარილება
yeni ახალი	yeni-le-mek განახლება
su წყალი	su-la-mak მორწყება
yol გზა	yol-la-mak გაგზავნა
göz თვალი	göz-le-mek თვალთვალი

ბ). -ı, -al, -el:

kısa მოკლე	kısa-l-mak დამოკლება
az ცოტა	az-al-mak შემცირება
taş ქვა	taş-al-mak გაქევაება
genç ახალგაზრდა	genç-el-mek გაახალგაზრდაება

გ) -a, -e:

yaş ასაკი	yaş-a-mak ცოცხლობს
kan სისხლი	kan-a-mak სისხლი სდის
boş ცარიელი	boş-a-mak ეცლება

დ) -mak, -mek:

boya საღებავი	boya-mak ღებავს
eski ძველი	eski-mek ძველდება
kuru ხმელი	kuru-mak ხმება
şiş სიმსივნე	şiş-mek სიფდება

ე) -ar, -er:

yaş ნოტიო	yaş-ar-mak ნესტიანდება
mor ლურჯი	mor-ar-mak ლურჯდება
sarı ყვითელი	sar-ar-mak ყვითლდება

ვ) -laş, -leş:

yer ადგილი	yer-leş-mek თავსდება
güzel ლამაზი	güzel-leş-mek ლამაზდება
güç ძალა	güç-leş-mek ძლიერდება

ზ) -sa, -se:

su წყალი	su-sa-mak წყურდება
umur საქმე	umur-sa-mak დასაქმება
önem მნიშვნელობა	önem-se-mek მნიშვნელობის

მიცემა

მიცემა

თ) -msa, -mse, -imsa, -imse:

*kōm* ცული  
*az* ცოტა  
*benim* ჩემი

*kōm-mse-mek* წახდა  
*az-imsa-mak* იკლო  
*beni-mse-mek* მითვისება

ი) -da, -de:

*gürü* გრიალი  
*civil* კივილი  
*kütür* ხრამუნი

*gürü-de-mek* აგრიალება  
*civil-da-mak* აკივილება  
*kütürde-mek* ახრამუნება

კ) -ik, -ık, -ük, -uk:

*aç* მშიერი  
*geç* გვიანი  
*göz* თვალი

*ac-ık-mak* მოშიედა  
*geç-ik-mek* დააგვიანა  
*göz-ük-mek* თვალის დევნება

3. რთული ზმნები ორი ან მეტი ნაწილისგან შედგება. ერთი მათგანი აუცილებლად არის დამხმარე ზმნის როლში მყოფი რომელიმე ჩვეულებრივი ზმნა. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება *ol-mak* ყოფნა და *et-mek* ქმნა, კეთება ზმნები, რომლებიც საშუალო და მოქმედებითი გეარის ზმნის სახით უპირისპირდება ერთმანეთს.

რთული ზმნა ახალი ლექსიკური წარმონაქმნია სახელადი ნაწილისა და დამხმარე ზმნით ნაწარმოები. სახელადი ნაწილი სხვადასხვა ფორმით გვხვდება, რაც დამხმარე ზმნაზეა დამოკიდებული. ის შეიძლება იყოს უკუთვნილებითსუფიქსო სახელი სახელობით ბრუნვაში:

*rahat et-mek* ისვენებს  
*fenalık geçir-mek* ცუდად ყოფნა  
*kayıp ol-mak* დაიკარგა

რთული ზმნის სახელადი ნაწილი შეიძლება იყოს უკუთვნილებითსუფიქსო სახელი რომელიმე ბრუნვაში:

*hoş-a git-mek* მოეწონა  
*çakal-a döndür-mek* გაუხარდა

რთული ზმნის სახელადი ნაწილი შეიძლება გაფორმებული იყოს კუთვნილებითი სუფიქსით და რომელიმე ბრუნვის ფორმით:

*fark-ı-na ol-mak* მიხედვრა, შემჩნევა

*akl-i-ndan geçir-mek* გაიფიქრა

მთელი რიგი რთული ზმნების სახელადი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს ორი და სამი ნაწილისგან:

*kan-ter iç-i-nde kal-mak* ოფელში იწურება

*göz önü-ñe getir-mek* გათვალისწინება

*alt-üst et-mek* ყირაზე დაყენება

## ბ. მეორადი ზმნები

მეორადი ზმნები იწარმოება პირველადი (ძირეული, ნასახელარი, რთული) ზმნებისაგან ნებელობითი სემანტიკის მქონე სუფიქსების დართვით. ამ სუფიქსების დართვასთან დაკავშირებულია ზმნის ფუძეში შემავალი სიტყვათწარმოებითი კატეგორიების წარმოება, როგორცაა:

1. საურთიერთო მოქმედება
2. კაუზატივი
3. გვარი
4. სახე

### 1. საურთიერთო მოქმედება

ყველა პირველადი ზმნა ან გარდაუვალია, ან გარდამავალი. ასეთი ზმნები, ანუ პირველადი ზმნები, ამოსავალი ფორმაა ყოველგვარი მეორადი ზმნებისა, მათ შორის, საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ზმნების საწარმოებლად. საურთიერთო მოქმედების ზმნების მაწარმოებელი სუფიქსებია:

1. -ş ხმოვანზე დაბოლოებული ზმნებისთვის
2. -ış, -iş, -aş, -üş სუფიქსები თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნებისთვის (ხმოვანთა პარმონიის შესაბამისად).

ამოსავალი გარდამავალი ზმნა სათანადო სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და მოქმედება საურთიერთო მოქმედების ხასიათს იღებს. გვარის თვალსაზრისით საშუალო გვარის ზმნად გადაიქცევა.

*gör-mek* ნახვა

*örp-mek* კოცნა

*gör-üş-mek* ერთმანეთის ნახვა

*örp-üş-mek* ერთმანეთის

გადაკოცნა

*vur-mak ცემა*

*sev-mek შეყვარება*

*vur-uṣ-mak ერთმანეთის ცემა*

*sev-iṣ-mek ერთმანეთის*

*შეყვარება*

*kucakla-mak გადაეხვია*

*გადაეხვივნენ*

*kucak-laṣ-mak ერთმანეთს*

გარდაუვალი ამოსავალი ზმნა, რომელიც თავისთავად საშუალო გეარისაა, -ṣ სუფიქსის დართვისას გარდაუვალი რჩება და საშუალო გეარის სახეობას ინარჩუნებს. ასეთ პირობებში მოქმედება ერთობლივი ქმედების ხასიათს იღებს:

*aḡla-mak ტირილი*

*baḡir-mak ყვირილი*

*gūl-mek სიცილი*

*kaç-mak გაქცევა*

*aḡla-ṣ-mak ერთად ტირილი*

*baḡir-iṣ-mak ერთად ყვირილი*

*gūl-iṣ-mek ერთად სიცილი*

*kaç-iṣ-mak ერთად გაქცევა*

## 2. კაუზატინი

მომდევნო სუფიქსი, რომელიც პირველადი ზმნებისაგან მეორადი ზმნების წარმოებას ემსახურება, არის კაუზატინის მაწარმოებელი სუფიქსი.

ამოსავალი ზმნა შეიძლება იყოს გარდაუვალიც და გარდამავალიც, ფორმით კი ძირეული, ნასახელარი, რთული, აგრეთვე მეორადი, კერძოდ, ერთობლივი მოქმედების გამომხატველი ზმნა. ყველა ამ შემთხვევაში კაუზატინის მაწარმოებლით მოქმედების აქტში ჩართული ახალი პირი მოქმედების გრამატიკული სუბიექტის ადგილს იკავებს. გარდამავალი ზმნიდან კაუზატინის წარმოებისას ადრინდელი სუბიექტი გახდება მიცემითი ბრუნვით გამოხატული ირიბი დამატება და, ამავე დროს, მოქმედების რეალური შემსრულებელიც ის იქნება. გარდაუვალი ზმნიდან კაუზატინის წარმოებისას ადრინდელი სუბიექტი პირდაპირ ობიექტად გადაინაცვლებს. გრამატიკული და რეალური სუბიექტის ადგილს კი კაუზატინის წყალობით შესული ახალი პირი იკავებს და ზმნა გარდამავალი ხდება. შინაარსობლივად კაუზატინის წყალობით შესული ახალი პირი ხდება მოქმედების რეალური განმკარგულებელი, ორგანიზატორი და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე.

კაუზატივის ფორმალური ნიშნებია:

1. -zir:

*em-mek წოვს > em-zir-mek აწოვებს (მხოლოდ ერთ ზმნასთან)*

2. -ar, -er:

*çök-mek იხოქებს > çök-er-mek ახოქებს*

*git-mek წაეილა > gid-er-mek მოიშორა*

*göç-mek გადასახლდა > göç-er-mek გადაასახლა*

*çik-mak გაეილა > çik-ar-mak გაიყვანა (გაიტანა)*

*kop-mak მოწყდა > kop-ar-mak მოწყეილა*

3. -it, -it, -ut, -üt:

*ak-mak მოედინება > ak-it-mak ადენს*

*az-mak განრისხდა > az-it-mak განარისხა*

*kok-mak სუნი ასდის, დადგა > kok-ut-mak სუნი აადინა*

*sap-mak გადაუხვია > sap-it-mak გადაახვევინა*

*kork-mak შეეშინდა > kork-ut-mak შეაშინა*

4. -ir, -ir, -ur, -ür:

*art-mak იზრდება > art-ir-mak ზრდის*

*aş-mak გადაიარა > aş-ir-mak გადაატარა*

*bat-mak იძირება > bat-ir-mak ძირავს*

*bit-mek მთავრდება > bit-ir-mek ამთავრებს*

*doğ-mak იბადება > doğ-ur-mak ბადებს*

*doy-mak კმაყოფილდება > doy-ur-mak*

*აკმაყოფილებს*

*duy-mak იგებს > duy-ur-mak აგებინებს*

*düş-mek ეცემა > düş-ür-mek დააგდო*

*göç-mek გადასახლდა > göç-ür-mek გადაასახლა*

*iç-mek სუამს > iç-ir-mek ასშევს*

*kaç-mak გაიქცა > kaç-ir-mak გააქცია*

*piş-mek იხარშება > piş-ir-mek ხარშავს*

*şiş-mek იბერება > şiş-ir-mek ბერავს*

*uç-mak გაფრინდა > uç-ur-mak გააფრინა*

*üş-mek შეიკრიბა > üş-ür-mek შეკრიბა*

*yat-mak დაწვა > yat-ir-mak დააწვინა*

5. -tir, -tir, -tur, -tür: ყველა ერუთანხმოვნისან ფუქსთან.

მაგ.: yap-mak გააკეთა > yap-tir-mak გააკეთებინა

at-mak გადააგდო > at-tir-mak გადააგდებინა

6. -t: მრავალმარცვლიან ხმოვანზე და რ, ღ თანხმოვნებზე დაბოლოებულ სმნებთან.

მაგ.: başla-mak დაიწყო > başla-t-mak დააწვეებინა

büyü-mek გაიზარდა > büyü-t-mek გაზარდა

göster-mek აჩვენა > göster-t-mek აჩვენებინა

kudur-mak გაცოფდა > kudur-t-mak გააცოფა

kısal-mak დამოკლდა > kısal-t-mak დაამოკლა

7. -dır, -dir, -dur, -dür: ერთმარცვლიან ხმოვანფუქსთან და დანარჩენ თანხმოვნებზე დაბოლოებულ სმნებთან.

მაგ.: ye-mek ჭამს > ye-dir-mek აჭმევს

de-mek თქვა > de-dir -mek ათქმევინა

giy-mek ჩაიცვა > giy-dir-mek ჩააცვა

döv-mek ცემა > döv-dür-mek აცემინა

öl-mek მოკვდა > öl-dür-mek მოკლა

მაგალითები:

Genç kadın kucağındaki çocuğu em-zir-iyor.

ახალგაზრდა ქალი ხელში აყვანილ ბავშვს ძუძუს აწოკებს.

Ertesi gün İhsan'ı işten çık-ar-dılar.

მეორე დღეს იჰსანი სამსახურიდან დაითხოვეს.

Ali yureğinin çırpıntısını gid-er-mek için derin bir nefes aldı.

ალიმ გულის ფანცქალის დასამშვიდებლად ღრმად ჩაისუნთქა.

Bir baş soğan bir kazanı kok-ut-ur.

ერთი თავი ხახვი მთელ ქვაბს აყროდებს.

Yağmur kork-ut-uyor beni.

წვიმა მაშინებს მე.

Açık havada gezen bir yıl ömrünü art-ır-ır.

ვინც სუფთა ჰაერზე სეირნობს, ის სიცოცხლეს ერთი წლით იხანგრძლივებს.

Onları kamyonu yerleş-tir-diler.

ისინი სატვირთო მანქანაზე მოათავსეს.

Dede elini öp-tür-medi.

პაპამ ხელზე არ აკოცნინა.

Çocuk büyü-t-mek, taş kemirmek.

ბავშვის აღზრდა ქვების ღრღნას უდრის.

Mehmet başını yukarı kal-dır-dı.

მკმეღმა თავი მაღლა ასწია.

### ბვარი

გვარი ზმნის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მიმართებას მოქმედებასა და სუბიექტს შორის. ამ თვალსაზრისით თურქულ ზმნას შეუძლია გამოხატოს სამი სხვადასხვა დამოკიდებულება მოქმედებასა და სუბიექტს შორის. ამის მიხედვით ზმნას აქვს სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო.

### მოქმედებითი გვარი

მოქმედებითი გვარის ზმნაში მოქმედება, რომელსაც სუბიექტი ასრულებს, პირდაპირ ობიექტზე გადადის. მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა გარდამავალია.

მოქმედებით გვარს თურქულ ენაში ნიშანი არ მოეპოვება.

მაგ.: yaz-mak წერა

yap-mak კეთება

oku-mak კითხვა და სხვ.

### ვნებითი გვარი

ვნებითი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარისგან არის ნაწარმოები ვნებითის მაწარმოებელი სუფიქსების საშუალებით.

ვნებითი გვარის ზმნაში მოქმედება, რომელიც გრამატიკული ან ე.წ. ლოგიკური სუბიექტისგან მომდინარეობს, თვით სუბიექტს ემართება. ვნებითი გვარის ზმნაში ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტი გადაიქცევა ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტად; სუბიექტი კი დამატება ხდება.

ვნებითი გვარის მაწარმოებლებია:

1. -nil, -nil, -nil, -nül:

bekle-mek დაუცადა > bekle-nil-mek დაცდილ იქნა

dene-mek მოსინჯა > dene-nil-mek მოისინჯა



*de-mek* თქვა > *de-nil-mek* ითქვა

*isla-mak* დაასველა > *isla-nil-mak* დასველდა

*çiğne-mek* ღეჭავს > *çiğne-nil-mek* იღეჭება

2. -n: ხმოვანზე დაბოლოებული ზმნებისთვის:

*başla-mak* იწყებს > *başla-n-mak* იწყება

*söyle-mek* თქვა > *söyle-n-mek* ითქვა

*bekle-mek* უცდის > *bekle-n-mek* იცდის

3. -in, -in, -un, -ün | თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებთან:

*al-mak* აღება > *al-in-mak* აღებულ იქნა

*sal-mak* გაშალა > *sal-in-mak* გაშლილ იქნა

4. -il, -il, -ul, -ül | დანარჩენ თანხმოვანებზე დაბოლოებულ ზმნებთან:

*gör-mek* დანახვა > *gör-ül-mek* დანახულ იქნა

*in-mek* ჩამოსვლა, დაშვება > *in-il-mek* ჩამოყვანილ იქნა

(ჩამოტანილ იქნა)

*sor-mak* შეეკითხა > *sor-ul-du* გამოიკითხა (იგი)

*ört-mek* დაფარა > *ört-ül-mek* დაიფარა (იგი)

მაგალითები:

*Gazetelerde çok yeni haberler de-nil-di.*

გაზეთებში ბევრი ახალი ამბავი ითქვა.

*Yarın yok, öbürüsü gün okulumuz aç-il-acak.*

ხვალ არა, ზეგ ჩვენი სკოლა გაიხსნება.

*Bizim evin suları kes-il-di.*

ჩვენს სახლს წყალი შეუწყდა.

*Dün çok güzel bir futbol maçı oyna-n-di.*

გუშინ ძალიან ლამაზი ფეხბურთის მატჩი გაიმართა.

*Bizim sınıfa yeni bir televizyon al-in-di.*

ჩვენი კლასისთვის ახალი ტელევიზორი იქნა ნაყიდი.

თუ წინადადებაში რეალურად მოქმედი პირი ანუ ლოგიკური სუბიექტი, რომელიც ენებით გვარში დამატებაა, სახეზეა, იგი ფორმდება -ca, -ce, -ça, -çe თანდებულით ან ახლავს თანდებული *tarafından* (მხრიდან), რომელიც სახელებს ახლავს სახელობით ბრუნვაში, ნაცვალსახელებს კი ნათესაობით ბრუნვაში, დაირთავს სათანადო პირის კუთვნილებით სუფიქსებს და დგას დაწყებით

ბრუნვაში.

*მაგალითები:*

*Bu kitap biz-cə oku-n-du//Bu kitap taraf-ımız-dan okundu.*

ეს წიგნი ჩვენ მიერ იქნა წაკითხული.

*Ben müdür-cə kabul edilmedim//Ben müdür taraf-ı-ndan kabul edilmedim.*

მე დირექტორის მიერ მიღებული არ ვიქენი.

*Bu iş kimin taraf-ı-ndan yap-il-acak?*

ეს საქმე ვის მიერ გაკეთდება?

*Bu cevap Ali tarafından verildi!*

ეს პასუხი ალის მიერ იქნა მოცემული.

*Biz onlar tarafından sevilmiyoruz.*

ჩვენ მათ არ უყუარვართ.

ლოგიკურ სუბიექტს შეიძლება ile თანდებული ახლდეს:

*Yapraklar rülgâr-la götür-ül-dü.*

ფოთლები ქარის მიერ იქნა წაღებული.

*Ahmet yıldırım-la vur-ul-du.*

ამჟეთი მუხის მიერ იქნა მოკლული.

ფორმალურად ენებითი გვარის მოდელი თურქულ ენაში მიიღება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისაგანაც (კაუზატიური და ერთობლივ-საურთიერთო ფორმების ზმნებისგან) თუ, რა თქმა უნდა, ამოსავალ ზმნას აქვს აღნიშნული ფორმები (განყენებულპირიანი ფორმები).

*მაგ.: öl-mek > öl-dür-mek > öl-dür-ül-mek*

მოკედა > მოკლა > მოკლულ იქნა

*kayna-mak > kayna-t-mak > kaynat-il-mak*

დუღს > ადუღებს > ადუღებულ იქნა

*gör-mek > gör-üş-mek > gör-üş-ül-mek*

ნახა > შეხედნენ > ერთმანეთს შეხედრილ იქნენ

*ბანყენებულპირიანი (ბანზოგაღოებულპირიანი)*

*ფორმები*

თურქულ ენაში მესამე პირის ფორმა, პირის გამოხატვის თვალსაზრისით, უნიშნოა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ იგი გამოყენებულ იქნეს არა მარტო კონკრეტული III პირის, არამედ

განზოგადოებული პირის გადმოსაცემად.

განყენებულ პირიანი ფორმები იწარმოება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისგან. ასეთი ფორმები მეტწილად -II<sup>a</sup> -იანი ვნებითებია.

მაგ.: *Derste yalnız Türkçe konuş-ul-ur.*

გაკვეთილზე მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ.  
*Bu kapıdan gir-il-mez.*

ამ კარებიდან შესვლა არ შეიძლება.  
*Bir çiçekle bahar olmaz de-nil-ir.*

ერთი ყვავილით გასაფხული არ დადგება, ნათქვამია.  
*Burada cigara iç-il-ir mi?*

აქ სიგარეტის მოწევა შეიძლება?

ვნებითი გვარის ზმნებს ეკუთვნის, აგრეთვე, ე.წ. უკუქცევითი ზმნები. ეს ისეთი ზმნებია, რომელშიც რეალური სუბიექტის მოქმედებას თვით სუბიექტი განიცდის. ასეთ ზმნებს ვნებითი მაწარმოებელი სუფიქსებიდან მხოლოდ -ი და -იი სუფიქსები დაერთვის, რადგან ისინი ან ხმოვანზე, ან -ი თანხმოვანზე ბოლოვდება.

მაგ.: *Lütfi Bey yıka-n-dı.*

ლუთფი ბეიმ იბანავა.

*Berna Hanım süsle-n-dı.*

ბერნა ჰანუმი მოირთო.

*Her sabah traş ol-un-uyor.*

ყოველ დღით იპარსება.

*Münise odasına kapa-n-dı.*

მუნისე თავის ოთახში ჩაიკეტა და სხვ.

### საშუალი გვარი

საშუალი გვარის ზმნებში სუბიექტისაგან მომდინარე მოქმედება თვით სუბიექტში იკეტება, თვით სუბიექტი განიცდის ამ მოქმედებას. საშუალი გვარის ზმნებში არ არსებობს ე.წ. ლოგიკური სუბიექტი.

საშუალ გვარს მიეკუთვნება ყველა გარდაუვალი (პირველადი, მეორადი, აგრეთვე ერთობლივ-საურთიერთო მოქმედების) ზმნა, რომელთაც საპირისპიროდ მოქმედებითი გვარის ზმნა მოეპოვებათ.

საშუალი გეარისაა ის ზმნებიც, რომლებიც მოქმედებითი გეარის ზმნებისგან საშუალ გეარს აწარმოებენ –ი<sup>(ლ)</sup> სუფიქსის საშუალებით, ენებითი კი –ი<sup>(ა)</sup> სუფიქსით.

<i>მოქმედებითი</i>	<i>ენებითი</i>	<i>საშუალი</i>
<i>çarp-mak</i>	<i>çarp-il-mak</i>	<i>çarp-in-mak</i>
<i>çek-mek</i>	<i>çek-il-mek</i>	<i>çek-in-mek</i>
<i>çevir-mek</i>	<i>çevir-il-mek</i>	<i>çevir-in-mek</i>
<i>gör-mek</i>	<i>gör-ül-mek</i>	<i>gör-ün-mek</i>
<i>dök-mek</i>	<i>dök-ül-mek</i>	<i>dök-ün-mek</i>
<i>eş-mek</i>	<i>eş-in-mek</i>	<i>eş-il-mek</i>
<i>kaz-mak</i>	<i>kaz-il-mak</i>	<i>kaz-in-mak</i>
<i>kır-mak</i>	<i>kır-il-mak</i>	<i>kır-in-mak</i>
<i>sar-mak</i>	<i>sar-il-mak</i>	<i>sar-in-mak</i>

გარდაუვალი ზმნები მოქმედებითი და ენებითი გეარის მეორად ზმნებთან შემდეგი სახის ოპოზიციას ქმნიან:

<i>საშუალი</i>	<i>მოქმედებითი</i>	<i>ენებითი</i>
<i>öl-mek</i>	<i>öl-dür-mek</i>	<i>öldür-ül-mek</i>
<i>bat-mak</i>	<i>bat-ır-mak</i>	<i>batır-il-mak</i>
<i>yapış-mak</i>	<i>yapış-tır-mak</i>	<i>yapıştır-il-mak</i>
<i>alış-mak</i>	<i>alış-tır-mak</i>	<i>alıştır-il-mak</i>

მოქმედებითი და საშუალი გეარის ოპოზიცია სუპლექტურადაც გამოიხატება:

<i>მოქმედებითი</i>	<i>საშუალი</i>
<i>bırak-mak</i> დატოვა	<i>kal-mak</i> დარჩა
<i>kaybet-mek</i> დაკარგა	<i>kaybol-mak</i> დაიკარგა

*მაგალითები:*

*Ben bu hususta birşey sormaktan çek-in-iyordum.*

მეც ამასთან დაკავშირებით რაიმეს კითხვა მერიდებოდა.

*Bu övgülerden siş-in-en Fateş şımarmıştı.*

ამ ქებისგან გაბღენძილი ფათეში გათამამებული იყო.

*Hakki efendi tembel tembel ger-in-di.*

ჰაკი ეფენდი ზანტად გაიზმორა.

*Hoca yorganına sar-in-di.*

პოჯა თავის საბანში გაეხვია.

Aslan yavrusunun mağarasına sığ-ın-ır.

ღომის ბოკვერის ბენავს შეაფარა თავი.

Yarı çıplak bir genç kız gör-ün-dü.

ნახევრად შიშველი ახალგაზრდა გოგო გამოჩნდა.

Bir elimle duvarlara tut-un-uyordum.

ერთი ხელით კედლებს ვეკიდებოდი.

Bütün sınırları yerinden oyna-mıştı, elleri ayakları titriyordu.

ყველა ძარღვი უკრთოდა და ხელფეხი უკანკალებდა.

Davetlilerden kimi gitti, kimi orada yat-tı.

მოწვეულთაგან ზოგი წავიდა, ზოგი იქ დაწვა.

## 5. სახე

თურქული ზმნის სახე ფორმით მეორადი ზმნების კატეგორიას განეკუთვნება. სემანტიკურად ეს არის სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვა მოქმედების მიმართ. ასეთი დამოკიდებულება ოთხი სახისაა და სათანადო სუფიქსებით გამოიხატება.

ესენია:

1. მოქმედების დადებითი სახე
2. მოქმედების უარყოფის სახე
3. მოქმედების შეძლების სახე
4. მოქმედების შეუძლებლობის სახე

1. დადებითი სახე უნიშნოა, იგი დანარჩენი ფორმების საწარმოებლად ამოსავალია.

მაგ.: yaz-mak – წერა

gel-mek – მოსვლა

yap-mak – კეთება და სხვ.

2. მოქმედების უარყოფის სახე იწარმოება ზმნის ფუძეზე – ma, -me სუფიქსის დართვით, რომელიც შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით გვხვდება:

a) –ma, -me:

yaz-ma-mak, yaz-ma-dı არ დაწერა

gel-me-mek, gel-me-di არ მოვიდა

yap-ma-mak, yap-ma-dı არ გააკეთა

b) - mi, -mi არაბაგისმიერხმოვნიაანი ფუძეების შემდეგ და -

yor<sup>1</sup>-ის წინ.

მაგ.: *yaz-mi-yor* არ წერს

*gel-mi-yor* არ მოდის

*yap-mi-yor* არ აკეთებს

გ) –*mu*, –*mü* ბაგისმიერხმოვნისანი ფუძეების შემდეგ და –*yor*-ის წინ.

მაგ.: *oku-mu-yor* არ კითხულობს

*öt-müyor* არ ჭიკჭიკებს

*göm-mü-yor* არ ხედავს

3. მოქმედების შესაძლებლობის სახე იწარმოება როგორც დადებითი, ისე უარყოფის სახის ზმნისგან. მაწარმოებელია *-abil*, რომლის ფონეტიკური ვარიანტები შემდეგია:

ა) –*abil*, –*ebil* თანხმოვანფუძიანების შემდეგ.

მაგ.: *yaz-abil-mek* შეძლო დაწერა

*gel-ebil-mek* შეძლო მოსვლა

ბ) –*yabil*, –*yebil* ხმოვანფუძიან ზმნებთან.

მაგ.: *başla-yabil-mek* შეძლო დაწყება

*hatırla-yabil-mek* შეძლო გახსენება

*söyle-yebil-mek* შეძლო თქმა.

უარყოფის სახის ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმებია:

*gel-me-yebil-mek* შეიძლება არ მოვიდეს

*sevin-me-yebil-mek* შეიძლება არ გაუხარდა

*git-me-yebil-mek* შეიძლება არ წაეიდეს.

4. მოქმედების შეუძლებლობის სახის მაწარმოებელი სუფიქსია –*ama*, –*eme* შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით:

ა) –*ama*, –*eme* თანხმოვნების შემდეგ.

მაგ.: *yaz-ama-mak* ვერ წერს

*gel-eme-mek* ვერ მოდის

ბ) –*yama*, –*yeme* ხმოვნების შემდეგ.

მაგ.: *oku-yama-mak*

ვერ

კითხულობს

*söyle-yeme-mek* ვერ ამბობს

---

1. ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ფართე **a** და **e** ხმოვანი მხოლოდ –*yor*-ის წინა პოზიციაში ვიწროვდება. "İmla Kilavuzu, Ankara", 1993, გვ. 13.

ბ) –ami, –emi თანხმონების შემდეგ და –yor-ის წინ.

მაგ.: yaz-ami-yor ვერ წერს

gel-emi-yor ვერ მოდის.

დ) –yami, –yemi ხმონების შემდეგ და –yor-ის წინ.

მაგ.: başla-yami-yor ვერ იწყებს

anla-yami-yor ვერ იგებს

söyle-yemi-yor ვერ ამბობს

## B კლასი

### ანალიტიკური ზმნები

ანალიტიკური ზმნები გამოიყენება მოქმედების სხვადასხვა გრამატიკული ნიუანსის გადმოსაცემად.

ანალიტიკური ზმნების პირველი ნაწილი შეიძლება იყოს სინთეტური ზმნის საწყისი, მიმდებარე ან აბსოლუტივი. მეორე ნაწილი კი დამხმარე ზმნა:

*olmak* – ყოფნა

*bulunmak* – იმყოფება

*bilmek* – შეძლება

*vermek* – მიცემა

*durmak* – დგომა, გაჩერება

*kalmak* – დარჩენა

ანალიტიკური ზმნები, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად:

1. შედგენილი ზმნები
2. კომბინირებული ზმნები

#### 1. შედგენილი ზმნები

შედგენილი ზმნების პირველი ნაწილს წარმოადგენს მიმდებარის ფორმები, მეორეს კი დამხმარე ზმნა *ol-mak* – გადმოსცემს მეტყველების მომენტისათვის მოქმედების სტადიას (მიმდინარე, განზრახული, რეგულარული, შედეგობითი) ანუ ასახავს ასპექტს: სრული, უსრული და ხასიათს – რეალურსა და მოჩვენებითს:

a) **yazıyor olmak** მიმდინარე მოქმედება, უსრული ასპექტი, რეალური ხასიათი.

b) **yazacak olmak** განზრახული მოქმედება, უსრული

ასპექტი, რეალური ხასიათი.

გ) **yazar olmak** რეალური მოქმედება, უსრული ასპექტი, რეალური ხასიათი.

დ) **yazmış olmak** შედეგობითი მოქმედება, უსრული ასპექტი, რეალური ხასიათი.

მონენებითი ხასიათის მოქმედება მიიღება **gibi** თანდებულის ჩართვით:

ა) **yazıyor gibi olmak** ეითომ წერს

ბ) **yazacak gibi olmak** ეითომ დაწერს

გ) **yazar gibi olmak** ეითომ წერს (საერთოდ)

დ) **yazmış gibi olmak** ეითომ დაწერა

რეალური ხასიათი

მაგალითები:

**Sonra paraya kavuşuyor olmanın ümüllü neşesi vardı.**

გარდა ამისა ფულის შონენას საიმედო სიხარულიც გააჩნია.  
**Geliyor olduğunuzu haber verdim.**

შევატყობინე, რომ თქვენ უკვე მოდიხართ.  
**İhtiyar biliyor olmalıydı, ki...**

მოხუცს აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ  
**Arasına bu işin arkasını bırakacak oluyorum.**

ზოგჯერ ამ საქმისათვის თავის დანებებას ეაპირებ.  
**Dün gece sofrada bunu şöyllyecek oldum.**

გუშინ დამ სუფრასთან დაეაპირე ამის თქმა.  
**Gelenler cenazesini eve kaldıracak olur.**

მოსულები მისი ნეშტის შინ გადასვენებას აპირებენ.  
**Galip konağa her gün gelir-gider oldu.**

გალიბმა სასახლეში ყოველ დღე იწყო სიარული.  
**Ben kolay inanır olmuşum.**

მე ყველაფერს ადვილად ვიჯერებდი.  
**Konuşmuş olmak için bir iki söz ettim.**

იმისათვის, რომ რამე მქონოდა ნათქვამი, მეც ერთი-ორი სიტყვა ჩაეურთე.

**Babama büsbütün yalan şöylemiş olmamak için...**

მამაჩემისათვის მთლად ტყუილი რომ არ გამომსელოდა



ნათქვამი ...

*Yazdıklarım benim de gülmüş olmamı istiyorlardı.*

უნდოდათ, რომ ჩემს ნაწერზე მე თვითონ მეცინა.

*მოჩვენებითი ხასიათი*

*Denizde lodosa tutulmuş, sallanıyor gibi oluyorum.*

ისე მაქანავეებს, თითქოს ზღვაზე ქარიშხალში ვარ მოხვედრილი.

*Ayşenin bir şeyler mırıldandığını duyuyor gibi oldum.*

მომესმა, თითქოს აიშე. რაღაცას ბუტბუტებს.

*Boğulacak gibi oluyorum bu evde zaman-dedi.*

ამ სახლში, – თქვა მან, ზოგჯერ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს სული უნდა შემეხუთოს.

*Saçını-başını yolacak gibi oldu.*

კინალამ თმები დაიგლიჯა.

*Meseleyi anlar gibi oluyorum.*

მე, თითქოს, ვხედები რაშია საქმე.

*Damarlarındaki bütün kan boşalır gibi oldu.*

მთელი ძარღვები თითქოს სისხლისგან დაეცალა.

*...başına apansız kalın bir sopa yemiş gibi oluyor.*

თავს ისე გრძნობს, თითქოს ერთი დიდი ჯოხი დასცხეს უეცრად.

*Tepelerinden kaynar sular dökülmüş gibi olmuşlardır.*

ისე იყენენ, თითქოს თავზე მღულარე გადაასხეს.

## 2. კომბინირებული ზმნები

კომბინირებული ზმნები მოქმედების სამი სახის ინტენსიობას გამოხატავს:

1. დაუყოვნებელს
2. ხანგრძლივს
3. დაყოვნებულს

## 1. დაუყოვნებელი (სწრაფი) მოქმედება

დაუყოვნებელი მოქმედება გულისხმობს მოქმედების სწრაფად შესრულებას. ასეთი მოქმედების გამომხატველი ნიშანია  $-(y)ver-$ , რომელიც ზმნის ფუძეს დაერთვის:

yaz-i-ver-mek სწრაფად დაწერა

otur-u-ver-mek სწრაფად დაჯდომა

yür-ü-ver-mek სწრაფად სიარული

მაგალითები:

*Olmazsa eline beş on kuruş da veriveririz.*

თუ არადა, ხელში მაშინვე ხუთი ათი ყურუში ჩაუდოთ.

*Oduncu yarıktaki kamayı çekiverdi.*

შეშის მჭრელმა ნაპრალიდან სოლი მაშინვე ამოიღო.

*Düdükler derhal heyecanlı lekuri'yi çalmağa başlayıverdiler.*

დუღუკებმა მაშინვე ტემპერამენტიანი ლეკურის დაკვრა დაიწყეს.

*Hoca kendini bir ağaçaltına bırakıverir.*

პოჯამ მაშინვე ხის ქვეშ შეაფარა თავი.

*Zavallı ihtiyar uyuyuverdi.*

საწყალმა მოხუცმა მაშინვე დაიძინა.

*Daha ziyade ısrar etmiyerek başka şey soruverdim.*

უფრო მეტად აღარ ჩაეცვივდი და მაშინვე სხვა რამ ეკითხე.

*Nevin babasının önünde yürüverdi.*

ნეინი მაშინვე მამამისთან მივიდა.

*Giderken paralarının yerini dilylvermeden gitti.*

ისე წავიდა, ვერ მოასწრო ეთქვა, ფული სად იყო.

## 2. ხანგრძლივი მოქმედება

ხანგრძლივი მოქმედების გადმოცემისას მუდმივი ელემენტი *dur* - დგომა, გაჩერება ზმნა, რომელიც მოსდევს ზმნის შემდეგ გრამატიკულ ფორმებს:

a)  $-(y)ip'$  აბსოლუტივი + *dur* - წინამავალი მოქმედების ხანგრძლიობის გადმოსაცემად.

b)  $-a^2$  აბსოლუტივი + *dur* - პარალელური მოქმედების ხანგრძლიობის გადმოსაცემად.

dinle-yip durmak ხანგრძლივად სმენა

yaz-a-durmak ხანგრძლივად წერა

მაგალითები:

*Bir ağaçtan öbürüne uçup duruyor.*

ერთი ხიდან მეორეზე დაფრინავს წარამარა.

*Kavga edip duruyor.*

სულ ჩხუბობს.

*Yeşil gözlerinde bir pırıltı titreyip duruyordu.*

მწვანე თვალები განუწყვეტლივ უბრწყინავდა.

*Hoca bir kazanın altına bir mum yakmış, dikkilip duruyordu.*

პოჯას ქვაბის ქვეშ სანთელი დაენთო, იღგა და იღგა.

*Bu büyük günahı söylerken bütün vücudu titriyor, gözleri yaşla dola*

*durur.*

ამ დიდ ცოდვაზე როცა ლაპარაკობდა, მთელი ტანი უცახცახებდა, თვალები მუდამ ცრემლით ევსებოდა.

*Sen yaza dur, ben gider gelirim.*

შენ წერე, მე წაველ და მოველ.

*Siz eve gidedurun, ben İhsan'a bir-iki laf diyeceğim-dedi.*

თქვენ შინ წადით, მე იჰსანს ერთი-ორი სიტყვა უნდა ვუთხრა.

*Hanıkanın biri resim ypadursun.*

ერთმა გენიოსმა სურათი ხატოს და ხატოს.

### 3. დაყოვნებული მოქმედება

დაყოვნებული მოქმედება გადმოიცემა შემდეგი გრამატიკული ფორმებით:

1. -(y)ip<sup>4</sup> აბსოლუტივი + kalmak

2. -a<sup>2</sup> აბსოლუტივი + kalmak

მაგალითად:

*Durdu bir taşın dibine oturup kalmış Memedi çağırdı.*

დურდუმ ერთი ლოდის ძირას მიმჯდარ მემედს დაუძახა.

*Ağzında sönmüş bir sigara parçası unutulup kalmıştı.*

პირში ჩამქრალი სიგარეტის ნამწვავი შერჩენოდა.

*Zamanın durup kalmasını istiyordu.*

უნდოდა, რომ დრო გაჩერებულიყო.

*Şimdiye kadar şaşırıp kalıyor.*

დღემდე უკვირს.

*Buna bir göz atınca hayretimden dona kaldım.*

ერთი თვალი შეევაღლე თუ არა, გააკვირვებისგან გაეშეშდი.

*Sonra da açılmış kocaman gözlerle onlara bakakalıyorlardı.*

შემდეგ კი გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ.

*Yorgan kadının elinde kalakalmıştı.*

საბანი ქალს ხელში შერჩენოდა.

*Yorulup uyuya kalmıyayım-diye yaralara tuz ekermiş.*

არ დავიღალო და არ დამეძინოსო, იარებზე მარილს იყრიდა.

## სახელზმნები

თურქულ ენაში სახელზმნების ფართო ქსელი გვაქვს. ასეთ ფორმებს ერთდროულად ზმნისა და სახელის თვისებები აქვს. მათი ძირითადი ზმნური თვისებაა ამა თუ იმ ბრუნვაში სახელის მართვა, ძირითადი სახელური თვისებაა ბრუნება.

სახელზმნები მოიცავენ მასდარებს და მიმღეობებს.

## მასდარები

თურქულ ენაში მასდარების ხუთი ჯგუფი არის:

1. -mak, -mek
2. -ma, -me
3. -ış, -iş, -uş, -üş თანხმოვნებთან  
-yiş, yış, -yuş, -yüş ხმოვნების შემდეგ
4. -tık, -tik, tuk, -tük ყრუ თანხმოვნების შემდეგ  
-dık, -dik, -duk, -dük დანარჩენი ბგერების შემდეგ
5. -acak, -ecek თანხმოვნების შემდეგ  
-yacak, -yecek ხმოვნების შემდეგ

### 1. -mak მასდარი

მასდარი -mak თურქული ენისათვის ზმნის განუსაზღვრელ ფორმას (საწყისს) წარმოადგენს. იგი მოქმედების გამომხატველი, აბსტრაქტული არსებითი სახელია. აბსტრაქტულობის გამო ეერ შეიწყობს კუთვნილებით სუფიქსებს, არ აქვს ნათესაობითი ბრუნვის

ფორმა, შეიწყობს თანდებულებს.

სახ. yaz-mak წერა

ნათ. - -

მიც. yaz-mağ-a

ბრალ. yaz-mağ-ı

ადგილ. yaz-mak-ta

დაწყ. yaz-mak-tan

მაგალითები:

-mak – ქვემდებარე:

*Önce Türkçe öğrenmek lâzım. ჯერ თურქულის სწავლაა საჭირო.*

-mak – პირდაპირი დამატება:

*Koca Halil en çok kulağını dayayıp saatlerce toprağı dinlemeyi sever. აღილს ყველაზე მეტად საათობით მიწისთვის ყურის გდება უყვარდა.*

-mak – ირიბი დამატება:

*Eline bir çöp aldı, toprağı karıştırmağa başladı.*

*ხელში ჩხირი აიღო და მიწას დაუწყო ჩირქნა.*

-mak – უბრალო დამატება:

*Hadi git, yaramazlığa bırak, okumakla meşgul ol.*

*აბა წადი, ცელქობას თავი დაანებე, სწავლას მოკიდე ხელი.*

*Oturmak için bir iskemle aradım.*

*დასაჯდომად სკამი მოძებნე.*

-mak – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:

*Yaşamak çalışmaktır.*

*ცხოვრება შრომაა.*

-mak – იზაფეთურ კონსტრუქციაში:

*Durmak zaman-ı geçti, çalışmak zaman-ıdır.*

*უქმად ყოფნის დრო წავიდა, მუშაობის დრო დადგა.*

-mağ-a – მიზნის გარემოება:

*Ekmek almağa gitti.*

*პურის საყიდლად წავიდა.*

-mak-tan მიზეზის გარემოება:

*Yürümekten yoruldu.*

სიარულისგან დაიღალა.

**-mak ile** – თანდებულთა და **beraber** სიტყვით გადმოსცემს თუქცაობით დათმობით შინაარსს:

**Bir şey anlamamak-la beraber yürümeğe başladı.** თუქცა კერაფერი გაიგო, მაინც წავიდა.

**-mak için, üzere** თანდებულებით გადმოსცემს მიზნის გარემოებას:

**Ağlamamak için kendimi güç zaptediyordum** ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ მეტირა.

**Bir yaz tatilini geçirmek üzere Antalya'ya gideceğim.** არდადეგების გასატარებლად ანტალიაში უნდა წავიდე.

**-mak** დაწყებით ბრუნვაში და **ise-maktansa** გადმოსცემს მოქმედების გარემოებას შემდეგი მნიშვნელობით: იმის მაგივრად, რომ ... ; ნაცვლად, ვიღრე.

**Ele avuç açmaktansa yebermeye razıydı.**ის თანახმა იყო მომკვდარიყო, ვიღრე ხელი გაეშვირა სამათხოვროდ.

**-mak suretile**– სიტყვასთან ერთად: მოქმედების ვითარებას.

**Ben yorulmadan çalışmak suretile her şey düzelteseğim.**

დაუღალავი შრომით ყველაფერს მოვაწესრიგებ.

**-mak maksadile** – მიზნის გარემოება: იმისათვის; იმიტომ, რომ

**Adam,yiyecek bir şey aramak maksadile dolaba yaklaşmış.**

იმისათვის, რომ რაღე საჭმელი მოეძებნა კარადაში, კაცი კარადასთან მივიდა.

**-mak şöyle dursun** გამოსტქმაში: იქით იყოს ... ; თავი დაეანებოს ...; ის კი არა ...

**Kadın ağzını açmak şöyle dursun gözlerini bile kaldıramaz**

პირის გაღება იქით იყო, ქალი თვალებსაც კი ვერ სწევდა ზუევით.

**-mak üzere** – მოქმედება, რომელიც საცაა უნდა შესრულდეს.

**-mak üzereydi** – მოქმედება, რომელიც ის იყო, უნდა შესრულდებოდა.

**Ahmed gelmek üzeredir** -აჰმედი საცაა მოვა.

**İşimi bitirmek üzereydim** -ის იყო ნემში საქმე უნდა დამემთავრებინა.

-*makla kalmamak* – არა მარტო, არამედ; არა მხოლოდ, ...

*O mektup yaz-mak-la kalmadı,kendisi de geldi. მან არა მარტო წერილი მოიწერა, არამედ თვითონაც წამოვიდა.*

-*maktansa* – იმის მაგიერად, რომ ... ; ჯობს ... , ვიდრე ...

*Esir yaşa-mak-tan-sa ölmeğe hazırdım. მზად ვიყავი მოემკედარიყავი, ვიდრე ტყვედ მეცხოვრა.*

*Hizmetçi olmaktansa ölmek daha iyidir' -მონობას სიკვდილი ჯობია.*

## -maklık, -meklik შორმა

მოქმედების სახელების რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე-*maklık* რთული ფორმა, რომელიც შედგება-*mak,-mek* მასდარისა და-*lık,-lik* აბსრაქტულობის მაწარმოებელი სუფიქსისგან. ირთავს კუთნილებით სუფიქსებს, იბრუნვის.

- mak-სა და -maklık-ს შორის განსვავება მხოლოდ სტილისტურია, ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათად იხმარება. მათ ურთიერთიანაცვლებას მნიშვნელობის თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ შეაქვს.

*მაგ.: 1.Onun borçlarını benim ver-mekliğ-im lâzimgeldi. საჭირო გახდა, რომ მე გადამეხადა მისი ვალები.*

*2.Sor-maklığ-ım-ı,yapılan işleri kendisine bildir-mekliğ-i-ni emrediyorlardı. მათ მიბრძანეს, რომ მე გამეგო და მათთვის მეცნობებინა.*

*3.Babam gel-mekliğ-iniz-i rica etti. მამამ გთხოვათ, რომ მობრძანდეთ.*

### 1. -ma მასდარი

მასდარი{-ma} მოქმედების გამომხატველი კონკრეტული ნაზმნარი სახელია. ირთავს კუთნილებს სუფიქსებს, იბრუნვის, შეიწყობს თანდებულებს. შესაბამისად, ისევე როგორც{-mak} მასდარი, წინადადების სათანადო წევრის როლში გამოდის.

gel-me-m	ჩემი მოსვლა	gel-me-miz	ჩვენი მოსვლა
gel-me-ni	შენი მოსვლა	gel-me-niz	თქვენი მოსვლა
gel-me-si	მისი მოსვლა	gel-me-leri	მათი მოსვლა

ბრუნების მაგალითები:

სახ. gel-me მოხვლა

ნათ. gel-me-nin მოხვლის

მიც. gel-me-ye მოხვლას

ბრალ. gel-me-yi მოხვლა, მოხვლას

ადგ. gel-me-de მოხვლაში

დაწყ. gel-me-den მოხვლიდან

მაგალითები:

Bu kitabı oku-ma-m lâzım.

ამ წიგნის წაკითხვა მჭირდება.

Kaç defa burada yaşa-ma-nın hasretini duydum.

რამდენჯერ მომნატრებია აქ ცხოვრება.

Alinin bensiz git-me-si-ne önem vermedim.

უნემოდ აღის წასვლისათვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

...size ismimi söyle-me-yi unuttum...

თქვენთვის ჩემი სახელის თქმა დამავიწყდა.

Berber yürü-me-niz-de ne fevkaladelik var?

რა არის უცნაური იმაში, რომ თქვენ ერთად მიდიხართ?

Türkçeyi öğren-me-niz-den memnunum.

მე კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ თურქულს სწავლობთ.

Bunu hepimiz dibi senin de onle-ma-n lâzım, artık.

ეს, ყველა ჩვენსავეთ, შენც უნდა გაიგო.

Şimdiye kadar Ali'nin geri dön-me-si lazımdı fakat o dönmüyordu.

აღი აქამდე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ არ ბრუნდებოდა.

## 2.მასდარი-იშ

-იშ მასდარი სამანტიკით განსხვავდება სხვა მასდარებისგან

- იგი მოქმედების მანერას გამოხატავს, თუმცა შეიძლება ეს ყველა მაგალითში თვალნათლივ არ იგრძნობა. -იშ მასდარი გვხვდება კუთვნილებითი სუფიქსებითაც და მის გარეშეც, იბრუნვის და გამოღის წინადადების სხვადასხვა წევრის როლში.

-იშ მასდარის ფონეტიკური ვარიანტებია:

1.-იშ,-იშ,-უშ,-იშ თანხმოვნების შემდეგ

2. -yiშ,-yiშ,-yuშ,-yüშ ხმოვნების შემდეგ

მაგ.: 1.Fakat bu bekle-yiş-im çok sürmedi. მაგრამ ეს ჩემი

ლოდინი დიდხანს არ გაგრძელდა.



2. Adam yürü/ yürü/nü köpeğinkine uydurmuştur. კაცს თავისი სიარული თავის ძაღლისთვის აეწყო.
3. Türkiye' ye gel-iş-imiz-den bir yıl kadar sonra Türkçe okuyup yazmaya başladık. თურქეთში ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ თურქულად წერა-კითხვა დაეიწყეთ.
4. Üç gündən beri okula gitme-yiş-im-in sebebi hastalık değil. ავადმყოფობა არ არის იმის მიზეზი, რომ სამი დღეა სკოლაში არ ეყოფილვარ.
5. Dama gir-iş-i-ni seyretmek hoşumuza giderdi. ბოსელში მისი შესვლის ყურება მოგეწონდა.
6. Şu çatal tut-uş-u-na, kadehi dudaklarına yaklaştı-ı-ş-ı-na bak! შეხედე, როგორ უჭირავს ჩანგალი, როგორ მიაქვს სასმისი ტუჩებთან.
7. Kadın bu gül-üş-ü-nün sebebini söyledi. ქალმა გვიამბო ამ ღიმილის მიზეზი
8. Adam her sokaktan gel-iş-te bunu adet edinmişlerdi. კაცს ქუჩიდან ყოველი შემოსვლისას ეს წესად აქონდა.

### 3. –dik და –acak მასდარი

–dik და –acak მასდარებიც ნაზმნარი სახელებია, სუბიექტის მოქმედების სახელია, მაგრამ მორფოლოგიურად და გრამატიკული სემანტიკით განსხვავდება დანარჩენი მასდარებისგან, კერძოდ, მათ გააჩნია დროის გაგება: –dik აწმყოსა და ნამყოში მიმდინარე მოქმედების სახელია, –acak კი მომავალში შესასრულებელი მოქმედების.

სხვა მასდარების მსგავსად (-ma,-ış) დაირთავენ კუთვნილებით სუფიქსებს, იბრუნვიან, შეიწყობენ თანდებულებს, შესაბამისად, წინადადების სხვადასხვა წევრის როლში შეუძლიათ გამოსვლა (ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოებითი წევრი).

–acak მასდარი მხოლოდ კუთვნილებითი სუფიქსებით გვხვდება, –dik მასდარი კუთვნილებითი სუფიქსითაც შეიძლება იყოს და მის გარეშეც.

კუთვნილებითი სუფიქსის გარეშე –dik მასდარი გვხვდება სახელობითში, ადგილობითსა და დაწყებით ბრუნვაში თანდებულებით. უკუთვნილებითსუფიქსო –dik-ს ცარიელ მასდარს

## უწოდებენ.

–**dik** მასდარის ფონეტიკური ვარიანტებია:

1. –dik,-dik,-duk,-dük
2. –tik,-tik,-tuk,-tük ერთ თანხმონიან ფუძეებთან

–**acak** მასდარის ფონეტიკური ვარიანტებია:

1. –acak,-ecek თანხმოვანფუძიანებთან
2. –yacak,-yecek ხმოვანფუძიანებთან

### 4. ცარიელი –dik მასდარი

1. Köye yaklaş-tık-ça köpekler havlamaya başladı. სოფელთან მიახლოების კეალობაზე ძაღლები ყეუას მოყენენ.
2. Yağmur yağ-dık-ta bir mağaraya sığındık წვიმა რომ წამოვიდა, ერთ გამოქვაბულს შეეფარეთ თავი.
3. ...on allı tenekte denize uç-tuk-tan başka neredeyse hayatları da elden gideyazmış. იმის გარდა, რომ თექვსმეტი კასრი ზღვამ შთანთქა, საცაა მათ სიცოცხლესაც თურმე საფრთხე ელოდა.
4. Başu yıkan-dık-tan sonra kınalamak gerek. ინის წასმა თავის დაბანის შემდეგ უნდა.

კუთვნილებითსუფიქსიანი –digi,-acagi

### ქვემდებარე

1. Korktuğuma uğra-dığ-ım gerçekleşiyordu. ჩემი შიში საფუძელიანი ხდებოდა.
2. Seni çok anyorum, çok gör-eceğ-im geliyor. შენ ბევრს გეძებ, ძალიან მენატრები.
3. Çocuğun de-diğ-i doğru çıktı. ბავშვის ნათქვამი მართალი გამოდგა.
4. Yi-yecek-leri, iç-ecek-leri, ısın-acak-ları kalmamıştı. არც საჭმელი, არც სასმელი, არც სათბობი დარჩენილა.
5. Balığın nerede ol-duğ-u, ne zaman vur-acağı-bilinmez. თევზი სად არის და როდის დაიჭერ, არვინ იცის.
6. Kendi de-diğ-i-ni kabul ettirmediyi için hoşuna gitmedi söylediklerim. რადგან თავისი ნათქვამი ვერ მიმალუბინა,

ჩემი ნათქვამიც არ მოეწონა.

### განსაზღვრება

1. *Bulun-duğ-um bir düğünde tuhaf bir adam gördüm.* ქორწილში, რომელშიც მე ვიყავი, ერთი უცნაური კაცი ენახე.
2. *Tanı-dığ-ın bu kız benin yakın komşumdur.* შენი ნაცნობი გოგონა ჩემი ახლო მეზობელი აყო.
3. *Adamın elyle açık dur-duğ-u kapıda durdu çocuk.* ღია კარებში, რომელიც კაცს ხელით ეჭირა, ბავშვი დადგა.
4. *Bu sırada gözlerinde hiç saklıyama-dığ-ı bir korku vardır.* ასეთ დროს მის თვალებში დაუფარავი შიში დგას.
5. *Otur-duğ-umuz semtin sokakları geniş ve estetik.* იმ უბნის ქუჩები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, განიერი და ასფალტინანია.
6. *Ben de onu ilk gör-düğ-üm hale düştüm, nefesim kesilmiş.* მე კი ისეთივე მდგომარეობაში ჩავეარდი, როგორშიც პირველად ნახვის დღეს – სუნთქვა შემეკრა.
7. *Şimdi yap-acağ-ınız iş şundan ibaret... საქმე, რომელიც თქვენ უნდა გააკეთოთ, შემდეგში მდგომარეობს.*
8. *Selâmlaş-a-cağ-ım insanları ben kendim seferim, babacığım.* მაშიკო, მე თვითონ შევარჩევ ხალხს, რომლებსაც უნდა მივესალმო.
9. *Kızımın yanında konuşamı-yacağ-ımız hiçbir mesele yoktur.* არ არსებობს საკითხი, რომელზედაც ჩემი ქალიშვილის თანდასწრებით ვერ ვისაუბრებთ.
10. *Mehmedin yeryüzünde hoş girmeyeceğ-i hiç bir şeyi yok.* ქვეყნად არაფერია, რაც მუამედს არ მოეწონება.

### პირდაპირი დამატება

1. *Hep birden şaşır kal-dığ-ımız-ı görünce gülümsedi.* როცა ჩვენი გაოცება დაინახა, გაუღიმა.
2. *Bir ağasıyla bir genç kızın gel-dik-leri-ni gördüm.* დავინახე, რომ ერთი ბატონი და ახალგაზრდა გოგო მოდიოდა.
3. *Bu trende bulun-duğ-unuz-u söylediled.* თქვენს, რომ ამ მატარებელში იმყოფებით.
4. *Ablam mektubunda bu haberi sizden al-dığ-ı-nı yazmıyor.* ჩემი

და წერილში არ წერს, რომ ეს ამბავი თქვენგან გაიგო.

5. *Polise cuzdanımın çal-dık-ları-nı söyledim.* პოლიციელს ეუთხარი, რომ საფულე მომპარეს.
6. *Ne yap-acağ-ı-nı,ne ed-eceğ-i-ni, kime di-yeceğ-i-ni,kime güven-eceğ-i-ni düşünmeye başladı.* იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა ექნა, რა უნდა გაეკეთებინა, ვისთვის უნდა ეთქვა, ვისი იმელი უნდა აქონოდა.
7. *Kızı başkalarına ver-ecek-leri-ni anlayınca kaldırıp kaçırdı.* როცა გაიგო, რომ გოგოს სხვას აძლევდნენ, აიღო და მოიტაცა.
8. *Yakında bu miktarı kırk tencereye kadar çıkarabil-eceğ-imiz-i umyorum.* იმელი მაქვს, რომ ამ ციფრის ორმოც ქვაბამდე გაზრდა შეგეძლია.
9. *Arpa kahvesi pişirebil-eceğ-i-ni de söyledi.* მან თქვა, რომ ქერის ყავის მოღვლეობაც შეეძლო.
10. *Profesör için döğüş-eceğ-iniz-i öğrenmişler.* შეიტყვეს, რომ თქვენ პროფესორისთვის იბრძოლებთ.

იურიდი დამატება

1. *Sen ne bakarsın köylünün de-diğ-i-ne.* შენ ყურს რას უგდებ გლეხის ნათქვამს.
2. *Zerbaceye de kokusuna da düşman kesildim,ye-diğ-im-e de yi-yeceğ-im-e de pişman oldum.* ზერბაჯისა და მისი სუნის მტრად ვიქცევი, ვნანობ, რომ მიჭამია და როდისმე უნდა ეჭამო.
3. *Sinirlenmi-yeceğ-in-e söz ver.* სიტყვა მომეცი, რომ არ ინერვიულებ.
4. *Seni doğur-acağ-ım-a keşke taşları doğuraydım.* შენს გაჩენას ნეტა ქვები გამეჩინა.
5. *Bir söz söyle-yeceğ-i-nden korkarak sustum.* შემეშინდა, რომ რამე არ ეთქვა და გაეჩუმდი.
6. *Halit'in bizimle birlikte ol-acağ-ı-ndan,bizim gibi düşün-düğ-ün-den hiç şuphem yok.* ეჭვი არ არის, რომ პაღლითი ჩვენთან ერთად იქნება და, რომ ჩვენსავეით ფიქრობს.
7. *Beni de sev-eceğ-i-ne eminmiş.* მას სჯერა თურმე, რომ ის მეც შემეყვარებს.

## გარემოებები

### დროის გარემოება

ა) **-diğ-i, -acağ-ı** ადგილობით ბრუნვაში – მაშინ, როცა; როცა

1. *Bir sabah onun külübesine git-tiğ-imiz-de mahallenin ihtiyaçlarını orada bulduk.* ერთ დღით, როცა ჩვენ მის ქობში წავედით, იქ უბნის მოხუცები ვნახეთ.
2. *Ormanın kıyısına yaklař-tiğ-ında gün batıyordu.* ტყის პირს როცა მიუახლოვდა, მზე უკვე ჩადიოდა.
3. *Gel-eceğ-iniz-de her şey hazır olacak.* თქვენ როცა მოხვალთ, ყველაფერი მზად იქნება.

ბ) **-diğ-i, -acağ-ı** და დროის აღმნიშვნელი სიტყვები **-sırada, anda, zaman, vakit, esna, gün, akşam, sabah** და ა.შ. (იმ დროს, იმ მომენტში, იმ დღეს ..).

1. *Boya yapma-diğ-i zaman sinemaya gider, maça gider, kahvede pişpink oynar.* როცა არ ღებავდა, კინოში, მატჩზე დადიოდა, კაფეში ბანქოს თამაშობდა.
2. *Yüzünü gör-düğ-üm anda nefesim kesildi.* მისი სახე როცა დაეინახე, სუნთქვა შემიქრა.
3. *Yılbaşından sonra birbirimizi görme-diğ-imiz günlerde ne yaptığ-ını anlatmadın.* შენ არ მიაბზე ახალი წლის შემდეგ რას აკეთებდი იმ დღეებში, როცა ჩვენ არ ვხვდებოდით ერთმანეთს.
4. *Onlar bu kararı alıp yürü-yecek-leri sırada, hoca hakkında koridorlarda dedikodu dönüyordu.* როცა ეს გადაწყვეტილება მოისმინეს და უნდა წასულიყვნენ, დერეფანში პოჯას შესახებ ჭორები უკვე დადიოდა.
5. *Kalk-acağ-ım vakit o doğrudu, tekrar daktiloların odasına gitti.* ჩემი ადგომის დრო რომ მოვიდა, ის წამოიშართა და მაშინვე მემანქანეების ოთახისკენ გაემართა.
6. *Arkadaşıma gid-eceğ-im saate kadar kahvede oturacak.* იმ საათამდე, რომელზეც მე წაუვალ, ის კაფეში იჯდება.

გ) **-diğ-i, -acağ-ı gibi** როგორც კი, მაშინვე ...

1. *Haber al-diğ-im gibi yola çıktım.* როგორც კი ამბავი შევიტყვე,

მაშინვე წაეუღო.

2. *Annenin elinden testiyi kap-tıđ-ı gibi başına dikti.* როგორც კი გამოსტაცა სურა დედას ხელიდან, მაშინვე თავზე დაიდგა.
3. *Gürüllü et-tiđ-in gibi kaçarım.* ჩხუბს როგორც კი ატეხ, მაშინვე გაეიქცევი.

დ) **-dıđı,-acađı** დაწყებით ბრუნვაში და თანდებულები **önce, evvel** ვიდრე, მანამდე, სანამ; – მდე.

1. *Zavallı Ömer!Hastahaneye kaldırıl-dıđ-ı-ndan evvel bana gelmişti.* საწყალი ომარი, ვიდრე სააეადმყოფოში გადაიყვანდნენ, ჩემთან იყო მოსული.
2. *Ömer'in gömül-düđ-ü-nden önce birkaç edebiyatçı toplandı.* ომარის დასაფლავებამდე რამოდენიმე მწერალი შეიკრიბა.
3. *Yeni konađa taşın-acađ-ımız-dan evvel Vasaf Bey büyük bir cesaret gösterdi.* ახალ სახლში გადაბარგებამდე ვასაფ ბეიმ დიდი გმირობა ჩაიდინა.

ე) **-dıđı,-acađı** დაწყებით ბრუნვაში და **beri** თანდებული გადმოსცემს “მას შემდეგ, რაც”.

1. *Evde huzur kalmadı,-diyordu,-gelin gel-diđ-i-nden beri kalmadı.*

მას შემდეგ რაც რძალი შემოვიდა, სახლში სიმშვიდე აღარ არისო, ამბობდა.

2. *Ömerle beraber yaşamađa başla-dık-ları-ndan beri ilk defa yalnız yatıyordu.* მას შემდეგ რაც ომართან ერთად ცხოვრობდა, პირველად იწვა მარტო.

ვითარების გარემოება

ა) **-dıđı,-acađı** და **gibi** თანდებულ – ვით, მსგავსად.

1. *O,işin bu tarafını, bile benim anla-dıđ-ım gibi anlamıyor.* მას საქმის ეს მხარეც კი არ ესმის ისე, როგორც მე.
2. *Bu evde kimse sayma-diđ-ı gibi,sen de saymıyordun onu.* ამ სახლში როგორც სხვები არ თვლიდნენ მას არაფრად, ისე შენ.
3. *İste-diđ-i gibi deđil,istenil-diđ-i gibi yazabilirdi.* მას შეეძლო ეწერა არა ისე, როგორც თვითონ სურდა, არამედ როგორც სთხოვდნენ.
4. *De-diđ-iniz gibi,gayet iyi dost olabilirsiniz.* როგორც თქვენ თქვით,

შეგვეძლო საკმაოდ კარგი მეგობრები ვყოფილიყავით.

5. Eserde göröl-eceğ-i gibi, bazı şeyhülislamlar zamanına padişahın deha fazla etkili olmuşlar. ნაწარმოებში როგორც გამოჩნდება, 'სოფ შეიძულისღამს იმ დროისათვის უადისაჩხუ მგტი გაველენა ჰქონდა.

6. Korkmayın, zannet-tiğ-iniz gibi değil. ნუ გეშინიათ, როგორც თქვენ გგონიათ, ისე არ არის.

ბ) **-diği, -acağı** და **kadar** თანდებული – იმდენი, რამდენიც.

1. Bardağa iç-eceğ-in kadar su kov! ჭიქაში იმდენი წყალი დაიხსი, რამდენსაც დაღუე.

2. Genç değildi: Yaşuy-acağı kadar yaşadı, seksenbeş yaşındaydı. ახალგაზრდა არ იყო: რამდენიც შეეძლო, იმდენი იცოცხლა, 85 წლის იყო.

3. O istediği zaman eğilenebil-diği kadar eğilenirdi. მას როცა გაუხარდებოდა, მაშინ ერთობოდა იმდენს, რამდენიც შეეძლო.

4. Beni buradan götür. Nereye istersen, elimden gel-diğ-i kadar çalışacağım, ki senin olayım. აქედან სადაც გინდა, იქ წამოიყაწე, რამდენიც შემოიღია ვიმუშავებ, თღონდ შენი ვიყო.

5. Dalgalar sahile bir ayda taşıyabil-ecek-leri kadar çakıl getirmiş. ტალღებმა ნაპირზე იმდენი ხრეში გამოიტანეს, რამდენის გამოტანაც ერთ თვეში შეეძლოთ.

6. Bunları söylemek bile bana tasavvur edemi-yeceğ-im kadar azap veriyor. ამეების თქმაც კი ისეთ ტანჯვას მგერიდა, ვერც კი აგიღწერ.

*მიზეზის გარემოება*

ა) **-diği, -acağı** და **için** თანდებული:

1. Odanıza sizden müsaadesiz gir-diğ-im için affını rica ederim. თქვენს ოთახში უნებართვოდ შემოსვლის გამო, ბოდიშს გიხდით.

2. Daha izin alama-dık-ları için boşta duruyorlarmış. რადგან ნაბართვა ვერ მიიღეს, ტყუილად იდგნენ.

3. Kendi dediğini kabul ettirme-diğ-i için, hoşuna gitmedi söylediklerim. რადგან თავის ნათქვამზე ვერ დამოყაბულა, ჩემი ნათქვამი აღარ მოეწონა.

4. Seni böyle erkenden bırakıp gid-eceğ-im için çok üzülüyorum. ძალიან ვწუხვარ, რომ შენ ასე ადრიანად უნდა დაგტოვო.

5. Ancak bir efendi çocuğu esnaflığa dönemi-yeceğ-i için okuyorum. მხოლოდ იმიტომ ვსწავლობ, რომ მაღალი წოდების ბავშვი არ გადავიქცე ხელოსნად.

ბ) **-diğ-i,-acağ-i** დაწეებით ბრუნვაში და თანდებულები **dolayı**:

1. Bunu yapabil-diğ-im-den dolayı çok memnunum. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან შევქეული ამის გაკეთება.

2. Sonra böyle kötü şeyler düşün-düğ-ünden dolayı utandı. შემდეგ შერცხვა, რადგან ასეთ ცუდ რამეებსე ფიქრობდა.

3. Bana misafir gel-eceğ-i-nden dolayı sizinle ava gidemiyeceğim. რადგან შემთან სტუმარი უნდა მოვიდეს, ამიტომ თქვენთან ერთად სანადიროდ ვერ წამოვალ.

გ) **-diğ-i,-acağ-i** დაწეებით ბრუნვაში:

1. Çocuklar artık Mine ile dost ol-duk-ları-ndan ona yaklaşmışlardı. რადგან ბავშვები მინეს დაუმეგობრდნენ, ამიტომ მას დაუახლოვდნენ.

2. Ayrı ayrı şeyler düşün-dük-leri-nden konuşmadan yürüdüler. რადგან სხვადასხვა რამესე ფიქრობდნენ, ამიტომ წუმად დადიოდნენ.

3. Yorgun görün-düğ-ünüz-den başka bir gün konuşalım bu meseleyi. რადგან დაღლილები ხართ, სხვა დღეს ვისაუბროთ ამაზე.

**-diğ-i,-acağ-i** სხვადასხვა შინაარხის წინადადეგებში

1. **göre, ait, dair, üzere, veçhle** თანდებულებით – მიხედვით, თანახმად.

1. Yolda anlat-tığ-ı-na göre çalıştığı şirketin bazı fabrikalarını dolaşmaktan geliyordu. გ'საზე ნაამბობის მიხედვით იგი კომპანიის სოციერთი ქარხნის დასათვალიერებლად იყო და იქიდან მოდიოდა.

2. Bu vazifenin Mehmede ait ol-duğ-u-na dair bir umumî kanaat vardı. არსებობდა საერთო აზრი, რომ ეს მოვალეობა მკმედს ეხებოდა.

3. Burada konuşulanların aramızda kal-acağ-ı-na ait söz vermenizi



*isterim. სიტყვა მინდა მომცეთ იმის შესახებ, რომ ის, რაც აქ ვილაპარაკეთ, ჩვენ შორის დარჩება.*

4. *Beşinci maddede zikredil-diğ-i üzere...მეხუთე თავში აღნიშნულის მიხედვით ...*

5. *Neşriyat şirketimiz isminden de anlaşıl-acağ-ı veçhle...როგორც ჩვენი გამომცემლობის ფირმის სახელწოდებიდანაც ჩანს ...*

2. **halde** თანდებულთ თუმცაობით – დათმობით შინაარსს გადმოსცემს:

1. *Her gün kadın müşterilerle konuş-luğ-um halde onu görür görmez nefesim kesiliyordu. თუმცა ყოველდღე მუშტარ ქალებთან ესაუბრობდი, მას დავინახავდი თუ არა, მაშინვე სუნთქვა მეკეროდა.*

2. *Bu genç kıza deli gibi aşık olduğ-um halde bin altını getirmiyecek olursa ne yapacağımı düşünüyordum. თუმცა ეს ახალგაზრდა ქალი გიჟივით შემიყვარდა, მაგრამ იმაზე ვფიქრობდი, ათასი ოქრო რომ არ მოეტანა, რა უნდა მექნა.*

3. *Canı çay iste-diğ-i halde deminden beri seslenmeye enikonu çekemiyordu. თუმცა გულით უნდოდა ჩაი, მაგრამ წელანდელს აქეთ ხმას ვერ იღებდა.*

4. *Canı çek-tiğ-i halde çocuğunun resmine bakmaya bile üşeniyordu. თუმცა სული ელეოდა (ნახვის სურვილით), მაგრამ ისიც კი ეზარებოდა, ბავშვის სურათისთვის შეეხებდა.*

5. *Geleceğimi haber verme-diğ-im halde annemi aradım. თუმცა ჩემი ჩამოსვლის შესახებ არ მიცნობებია, დედაჩემს მაინც ვეძებდი.*

3. **taktirde** სიტყვასთან ერთად პირობით შინაარსს გადმოსცემს:

1. *Bana inanma-diğ-iniz taktirde, sizinle çalışmam. თქვენ თუ ჩემი არ გჯერათ, თქვენთან ვერ ვიმუშავებ.*

2. *Ömer Beyi bulma-diğ-iniz taktirde, bu mektubu sekreterine veriniz. ომერ ბეის თუ ვერ ნახავთ, ეს წერილი მის მდივანს გადაეცით.*

3. *İsteme-diğ-i taktirde, vazgeçebilir. თუ არ მოისურვებს, შეუძლია უარი თქვას.*

4. *Müdürünüzü gör-düğ-ünüz taktirde, lütfen bana telefon etmesini*

söyleyiniz. თუ თქვენს დირექტორს ნახათ, თუ შეიძლება უთხარი, დამირეკოს.

5. *Onlar bu akşam gelme-dik-leri taktirde toplantı yapamayız.* ისინი თუ ამ საღამოს არ მოვლენ, კრებას ვერ ჩაატარებთ.

4. **-acaklı-acağı yerde** და **-acağına** გრამატიკული ფორმა, რომელიც მთავარი ზმნით ბრუნვაში არ იმართება, გადმოსცემს შემდეგ შინაარსს – იმის მაგიერად, რომ ...; ნაცვლად:

1. *Uykusuzluktan hapları al-acak yerde şu şurubu içsene, daha iyi.* იმის მაგიერად, რომ დასასიხებელი აბები მიიღო, ჯობდა, ეს მიქსტურა დაგელია.

2. *Doktorun tavsiye ettiği pehrizi tut-acak yerde cigara üstüne cigara içiyor.* იმის ნაცვლად, რომ ექიმის გამოწერილი დიეტა დაეცვა, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა.

3. *Seri dinli-yeceğ-im yerde ben yarınki dersimi düşündüm.* იმის მაგიერად, რომ შენთვის მომესმინა, ჩემს ხვალისთვის გაკეთებულზე ვფიქრობდი.

4. *Rakı iç-eceğ-imiz-e birer şampanya içelim!* არყის დაღვევას თითო შამპანიური დაელით.

5. *Burada otur-acak-ın-a git te istirahat et!* აქ ჯდომას წადი და დაისვენე.

**-dığı მომავლის ,acak** ნამყოს სემანტიკით

ბავშვი დაეარდნა ადგომაში იზრდება.

5. Yürü-ye yürü ye Şişli'ye geldik.

სიარულ-სიარულში შიშლიში მივედით.

6. Dön-e dolaş-a Kerbela'ya geldik.

ხეტიალ-ხეტიალში ქერბელაში მივედით.

### 3. აბსოლუტივი – ip

– ip აბსოლუტივიანი ზმნით გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს ძირითადი მოქმედების გამომხატველ ზმნას ვითარების ფონის სახით.

ფონეტიკური ვარიანტებია:

ა) – ıç, – ip, – up, – üp თანხმოვნებთან.

ბ) – yıp, – yip, – yup, – yüp ხმოვნებთან.

მაგ.: 1. Tren düdüğünü çala çala gelip istasyonda durmadan geçti.

მატარებელი სტენა-სტენით მოვიდა და სადგურში არ გაჩერებულა, ისე გაიარა.

2. Bu genç kız bana oturacağıım daireyi gösterip çekildi.

ამ გოგომ მაჩვენა, სად უნდა მეცხოვრა და გამშორდა.

3. Eve gelmeyip nereye gidelirlerdi? Şin arמושულან, სად შეიძლება წასულიყვნენ?

4. Peter önce şefin birasını açıp verdi. პეტერმა ჯერ შეფს გაუხსნა ლუდი და მისცა.

5. İlk günler Handan gelip söylerdi bunları. პირველ ხანებში ჰანდანი მოდიოდა და ამბებს მატყობინებდა.

– ip აბსოლუტივიანი ზმნა შეიძლება წინ უსწრებდეს ზმნის ნებისმიერ ფორმას პირიანი იქნება თუ უპირო (მიმღეობა, მასღარი).

მაგ.: 1. Köyde kalıp bir baltaya sap olmak büsbütün imkansızdı.

სოფელში დარჩენა და რაიმე საქმისთვის ხელის მოკიდება მთლად შეუძლებელი იყო.

2. Bir iş bulup para kazanmaya mecbursun dedi.

შენ იძულებული ხარ, – მითხრა მან, – მუშაობა დაიწყო და ფული იშოვნო.

3. Anasının, babasının sağol olmadığını bile bilelemiyor işte.  
საკმე იმაშია, რომ მან არც კი იცის ცოცხლები არიან თუ არა მისი მშობლები.
4. Senin de sözünde durup mektup yazacağını umuyorum.  
იმედი მაქვს, სიტყვას შეასრულებ და წერილს მომწერ.
5. Uzaktan bir kıvılcım gibi yanıp sönen bir ışık göründü.  
შორიდან სინათლე გამოჩნდა, რომელიც ნაპერწკალივით ინთებოდა და ქრებოდა.

### თანდებულები

თურქულ ენაში თანდებული დამხმარე სიტყვაა, რომელიც მოსდევს სახელს რომელიმე ბრუნვაში და ახსენებს მის მიმართობას სხვა სიტყვებთან.

ბრუნვების მიხედვით თანდებულები შემდეგნაირად ნაწილდება:

#### 1. სახელობითი ბრუნვის თანდებულები:

##### 1. önce, evvel წინ; sonra შემდეგ

ეს თანდებულები მხოლოდ დროის შინაარსის მქონე სახელებს მართავს სახელობით ბრუნვაში.

მაგ.: iki saat önce ორი საათის წინ

beş gün evvel ხუთი დღის წინ

bir hafta sonra ერთი კვირის შემდეგ

##### 2. -ca, -ce, -ça, -çe მიერ, მიხედვით.

მაგ.: bence ჩემ მიერ; ჩემი მიხედვით.

arkadaşça ამხანაგის მიერ // მიხედვით

##### 3. -casına- -casine -ვით, მსგავსად

მაგ.: ağılcasına მეტირალივით

gülercesine მომღიმარივით

##### 4. ile თანდებულს რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს:

ა) გადმოსცემს თანაობას.

მაგ.: Ali ile okula gittim – ალისთან ერთად სკოლაში წავედი.

Bu kitabı arkadaşım ile okudum – ეს წიგნი ჩემს

ამხანაგთან ერთად წაუკითხე.

ასეთ კონტექსტში *ile* თანდებულს ხშირად ახლავს *beraber* ან *birlikte* “ერთად” სიტყვები.

მაგ.: *Buraya anne ile beraber geldi.*

*აქ დედასთან ერთად ჩამოვიდა.*

*Filmi arkadaş ile birlikte gördüm.*

*ფილმი ამხანაგთან ერთად ვნახე.*

ბ) დაერთვის საგნის, ინსტრუმენტის აღმნიშვნელ სიტყვას, რომლითაც მოქმედებენ.

მაგ.: *kalem ile yazdım*

*კალმით დაეწერე*

*bıçak ile kestim*

*დანით დაეჭერი*

*gözüm ile gördüm*

*ჩემი თვალით დავინახე*

გ) *ile* თანდებული ორ არსებით სახელს შორის ‘და’ კავშირის ფუნქციას ასრულებს.

მაგ.: *Anne ile baba*

*დედა და მამა*

*kardeş ile kızkardeş*

*ძმა და და*

*ile* თანდებული იხმარება როგორც ცალკე, ასევე სიტყვასთან ერთად. ერთად ხმარებისას მისი ფონეტიკური ვარიანტებია:

1. *-la, -le* თანხმოვანფუძიანებთან

2. *-yla, -yle* ხმოვანფუძიანებთან

მაგ.: *kardeşle* ძმით

*trenle* მატარებლით

*babayla* მამით

*arkayla* ზურგით და სხვ.

5. *gibi* მსგავსება–შედარებას გამოხატავს.

მაგ.: *kız gibi* გოგოსავეით

*buz gibi* ყინულივით

6. *için* აღნიშნავს დანიშნულებას, მიზანს, სამოქმედო საგანს.

მაგ.: *su için* წყლისათვის

*çocuk için* ბავშვისათვის

7. **kadar** ოდენა, –ვით.

მაგ.: *annesi kadar gūzel* დედასავით ლამაზია  
*şeker kadar tatl* შაქარივით ტკბილი

8. **taktirde** 'იმ შემთხვევაში'.

მაგ.: *geldiğiniz taktirde* თქვენი მოსვლის შემთხვევაში  
*yapmadıkları taktirde* არ გააკეთების შემთხვევაში

9. **üzere** გამო, -თვის.

მაგ.: *gilmek üzere* წასასვლელად, წასვლაზე.

## 2. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები

**gibi, için, kadar, ile** მხოლოდ პირის, ჩვენებითი და **kim**  
'ვინ' ნაცვალსახელებთან

მაგ.: *benim gibi* ჩემსავით

*senin için* შენთვის

*onun kadar* მასავით; იმხელა

*bizim ile* ჩვენთან ერთად

*sizinle* თქვენთან ერთად

მაგრამ: *onlar gibi, bizler için, onlar kadar, sizler ile.*

## 3. მიცემითი ბრუნვის თანდებულები:

1. **ait, dair** შესახებ:

*bana ait* ჩემ შესახებ

*dersler dair* გაკეთებულების შესახებ

2. **göre** მიხედვით:

*ona göre* იმის მიხედვით

*romana göre* რომანის მიხედვით

3. **mahsus** – თვის, სპეციალური:

*çocuklara mahsus* საბავშვო

*sizle mahsustur* სპეციალურად თქვენთვის

4. **nazaran** თანახმად, მიხედვით:

*buna nazaran* ამის მიხედვით, ამის თანახმად.

*gazetlere nazaran* გაზეთების მიხედვით.

5. **nispeten** შედარებით.

*dünküne nispeten* გუშინდელთან შედარებით

bu ona nispeten ეს იმასთან შედარებით

6. **uygun** შესაფერი

ona uygun მისთვის შესაფერი

kıza uygun გოგოს შესაფერი

4. *ბრალდებითი ბრუნვის თანდებულები*

**müteakip** – მიყოლებით, მომდევნოდ:

birbirini müteakip – ერთმანეთის მიყოლებით

bunu müteakip – ამის მომდევნო, ამის შემდეგ

5. *დაწყებითი ბრუნვის თანდებულები*

1. **başka, gayri** – გარდა, სხვა.

kadınlardan başka – ქალების გარდა

Alahtan gayri – ღმერთის გარდა

2. **beri** – მოყოლებული, – დან:

akşamdan beri – საღამოდან მოყოლებული, დაწყებული

sonbahardan beri – შემოდგომიდან მოყოლებული

3. **dolayı, ötürü** – გამო:

şüphelerimden dolayı – ჩემი ეჭვების გამო

bundan ötürü – ამის გამო

4. **önce, evvel** – მდე, წინ:

öğretmenden önce – მასწავლებლამდე

sizden evvel – თქვენამდე, თქვენზე წინ

5. **sonra** – შემდეგ:

derslerden sonra – გაკვეთილების შემდეგ

onlardan sonra – მათ შემდეგ

6. **fazla** – მეტი:

მაგ.: gereğinden fazla – საჭიროზე მეტი

bundan fazla – ამასზე მეტი

7. **itibaren, beri** – მოყოლებული, იმ დროიდან

მაგ.: **dünden** itibaren – გუშინდლიდან

**yarından beri** – ხვალღიდან დაწყებული, მოყოლებული.



## სივრცობლივი სახელები

სივრცობლივი სახელები დამოუკიდებელი მნიშვნელობის სახელებია, რომლებიც მეორე (ან მესამე) იზაფეტით უკავშირდება სახელს და აკონკრეტებს საგანთან სივრცობლივ მიმართებას. მაგ. *masa üstüne* – მაგიდის ზემოთ, *çanta içinden* (ჩანთის შიგნიდან) და ა.შ. თანდებულებისგან განსხვავებით, ისინი სახელის ფუძეს მოსდევენ და არა ბრუნეის ნიშანს.

ასეთი კონსტრუქციის თანმიმდევრობა შემდეგია: სახელი სახელობით ან ნათესაობით ბრუნვაში – თანდებული – კუთვნილებითი სუფიქსი – ბრუნეის ნიშანი.

სივრცობლივი სახელებია:

1. *ara* – შორის

მაგ.: *kitaplar arasında* – წიგნებს შორის; ან *-kitapların arasında*; *bizim aramızda* – ჩვენ შორის  
*sizinle benim aramda* – თქვენსა და ჩემ შორის  
*uyku arasında* – შუა ძილში

2. *arka* – უკან

მაგ.: *dolabın arkasında* – კარადის უკან  
*senin arkandan* – შენს უკან

3. *art* – ზურგს უკან, *arka*-ს სინონიმია

მაგ.: *dolabın ardında* – კარადის უკან  
*senin ardında* – შენს უკან

4. *baş* – [თავი], თანდებული – თან

მაგ.: *masanın başında* – მაგიდასთან  
*otobüs başına* – ავტობუსთან

5. *beri* – ეს მხარე

მაგ.: *beri gelmek* – ახლოს მოსვლა  
*beriye geliniz!* – ახლოს მოდით!

6. *boy* – სიგრძე > გაყოლებით, განმავლობაში

მაგ.: *nehir boyunca* – მდინარის გაყოლებით  
*çağ boyunca* – საუკუნის განმავლობაში

7. *çevre* – სფერო, წრე > გარშემო

მაგ.: *şehirin çevresinde* – ქალაქის გარშემო  
*çevremizde* – ჩვენს გარშემო

8. **dip** – ძირი

მაგ.: *bardak dibinde* – ჭიქის ფსკერზე  
*ağacın dibinde* – ხის ძირში

9. **dış**– გარეთ, გარდა

მაგ.: *şehirin dışında*– ქალაქის გარეთ, ქალაქგარეთ  
*evin dışından*– სახლის გარედან

10. **doğru** – პირდაპირ, -კენ

მაგ.: *eve doğru gitti* – პირდაპირ სახლისკენ წავიდა  
*bu yol doğru oraya gider* – ეს გზა პირდაპირ იქ მიდის

11. **dolay** – გამო, წყალობით

მაგ.: *iş dolaysıyla* – საქმის გამო, საქმის წყალობით  
*bunun dolaysıyla* – ამის გამო

12. **etraf** – გარშემო

მაგ.: *evin etrafında* – სახლის გარშემო  
*sizin etrafınızda* – თქვენს გარშემო

13. **gayri** – გარდა, სხვა

მაგ.: *bundan gayri*– ამის გარდა  
*annemden gayri kimsem yok* – დედაჩემის გარდა არაეინ მყავდა

14. **hak** – შესახებ

მაგ.: *benim hakkımda* – ჩემ შესახებ  
*öğretmen hakkında* – მასწავლებლის შესახებ

15. **iç** – ში

მაგ.: *çanta içinde* – ჩანთაში  
*benim içimde* – ჩემში

16. **içeri** – ში

მაგ.: *park içerisinde* – შუა პარკში  
*sevinç içerisinde*– სიხარულში

17. **iler** – წინ

მაგ.: *kapı ilerisinde*– კარების წინ  
*bizim ilerimizde* – ჩვენს წინ

18. **karşı** – პირდაპირ, პირისპირ

მაგ.: *adamin karşısında* – კაცის პირდაპირ

*sizin karşınızda – თქვენს პირდაპირ.*

19. **orta** – შუაში

მაგ.: *odanın ortasında – ოთახის შუაში*

*şehirin ortasında – ქალაქის შუაში*

20. **önce** – მღე

მაგ.: *darsler öncesinde – გაკეთილებამდე*

*seçim öncesinde – არჩევნებამდე*

21. **ön** – წინ

მაგ.: *evin önünde – სახლის წინ*

*bizim önümüzde – ჩვენს წინ*

22. **öte** – სხვა ადგილი > იქით, მოშორებით, გარდა

მაგ.: *denizler ötesinde – ზღვებს იქით*

*bundan ötesi – ამის გარდა*

23. **peş** – უკან, მოყოლებული, შემდეგ

მაგ.: *kadın peşinde koşmak – ქალების უკან სიარული*

*(ქალების დევნა)*

*onun peşini bırakmamış – ვინმეს უკან დევნა*

24. **saye** – წყალობა, წყალობით, გამო

მაგ.: *kocasının sayesinde – ქმრის წყალობით*

*iyi terbiye sayesinde – კარგი აღზრდის წყალობით*

25. **sonra** – შემდგომი, შემდეგი, შემდეგ

მაგ.: *ameliyat sonrası devresi – ოპერაციის შემდგომი*

*პერიოდი*

*harp sonrası – ომის შემდგომი*

26. **taraf** – მხარე > მხრივ, მხრიდან

მაგ.: *direktör tarafından – დირექტორის მხრიდან (მხრივ)*

*benim tarafımdan – ჩემი მხრიდან ჩემ მიერ*

27. **uç** – ბოლო > ბოლოში

მაგ.: *yolun ucunda – გზის ბოლოში*

*dünyanın bir ucunda – ქვეყნის დასაღიერში*

28. **uğur** – თვის, გამო

მაგ.: *yurt uğruna – სამშობლოსთვის*

*onun uğruna – მისი გულისთვის (მისთვის)*

29. **üst, üzer** – ზე

მაგ.: **masanın üstünde** – მაგიდაზე

**şehirin üzerinde** – ქალაქის თავზე (ქალაქზე)

30. **yakın** – თან, ახლოს

მაგ.: **okulun yakınında** – სკოლასთან (სკოლის ახლოს)

**bizim yakınımızda** – ჩვენთან ახლოს

31. **yan** – გვერდი > თან, გვერდზე

მაგ.: **çocuğun yanında** – ბავშვის გვერდით (ბავშვთან)

**sizin yanınızda** – თქვენ გვერდით (თქვენთან)

32. **yer** – ნაცვლად

მაგ.: **öğrencisini yerinde** – მოსწავლის ადგილზე (ნაცვლად)

**benim yerimde** – ჩემს ნაცვლად

33. **yüz** – სახე > გამო

მაგ.: **yağmur yüzünüzden** – წვიმის გამო

**sizin yüzünüzden** – თქვენ გამო

34. **zarf** – ფუტლიარი, გარსი > განმავლობაში

მაგ.: **bir ay zarfında** – ერთი თვის განმავლობაში

**son yıl zarfında** – ბოლო წლის განმავლობაში

### ზმნიზედა

ზმნიზედა პქვია სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას სხვადასხვა ნიშნით განსაზღვრავს.

თურქულ ენაში პირველადი ზმნიზედა ცოტაა, უმეტესობა სახელებია, რომელიც წინადადებაში ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს.

შინაარსის მიხედვით ზმნიზედა რამდენიმე სახისაა:

1. დროის
2. ადგილის
3. ვითარების
4. ოდენობის

## 1. დროის ზმნიზედა

დროის გამომხატველი ზმნიზედა უჩვენებს მოქმედების დროის გარკვეულ მონაკეთს. პასუხობს კითხვაზე –ne zaman? ne vakit? როდის?

დროის ზმნიზედები, ძირითადად, დროის შინაარსის მქონე სახელებია.

ფორმით ორი სახისაა: მარტივი და რთული.

დროის მარტივი ზმნიზედებია: *şimdi* – ახლა, *demin* – ახლახან, *dün* – გუშინ, *yarın* – ხვალ, *sonra* – შემდეგ, *evvelâ* – პირველად, ადრევე, *önce//evvel* – ადრე, *erken* – ადრე, *ergeç* – ადრე თუ გვიან, *bırdır* – შარშან, *henüz* – ახლახანს, *yine* – კელავ, *gene* – კელავ, *hemen* – მაშინვე, *derhal* – მაშინვე, *bazan* – ზოგჯერ, *daima* – მუდამ, *hala* – ჯერ კიდევ და სხვ.

დროის რთული ზმნიზედები მიღებულია დროის ან სეზონის და სხვადასხვა შინაარსის მქონე სახელებისაგან:

1. *-(y)ın, -(y)in, -(y)un, -(y)ün* უმახვილო სუფიქსის დართვით, რომელსაც ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

მაგ.: *yazın* – ზაფხულში, *kışın* – ზამთარში, *öğleyin* – შუადღისას, *gündüzün* – დღისით, *ilkin* – პირველად, *ansızın* – უცებ, მოულოდნელად, *için için* – საიდუმლოდ, *ardın ardın* – უკან უკან, *üstün* – ზერელებდ, *yakın* – ახლოს, *dönüşün* – დაბრუნებისას.

2. *-leyin* – ერთვარიანტიანი უმახვილო სუფიქსის დართვით.

მაგ.: *sabahleyin* – დილით, *akşamleyin* – საღამოს, *geceleyin* – ღამით, *gündüzleyin* – დღისით.

აღნიშნულსუფიქსიანი ზმნიზედებს განსაზღვრება არასოდეს ახლავს: *yazın* – ზაფხულში; მაგრამ *bu yaz* – ამ ზაფხულს, *kışın* – *bu kış* – ამ ზამთარს

3. *-ca, -ce, -fa, -fe* უმახვილო სუფიქსით მიღებული ზმნიზედები, ძირითადად, დროის შინაარსის მქონე სახელების მრავლობით რიცხვს დაერთვის და უჩვენებს მოქმედების ხანგრძლივობას დროში.

მაგ.: *senelerce* – წლობით, *haftalarca* – კვირაობით, *aylarca* – თვეობით, *yıllarca* – წლობით, *günlerce* – დღეების განმავლობაში,

müddetçe – ხანგრძლივად, დროთა განმავლობაში, ömürce – ცხოვრების მანძილზე.

4. III პირის კუთვნილებითი სუფიქსით.

მაგ.: *sabahları* – დილაობით, *akşamları* – საღამოობით, *cumaları* – პარასკეობით

5. *bu*, *şu*, *o* – ჩვენებით ნაცვალსახელითა და ადგილობითი ბრუნვით.

მაგ.: *bu sırada//bu arada* – ამ დროს

*o sırada//o arada* – იმ დროს

*bu günlerde* – ამ დღეებში

6. ადგილობითი ბრუნვით

მაგ.: *yakında//yakınlarda* – მალე, უახლოეს დროში

*uzakta//uzaklarda* – მომავალში

ამავე ჯგუფს ეკუთვნის: *günlerde bir gün* – რომელიმე დღეს, როდესმე, *günün birinde* – ერთ დღეს, *ikidebir, ikidebirde* – ძალიან ხშირად, *arada bir* – ზოგჯერ

7. შესამე პირის კუთვნილებითი სუფიქსითა და ადგილობითი ბრუნვით.

მაგ.: *zamanında//vaktinde* – ერთი და იმავე დროის

*haftasında* – იმავე კვირაში

*herdefasında* – ყოველთვის (ყოველჯერ).

8. დაწყებით ბრუნვაში მდგომი მეტყველების სხვადასხვა ნაწილით.

მაგ.: *çoktan* – დიდიხანია, *eskiden* – ძველთაგან, *erkenden* –

ადრინადად, *sonradan* – შემდეგ, *evvelden//öncenden*

–ადრე, უწინ, *deminden* –ახლახანს, *aradan* – მას

შემდეგ, *birazdan* – ცოტა ხნის შემდეგ.

უმეტესობა *beri* თანდებულთ იხმარება და ერთად იწერება: *çoktanberi* – დიდი ხნიდან, *eskidenberi* – ძველთაგან, ძველი დროიდან მოყოლებული.

9. ზოგი ზმნური ფორმა ზმნიზედად დამკვიდრდა.

მაგ.: *derken* – ზუსტად ამ დროს, *çok geçmeden* – უახლოეს

დროში, *gün geçtikçe* – დღითი დღე, *geçen, geçenlerde*

– ამას წინათ, ამ დღეებში

## 2. აღგილის ზმნიზედა.

აღგილის ზმნიზედა მოქმედებას განსაზღვრავს აღგილის ან მიმართულების მიხედვით. კითხვებია: *nerede?* – სად? *nereye?* – საით?, *nereden?* – საიდან?

აღგილის ზმნიზედებია: *ileri* – წინ, *geri* – უკან, *aşağı* – ქვემოთ, *yukarı* – ზემოთ, *içeri* – შიგნით, *dışarı* – გარეთ, *beri* – აქეთ, *öte* – მოშორებით.

მაგ.: – *ileri* – *ileriye* – *ileride* – *ileriden*

– *beri* – *beriye* – *beride* – *beriden* და ა.შ.

აღგილის ზმნიზედის ფუნქციას სხვა სახელებიც ასრულებს: *bura*, *şura*, *ora* – ჩვენებითი ნაცვალსახელები მიცემით, აღგილობით და დაწყებით ბრუნვაში:

მაგ.: *buraya* – აქეთ

*şuraya* – მაქეთ

*oraya* – იქით

*burada* – აქ

*şurada* – მანდ

*orada* – იქ

*buradan* – აქედან

*şuradan* – მაქედან

*oradan* – იქიდან

*şura bura* ხშირად დაწყვილებულია: *şuraya buraya* – აქეთ-იქით

*şurada burada* – აქა იქ

*şuradan buradan* – აქედან, იქიდან; ამაზე, იმაზე

– *cık* კნინობითი სუფიქსით: *şuracık* – აქვე, *oracık* – იქვე

*yer* – აღგილი, *taraf* – მხარე, *bir*, *her*, *hiçbir* სიტყვებთან

ერთად:

მაგ.: *bir yere* – სადაც (უარყოფითთან – არსად)

*bir taraftan* – საიდანღაც

*hiçbir yerde* – არსად

*hiçbir taraftan* – არსაიდან

*her yerde* – ყველგან

*her taraftan* – ყოველ მხრიდან

*ön* – წინ, *arka* – უკან, *üst* –ზე, *alt* – ქვეშ

მაგ.: *öne* – წინ (წინისაკენ) *arkaya* – უკან (უკნისაკენ)

*üste* – ზემოთ (ზემოთკენ)

*önde* – წინ *arkada* – უკან

*üstte* – ზემოთ

önden – წინიდან arkadan – უკნიდან üstten – ზემოდან  
sağ, sol, uzak, yakın და მსგავსი შინაარსის მქონე სხვა  
სიტყვები.

### 3. ვითარების ზმნიზება

ვითარების ზმნიზება გადმოსცემს, თუ რა ვითარებაში ხდება  
მოქმედება. პასუხობს კითხვაზე: *nasıl?* როგორ?

ვითარების ზმნიზების ფუნქციას ასრულებს სხვადასხვა  
სახელები.

*ზედსართავეები* – iyi – კარგი, yavaş – ნელი, dođru– სწორი, güzel  
– ლამაზი.

*მაგ.: iyi yap!* – კარგად გააკეთე

*güzel yazıyor* – ლამაზად წერს

*dođru söylüyor* – სწორად ამბობს და ა.შ.

2. böyle, öyle, şöyle ნაცვალსახელები

*მაგ.: böyle yapma!* ასე არ გააკეთო!

*şöyle yaz!* მასე დაწერე!

*öyle yapılmaz* – ასე არ კეთდება და ა.შ.

3. –ca, –ce, –ça, –çe სუფიქსიანი სახელები

*მაგ.: iyice oku!* კარგად წაიკითხე!

*çocukça yazıyor* – ბავშვურად წერს

*kardeşçe, ძმურად, böylece, şöylece* და ა.შ.

4. გაორკეცებული ფუძეები:

*hızlı hızlı* – ჩქარ-ჩქარა, *çok çok* – ყველაზე ბევრი

*dumaksızın*, – შეუწერებლად. *ansızın* – მოულოდნელად, უცებ

### 4. ოდენობის ზმნიზება

ოდენობის ზმნიზება მიუთითებს, თუ რა ოდენობით ხდება  
მოქმედება. ოდენობის შინაარსის მქონე ზმნიზებების რაოდენობა  
მცირეა. ძირითადად ზედსართავეებია გამოყენებული.

ოდენობის ზმნიზების ფუნქციას ასრულებს:

1. en – ძალიან, daha – უფრო, pek – საკმაოდ, çok – ბევრი,  
az – ცოტა, biraz – ოდნავ, ცოტა.

en დამოუკიდებლად არ იხმარება. იგი უმაღლეს რაოდენობას



გამოხატავს.

მაგ.: *en çok yaşıyor* – ძალიან დიდ ხანს ცხოვრობს  
*en güzel yazdı* – ძალიან ლამაზად დაწერა  
*daha çok çalış* – უფრო მეტი იმუშავე!  
*az ver!* ცოტა მიეცი!

2. –ca, –cacık სუფიქსიანი სიტყვები:

მაგ.: *usulca gitti* – ჩუმად წაიდა  
*çabucak geldiler* – სწრაფად მოვიდნენ

3. *eksik, syrek, sık* სიტყვები

თურქულ ენაში არაბული ენიდან შემოსული ზმნიზედებიც ხშირ ხმარებაშია.

მაგ.: *fazla* – მეტი, *gayet* – საკმაოდ, ძალიან; *fevkâlâde* – არაჩვეულებრივად, *harikulâde* – გადასარევედ.

## კავშირი

თურქულ ენას, თავისი გამარტივებული სტრუქტურის გამო, კავშირის გარეშე შეუძლია დააკავშიროს ერთმანეთთან წინადადების წევრები და წინადადებები. ამოტომ, საკუთარი კავშირი რამდენიმე აქვს, ძირითადად არაბული და სპარსული კავშირებით სარგებლობს.

ფუნქციების მიხედვით კავშირები იყოფა ორ ჯგუფად:

1. მაერთებელი კავშირები
2. მაქვემდებარებელი კავშირები

### 1. მაერთებელი კავშირები

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას. მაერთებელ კავშირებში გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები:

- ა) მაჯგუფებელი
- ბ) მაიგივებელი
- გ) მაპირისპირებელი
- დ) მაცალკეებელი

## ა) მარგუშეველი კავშირები

### 1. **ve** – და

მაგ.: 1. Türkçede Arapça ve Farsça kelimeler var.

თურქულში არსებული და სპარსული სიტყვები არის.

2. Annem ve kardeşlerimle kocaman bir gölde yaşıyorduk.

დედაჩემთან და ჩემ ძმებთან (ერთად) უმკვლავებელ ტბაში ვცხოვრობდით.

3. Birçokları çekersiz, kısa kolsuz ve ince kazakla dolaştım.

უმრავლესობა უქურთუკო, მოკლე უმკლავოთი და თხელი სვიტკერით დადიოდა.

4. Şimdi, ilaçlarını düzenli olarak almalı ve pehrizine çok dikkat etmeliymiş. ახლა წამლები რეგულარულად უნდა მიეღო და დიეტისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცია.

5. Danışma bürosuna gidip ve güzel bir otelin adresini rica yaptık. ცნობათა ბიუროში წავუვდით და ლამაზი სასტუმროს მისამართი ვიშოვეთ.

### 2. **da, de, ta, te** — და; ც

მაგ.: 1. Adam kara gözlerine baktı, baktı da sonre bağırdı.

კაცმა შავ თვალებში უყურა, უყურა და შემდეგ დაიყვირა.

2. Beni dinle de gitme.

მე მომისმინე და არ წახვიდე

3. Bir kazan su ısıtalım da şunları yıkayalım.

ერთი ქვაბი წყალი გაეაცხელოთ და ესენი გავერეცხოთ.

4. Ben onu gördüm de tanıdım da.

მე ის დავინახე და ვიცანი კიდევ.

5. Ben de, o da, İsmail de o akşam evdeydik.

მეც, ისიც და ისმაილიც იმ საღამოს შინ ვიყავით.

6. Yağmur Ankara'da da hasar yaptı.

წვიმამ ანკარასაც ზარალი მიაყენა

7. Otemobilde yakıt da kalmadı.

ავტომობილში საწვავიც არ დარჩა.

### 3. **ile** – და (ორ არსებით სახელს შორის)

მაგ.: 1. Leylâ ile Mecnun bir hikayenin kahramanlarıdır.

ლელია და მეჯნური ერთი მოთხრობის გმირები არიან,

2. Gelmesi ile gitmesi bir oldu.

მოსვლა და წასვლა ერთი იყო.

3. Gelin ile güvey balayına gittiler.

პატარძალი და სიძე თავლობის თვისათვის წავიდნენ.

4. Yusuf'a Züleyha bir İslami hikâyedir.

უსუფი და ზულეიჰა ისლამური მოთხრობაა.

5. Annemle babam gezmeğe gittiler.

დედაჩემი და მამაჩემი სასეირნოდ წავიდნენ.

4. **hem** – თან ...თან; **hem de** – თანაც

მაგ.: 1. Hem Ankara'yı görürsünüz hem bir şey alırsınız.

თან ანკარას ნახეთ, თან რამეს იყიდით.

2. Hem ağlıyor hem gülüyor.

თან ტირის, თან იცინის.

3. Bir insan hem haklı hem haksız olmaz.

ადამიანი თან მართალი, თან დამნაშავე არ არსებობს.

4. Hem gezersiniz hem de vitrinleri seyredersiniz.

თან ისეირნებთ, თანაც ვიტრინებს დაათვალიერებთ.

5. Dergi, hem baskı hem de yazı bakımından büyük bir gelişme

gösterdi. ჟურნალმა თან გამოცემის, თანაც წერილების

თვალსაზრისით პროგრესი აჩვენა.

6. İçimde hem korku hem de ürküntülü bir ümit vardı.

ჩემში თან შიში, თანაც შიშნარევი რაღაც იმედი იყო.

5. **bir de** – კიდევ; გარდა ამისა; თანაც

მაგ.: 1. Annem, babam, bir de ben beraber gittik. დედაჩემი,

მამაჩემი, კიდევ მე ერთად წავედით.

2. Bir de şunu düşünmeliyiz. თანაც მაგაზე უნდა

ვიფიქროთ.

## ბ) მანიპივებელი კავშირები

1. **yani** – ანუ; ესე-იგი (ე.ი.)

მაგ.: 1. İki gün evvel yanı pazartesi günü ders başladı.

ორი დღის წინ, ანუ ორშაბათ დღეს, გაკვეთილი დაიწყო.

2. Çayım çok tatsız, yanı şekersizdir.

ჩემი ნაი უგემურია, ე.ი. უშაქროა.

3. Her gün binlerce işçi sokaklara atılıyor, yanı işsiz kalıyorlar.

ყოველ დღე ათასობით მუშა ქუჩაში იყრება, ე.ი. უმუშევრები რჩებიან-

2. demek – ესე იგი;

Gazate elinden kayıp yere düştü. Gözleri uzaklara daldı.

Demek Arif de ölmüştü. გაზეთი ხელიდან გაუსრიალდა და ძირს დაეცა, თვალები სიერცეს მიაპყრო, ე.ი. არიფიც მოკვდა.

3. demek ki – ე.ი.; გამოდის, რომ; შეიძლება ითქვას, რომ

მაგ.: 1. Elektrikleri yanmıyor, demek ki evde yoklar. სინათლეები არ უნთიათ, ე.ი. შინ არ არიან.

2. Cevap vermiyor, demek ki, seni anlamıyor. პასუხს არ გაძლევს, გამოდის, რომ (ე.ი.) შენი არ ესმის.

3. Ödevimi yapamadım. Demek ki, bu dersi iyi anlamamıştım.

დავალება ვერ გაეაკეთე, ე.ი. გაკეთილი კარგად ვერ გამიგია.

4. Güneye gidince hemen iyileşti. Demek ki, ilaçlardan çok güneşli havaya ihtiyacı varmış. როგორც კი სამხრეთში წავიდა, მაშინვე გამოკეთდა. ე.ი. წამალზე მეტად მზიანი ამინდის მოთხოვნილება ჰქონდა.

## ბ) მაკირისკირებელი კავშირები

1. ama, fakat, yalnız, ancak მაგრამ; ოღონდ; მხოლოდ

მაგ.: 1. Yemek az ama lezzetli.

საჭმელი ცოტაა, მაგრამ გემრიელი.

2. Tamam ben yapamayacağım, ama, siz olsaydınız yapabilir miydiniz? კარგი, მე ვერ გაეაკეთებ, მაგრამ თქვენ რომ ყოფილიყავით, შეძლებდით გაკეთებას?

3. Siz durakta beni bekleyin, yalnız ben beş dakika geç gelirim. თქვენ განერებაზე დამელოდეთ, მე ხუთი წუთით გვიან მოვალ.

4. Bu işe başlıyorum, ancak bugün bitiremem. ამ საქმეს ვიწყებ, მაგრამ დღეს ვერ დავამთავრებ.

5. Gene sarı saçlıydı. Ancak, o eski güzelliği yoktu.  
კვლავ ქერათმიანი იყო, მაგრამ ის ძველი სილამაზე აღარ  
ქონდა.

2. **halbuki** – თუმცა; მაშინ, როცა

მაგ.: 1. Halbuki eski yazıyı bırakalı yıllar oldu.  
თუმცა წლები გავიდა, რაც ძველი ანბანი მიატოვა.

2. Halbuki o gece hiç uyumadım.

თუმცა იმ ღამეს სულ არ დამიძინია.

3. Öğretmen onu seviyor, halbuki, o hiç de iyi bir öğrenci değil.

მასწავლებელს ის უყვარს, თუმცა კარგი მოსწავლე სულაც  
არ არის.

4. Büyük oğlum başarılı olduğu halde çok çalışıyor. Halbuki,  
küçüğün daha çok çalışması lâzım.

უფროსი ჩემი ვაჟი თუმცა მოწინავეა, ბევრს მუშაობს. მაშინ,  
როცა უმცროსს ბევრი მუშაობა ჭირდება.

3. **mademki** – თუ; რადგან

მაგ.: 1. Mademki beğenmiyorsun seyretme!

თუ არ მოგწონს, ნუ უყურებ!

2. Mademki beni gördünüz niçin seslenmediniz.

თუ დამინახეთ, რატომ არ შემომეხმინათ.

3. Mademki, bilmiyorsun, niçin konuşuyorsun?

თუ არ იცი, რატომ ლაპარაკობ?

4. Mademki, Türkçe öğrenmek istiyorsunuz, o zaman Türkiye'ye  
gidin.

რადგან თურქულის სწავლა გინდათ, თურქეთში წადით.

4. **lâkin** – მაგრამ; ოღონდ; მხოლოდ

მაგ.: İstediklerinizi gaparım lakin şn şartla  
თქვენ რაც გინდათ იმას გაეაკეთებ, ოღონდ შემდეგი პირობით

...

5. **yoksa** – თორემ, თუ, იქნებ

მაგ.: 1. Uslu durursun, yoksa seni bir daha buraya getirmem.

ჭკვიანად იყავი, თორემ აქ მეტი აღარ მოგიყვან.

2. Yoksa, hasta mısın? Yüzün bembeyaz.

იქნებ ავად ხარ? სახე მოლად თეთრი გაქვს.

3. Bir hazırlık görüyorum, yoksa gezmeye gidiyorsunuz?  
რაღაც მზადებას ეხედავ, იქნებ სასეირნოდ მიდიხართ?
4. Gönlüm hiç gitmek istemiyor, yoksa gitsem mi, ne dersiniz?  
[ჩემს] გულს სულ არ უნდა წასვლა, თუ წავიდე, რას იტყვიot?
6. **meğer** – მაშინ, როცა; თურმე; თუმცა

მაგ.: 1. Bu iş kolay olamaz, meğer siz hizmet ederseniz.

ეს საქმე არ იქნება ადვილი, მაშინ, თუ თქვენ ეცდებით.

2. Meğer onlar da gelmeliydi.

თურმე ისინიც უნდა მოსულიყვნენ.

3. Yemeğimi kimse yemedi, meğer, bayağı özenerek yapmıştım..

ჩემი საჭმელი არაუნ ჭამა, როცა ჩვეულებრივ მონდომებით მოვამზადე.

4. Yağmurdan sıırıslıklam olmuş! Meğer, iki şemsiye evde duruyor.   
წვიმისაგან მთლად დავსველდი, თუმცა ორი ქოლგა შინ დევს.

7. **değil** – კი არა

მაგ.: 1. Evi değil, bahçeyi görmedim.

სახლი კი არა, ბაღი ვერ დავინახე.

2. para değil, onun sağlığı önemli.

ფული კი არა, მისი ჯანმრთელობაა მთავარი.

3. Eskiden insanlar paralarını bankada değil, evlerinde saklıyordu.

ძველთაგან ხალხი თავის ფულს ბანკში კი არა, თავიანთ სახლებში ინახავდა.

### *ღ) მატალკეშებელი კავშირები*

1. **ya ... ya; ya ... yahut; veya** – ან ... ან; **ya ... ya da** – ან ... ან და

მაგ.: 1. Bunları ya yoparsın, ya da ücretini vermem.

ან ესეინ გააკეთე, ანდა ხელფასს არ მოგცემ.

2. Ya çalışır adam olursun, yahut seni eve almam.

ან მშრომელი კაცი დადგები, ან სახლში არ მოგიშვებ.

3. Bazan köylülerden biri gelerek ya bir haber yahut bir mektup getiriyor.

ზოგჯერ რომელიმე სოფლელი ჩამოდის და ან რამე ამბავი, ანდა წერილი ჩამოაქვს

4. Ekmek almağa Ali, veya ben gideyim.

პურის საყიდლად ალი, ან მე წაველთ.

2. **gerek ... gerek//ister ...ister//olsun ... olsun** – გინდ...გინდ;  
გინდ [ერთი] იყოს...გინდ [მეორე] იყოს.

მაგ.: 1. **Gerek memleketin dertleri, gerek sıhhatinin bozlukluđu genç yaşta ölümüne sebep oldu.**

გინდ ქვეყნის დარდი, გინდ ჯანმრთელობის მოშლილობა გახდა მიზეზი ახალგაზრდა ასაკში მისი სიკვდილისა.

2. **Gerek ben gideyim, gerek siz gidin, gerek o gitsin netice degişmez.**

გინდ მე წავიდუ, გინდ თქვენ წადით, გინდ ის წავიდეს, შედეგი არ შეიცვლება.

3. **Ister sen oku, ister arkadaşın, aranızdan biri okusun.**

გინდა შენ წაიკითხე, გინდ შენმა ამხანაგმა, ერთერთმა თქვენგანმა წაიკითხოს.

4. **Ister burada kal, ister onlarla git.**

გინდ აქ დარჩი, გინდა მათთან ერთად წადი.

3. **ha ... ha** – ხან...ხან; როგორც...ისე

მაგ.: 1. **Ha böyle söylemiş, ha başka türlü.**

ხან ასე ამბობს, ხან სხვანაირად.

2. **Ha ben gelmişim, ha o.**

როგორც მე მოვედი, ისე ის.

3. **Ama ha varmış, ha yokmuş gibiydi.**

მაგრამ გინდ ყოფილა, გინდ არა.

4. **ama ... ama** – როგორც...ისე; ც...ც

მაგ.: 1. **Ama haklı, ama haksız, herkese çıkıyor.**

ყველას ამტყუნებს როგორც მართალს, ისე მტყუნანს.

2. **Ama güzel, ama çirkin.biz kabul ettik.**

ლამაზ'ხედაც, უშინო'ხედაც დაეთანხმდით.

5. **ne ... ne** – არც...არც

მაგ.: 1. **Ne şış yansın ne kebab.**

არც მწვადი დაწვა, არც შამფური.

2. **Ne:kız oldum, ne gelin**

არც გოგო გაეხედი, არც პატარძალი.

3. **Onu ne dün, ne bugün gördüm.**

ის არც გუშინ მინახავს, არც დღეს.

4. **Ne gelen var, ne giden.**

არც მომსელებლია, არც წამსელებლი.

6. **bazan//bazen ... bazan//bazen; bazı bazı –**

ზოგჯერ...ზოგჯერ; ხან...ხან

მაგ.: 1. *Bir takım edatlar bazan bağlaç, bazan zarf olarak kullanılır.*

ერთი ჯგუფი მაკავშირებელი სიტყვებისა ზოგჯერ კავშირად, ზოგჯერ ზმნიზედად იხმარება.

7. **kimi(si) ... kimi(si) – ზოგი...ზოგი; ეინ...ეინ; ერთნი...სხვანი**

მაგ.: 1. *Kimi konuşuyor, kimi yazıyor, onlar okuyorlar. ერთი*

*ლაპარაკობს, მეორე წერს, ისინი სწავლობენ.*

2. *Şimdi kimisi yerinden kalkmayacak kadar hastaydı, kimisi bu dünyayı terkedip gitmişti.*

ახლა ზოგი ისეთი ავადმყოფი იყო, რომ ვეღარ წამოდგება, ზოგი ამ ქვეყანას უკვე გამოშვებდებოდა.

## 2. მაქვემდებარებელი კავშირები

მაქვემდებარებელი კავშირი აერთებს დამოკიდებულ წინადადებას მთავართან. თურქულ ენაში მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს სპარსულიდან ნასესხებ, კავშირები: *ki, çünkü, zira, eğer, şayet.*

1. **ki – რომ; რომელიც**

მაგ.: 1. *O zaman anladık ki, uçamıyordu. მაშინ მივხვდით, რომ ეერ დაფრინავდა.*

2. *Hoca mektup almış ki, mektup Farsça. ჰოჯამ წერილი აიღო, ნახა, რომ წერილი სპარსულადაა.*

3. *O kadar ağlıyorum ki, beni artık susturamıyorlar. ისე ეტირი, რომ მე უკვე ვეღარ მაჩერებენ.*

4. *Oğuz gülerek dedi ki: "Sen de benim gibi bir hakan ol". ოღუზმა ღიმილით უთხრა, რომ: „შენც ჩემსავით ხანი იყავი“.*

5. *Komşumun bir çocuğu var ki, zamanını sokakta geçirirmiş. ჩემს მეზობელს ერთი შვილი ჰყავდა, რომელიც მთელ თავის დროს ქუჩაში ატარებდა.*

6. *Ben bir yolcuyum, ki tulumlar içinde bir damla su kalmadı. მე ერთი მგ ზავრი ვარ, რომელსაც მათარებში ერთი*



წვეთი წყალი აღარ დარჩა.

7. *Öyle bir ceket giymiş ki, etekleri yeri sürüyor.*

ისეთი ჯაკეტი ჩაეკვა, რომ მისი ბოლოები მიწაზე დასთრეულა.

8. *Öyle bir tuhaf bir adam ki, selâmımı almıyor.*

ისეთი უცნაური კაცია, რომ ჩემს სალამს არ ღებულობს.

9. *Unutmamalıdır ki, "Her tebessüm altın bir anahtardır".*

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველი ღიმილი ოქროს გასაღებია.

2. **çünkü** – რადგან; იმიტომ, რომ

მაგ.: 1. *Yarın hiç bir yere gitmem, çünkü hastayım.*

ხვალ არსად მივდივარ, რადგან ავად ვარ.

2. *Sizi bu akşam alıkoymdum, çünkü akşama nefis yemekler var.*

თქვენ ამ საღამოს არ გაგიშვებთ (დაგტოვებთ), რადგან საღამოსათვის ძვირფასი საჭმელები გეაქვს.

3. *Ben hemen yemin ettim, çünkü merak ediyordum.*

მე მაშინვე დავიფიცე, რადგან მაინტერესებდა.

4. *Neden birçok insan yalnızlıktan şikaye ediyor? Çünkü teknolojik gelişmeler sayesinde kendimize yedebiliyoruz.*

ამდენი ადამიანი მარტობას რატომ უჩივის? იმიტომ, რომ ტექნოლოგიის განვითარების წყალობით ჩვენ ჩვენივე თავი გვეყოფნის.

3. **zira** – რადგან; რამეთუ; იმიტომ, რომ

მაგ.: 1. *Ona artık iyi cera vermeliyim, zira, hergün yeni bir yaramazlık yapıyor.*

დროა, იგი კარგად დაესაჯო, რადგან ყოველ დღე ახალ ცულქობას სწადის.

2. *Öğretmen zor bir metin getirmiş. Zira, kimse anlayamamıştı.*

მასწავლებელმა ძნელი ტექსტი მოიტანა, რამეთუ ვერავინ გაიგო.

3. *Gazetelere göre grip salgın halindeymiş. Zira, hastaneler dolup taşıyor.*

გაზეთების მიხედვით გრიპი ეპიდემიის სტადიაშია, რადგან საავადმყოფოები ივსება და ივსება.

4. **eğer; şayet** – თუ,

მაგ.: 1. *Eğer havalar iyi gisteydi, mahsul daha da bol olurdu.*

კარგი ამინდები თუ გაგრძელდებოდა, მოსავალიც უხვი იქნებოდა.

2. *Eğer çevrenizdeki insanlara güleryüzle davranırsanız herkes sizi sever.*

თქვენს გარშემო ხალხს თუ მამლიმარი სახით მოექცევით, თქვენ ყველას ეყვარებით.

3. Şayet ben yoksam, paketi masama bırakın.

თუ მე არ ვიქნები, პაკეტი ჩემს მაგიდაზე დატოვეთ.

4. Şayet sağlığını yerinde değilse tam anlamıyla mutlu olamazsanız.

თუ ჯანმრთელობა სახეზე არ იქნება, ბედნიერი, სრული ამ სიტყვის გაგებით, ვერ იქნებით.

გარდა საკუთრივ კავშირებისა, დამოკიდებულია წინადადების მთაქართან შესაერთებლად გამოყენებულია მიმართებითი სიტყვები:

1. **oysaki** – მაშინ, როცა; მიუხედავად იმისა, რომ; თუმცა  
(// halbuki)

მაგ.: 1. Sınavdan yine kötü not aldım. Oysaki dün gece ne çok çalışmış, ne kadar iyi hazırlanmıştım.

გამოცდაზე კვლავ ცუდი ნიშანი მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ წუხელ რამდენი ვიმუშავე, როგორ კარგად მოვემზადე.

2. **sanki** – თითქოს; მგონი

მაგ.: 1. Sanki hava çok soğukmuş gibi kalın kazak giyinmiş.

თითქოს ძალიან ციოდეს, სქელი სვიტერი ჩააცვა.

2. O adam sanki sana sesleniyor.

ის კაცი მგონი შენ გეძახის.

3. Sanki seni daha önce görmüş gibiyim.

თითქოს უფრო ადრე მინახიხარ.

4. Bütün problemlere sanki ben sebep olmuşum gibi bana kızdılar.

თითქოს ყველა პრობლემის მიზეზი ვიყო, მე მიბრუნდებიან.

3. **güya** – თითქოს; ვითომ

მაგ.: 1. Güya, evindeki yabancılarla istedikleri dilde konuşabiliyormuş.

ვითომ სახლში მეოფე უცხოელებთან მათთვის სასურველ ენაზე შეეძლო ლაპარაკი.

2. Güya, her sabah kahvaltıdan önce yarım saat

koşuyormuş. ვითომ ყოველ დღით საუზმემდე ნახევარი საათი დარბოდა.

4. **öyleyse** – მაშინ; იმ შემთხვევაში; თუ ასეა

მაგ.: 1. Derslerimiz bitti. Öyleyse, artık sinemaya gidebiliriz.

გაკვეთილები დაგვიმთავრდა, მაშინ უკვე შეგვიძლია კინოში წავიდეთ.

2. O sana gelmiyormuş, öyleyse, sen de gitme!  
ის შენთან არ დადის თურმე, თუ ასეა, შენც ნუ წახვალ.

3. "Burada aradığımı bulamadım". diyorsun, öyleyse, kendi şehrine dön!

აქ ვერ ვიპოვე, რასაც ვეძებო, ამბობ, თუ ასეა, შენს ქალაქში დაბრუნდი.

5. **o halde** – მაშინ; იმ შემთხვევაში; თუ ასეა

მაგ.: 1. Türkiye'de yaşamayı düşünüyorsunuz. O halde, Türkçeyi çok iyi öğrenmeniz gerekir.

თქვენ თურქეთში ცხოვრებას ფიქრობთ. თუ ასეა, თურქული ძალიან კარგად უნდა ისწავლოთ.

6. **kuşkusuz//şüphesiz** – ეჭვგარეშეა; უეჭველია; რა თქმა უნდა

მაგ.: 1. Güneş, kuşkusuz sağlık için en faydalı unsurlardan biridir.

მზე, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლო ელემენტია.

2. Bu marka sucuklar kuşkusuz tazedir.

ამ მარკის ძეხვი, უეჭველია, ახალია.

3. Kuşkusuz herkes onu sever.

ეჭვგარეშეა, ყველას ის უყვარს.

4. Şüphesiz her insanda iyi bir yön vardır.

ეჭვგარეშეა, ყოველ ადამიანში რაღაც დადებითია.

7. **üstelik** – თანაც; ამასთანავე ერთად

მაგ.: 1. O mağazadaki elbiseler ucuz, üstelik daha kaliteli.

იმ მაღაზიაში ტანისამოსი იაფია, თანაც უფრო ხარისხიანი.

2. Hiç anlamıyor, üstelik de çalışmıyor.

ვერაფერი ესმის, ამასთანავე, არც მუშაობს.

*3. Orası soğuk, üstelik havası da kirli. იქაურება ცივია, თანაც ატმოსფეროც ჭუჭყიანი.*

მაქვემდებარებელი კავშირის როლს ასრულებს, აგრეთვე, შემდეგი მაკავშირებელი სიტყვები: **diye** – სხვათა სიტყვაობის "ო", **derken** – მაშინ, როცა; როგორც კი; **bunun için**– ამიტომ, ამის გამო; **onun için** – იმიტომ; **bunun üzerine**– ამაზე; **onun üzerine** – იმაზე; **bu yüzden**– ამის გამო.

## სარჩევი

შესავალი .....	3
ანბანი .....	5
“А” სიგარძისა და სილბოს ნიშანი (აქსანი) .....	5
“ ’ ” აკოსტროფი (გამყოფი) .....	6
ფონეტიკა .....	6
ხმოვანთა კლასიფიკაცია .....	6
თანხმოვანთა კლასიფიკაცია .....	7
მ(ნიშნიანი გ ) .....	8
სინჰარმონიზმი .....	8
ხმოვანთა ჰარმონია .....	9
თანხმოვანთა ჰარმონია .....	9
თურქული სიტყვის აგებულება .....	9
ფონეტიკური მოვლენები სიტყვისა და სუფიქსის მიჯნაზე .....	10
1. ბოლოკიდური ყრუ-ხშული თანხმოვნების გამჟღერება .....	10
2. ბოლოკიდური ფართე ხმოვნის დავიწროება .....	11
მახვილი .....	11
დიდი და პატარა ასოების ხმარება .....	12
მორფოლოგია .....	13
<i>სახელები</i> .....	13
არსებითი სახელები .....	14
1. სქესი .....	14
2. რიცხვი .....	14
“მყოფელობის” ზოგადი კატეგორია .....	15
I. ყოფნა-არყოფნის ქვეკატეგორია .....	16
imek “ყოფნა” ზმნა .....	21
II. არსებობა-არარსებობის ქვეკატეგორია .....	22
“მქონებლობის” ზოგადი კატეგორია .....	25
1. -li/-siz ქონება-უქონლობის ქვეკატეგორია .....	25
2. განუყოფელი კუთვნილების ქვეკატეგორია .....	26
3. მიკუთვნებულობის ქვეკატეგორია .....	27

4. ქონა/ყოლა არქონა/არყოლის ქვეკატეგორია .....	28
5. ქონა/არქონის ქვეკატეგორია .....	28
ბრუნება .....	29
ბრუნების ტიპები .....	32
1. თანხმოდანფუძიანი სახელების ბრუნება .....	33
2. ხმოდანფუძიანი სახელების ბრუნება .....	34
3. III პირის კუთვნილებითსუფიქსიანი და -ki ნაწილაკიანი სახელების ბრუნება .....	34
იზაფეთი .....	35
I იზაფეთი .....	36
II იზაფეთი .....	37
III იზაფეთი .....	39
ნაცვალსახელები .....	40
პირის ნაცვალსახელები .....	40
ნაცვალსახელი kendi.....	42
ჩვენებითი ნაცვალსახელები .....	43
კითხვითი ნაცვალსახელები .....	45
კუთვნილებით-განსაზღვრებითი ნაცვალსახელები.....	46
განსაზღვრებითი ნაცვალსახელები .....	47
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები .....	48
უარყოფითი ნაცვალსახელები .....	49
ზედსართავი სახელი .....	49
არსებითი სახელებიდან ზედსართავის წარმოქმნელი სუფიქსები .....	51
რთული ზედსართავი .....	54
ზედსართავი სახელის ხარისხები .....	54
დადებითი ხარისხი .....	54
ოდნობითი ხარისხი .....	55
აღმატებითი ხარისხი .....	56
ზედსართავი სახელის სინტაქსური კონსტრუქციები .....	57
რიცხვითი სახელი .....	58
რაოდენობითი რიცხვითი სახელები .....	58
რიგობითი რიცხვითი სახელები .....	60

განყოფითი რიცხვითი სახელი .....	60
წილობითი რიცხვითი სახელები .....	61
მათემატიკური მოქმედებები .....	62
ასტრონომიული საათის – დღელამის დროის გამოხატვა .....	63
ზმნა .....	64
თურქული ზმნის ფორმალური ჯგუფები .....	65
საწყისი .....	68
A კლასი, სინთეტური ზმნები .....	68
ბ. მეორადი ზმნები .....	72
1. საურთიერთო მოქმედება .....	72
2. კაუზატივი .....	73
გვარი .....	76
მოქმედებითი გვარი .....	76
ენებითი გვარი .....	76
განყენებულპირიანი ფორმები .....	78
საშუალი გვარი .....	79
სახე .....	81
B კლასი, ანალიტიკური ზმნები .....	83
შედგენილი ზმნები .....	83
კომბინირებული ზმნები .....	85
დაუყოვნებელი (სწრაფი) მოქმედება .....	86
ხანგრძლივი მოქმედება .....	86
დაყოვნებული მოქმედება .....	87
სახელ ზმნები .....	88
მასდარები .....	88
-mak მასდარი .....	88
-maklik, -meklik ფორმა .....	91
-ma მასდარი .....	91
მასდარი-იშ .....	92
-dik და – acak მასდარი .....	93
ცარიელი –dik მასდარი .....	94
მიმღეობა .....	103
-yor მიმღეობა .....	104
-ar – მიმღეობა .....	104
-acak – მიმღეობა .....	105
-miş მიმღეობა .....	106

an მიმდევრობა.....	106
კილოებისა და დროების წარმოება.....	107
კილო.....	107
დრო.....	108
აქტი.....	109
ზმნის მტკიცებითი და კითხვითი ფორმები.....	109
პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში.....	109
თხრობითი კილო.....	111
აწმყო-განსასლდერული დრო.....	111
მყოფადი-კატეგორიული დრო.....	116
აწმყო-მყოფადი დრო.....	121
ნამყო-შედგობითი დრო.....	126
ნამყო-კატეგორიული დრო.....	131
განსასლდერული იმპერფექტი	
(ნამყო-უწვევტელი).....	134
განუსასლდერელი იმპერფექტი.....	137
მყოფადი-ნამყო.....	139
ნამყო-წინარე წარსული I	
(განსასლდერული).....	142
ნამყო-წინარე წარსული II	
(განუსასლდერელი).....	144
ბრძანებითი კილო.....	146
ნატვრითი კილო.....	149
აუცილებლობითი კილო.....	155
პირობითი კილო.....	161
პირობითი კილო II (ძლიერი).....	166
აბსოლუტივი.....	170
დროის აბსოლუტივები.....	170
ვითარების აბსოლუტივები.....	173
თანდებულები.....	177
სახელობითი ბრუნვის თანდებულები:.....	177
ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები.....	179

მიცემითი ბრუნვის თანდებულები: .....	179
ბრალდებითი ბრუნვის თანდებულები .....	180
დაწეებითი ბრუნვის თანდებულები .....	180
სიერცობლივი სახელები .....	181
ზმნი'სედა .....	184
დროის ზმნი'სედა .....	185
ადგილის ზმნი'სედა .....	187
ეთარების ზმნი'სედა .....	188
ოდენობის ზმნი'სედა .....	188
კავშირი .....	189
<i>მაერთებელი კავშირები</i> .....	189
მაჯგუფებელი კავშირები .....	190
მაიგიეებელი კავშირები .....	191
მაპირისპირებელი კავშირები .....	192
მაკალკეებელი კავშირები .....	194
<i>მაქემდებარებელი კავშირები</i> .....	196

---

გადაეცა ნარმოებას 9.08.99  
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.09.99  
 ქალაქის ზომა 60X84. ბეჭდვა ოფსეტური

ფასი სახელშეკრულებო

შეკვ № 227

ტირ. 500

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა  
 თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 1.